

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

კომისიის სხდომები

სულ 12 სხდომა, სხდომათა სტენოგრაფიები
პარლამენტის ვებ-გვერდიდან

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21596



რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. გაბაშვილი გიორგი
2. გოგორიშვილი ხათუნა
3. გოგუაძე გია
4. ვეფხვაძე ლევანი
5. თარგამაძე გიორგი (გივი)
6. თედორაძე რამაზი
7. ლალიაშვილი ნიკოლოზი
8. ლორთქიფანიძე დიმიტრი
9. მინაშვილი აკაკი

2008-11-29 20:34

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 28 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფია

(საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი)

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია.

თავმჯდომარე. მოგესალმებით ყველას, მოგესალმებით, ბატონო პრეზიდენტო. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მოზრძანებისათვის. როგორც ცნობილი არის, პარლამენტის დადგენილებით შექმნილი არის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს. დროებითი საპარლამენტო კომისიის მანდატში არ შედიოდა პრეზიდენტის დაბარება, თქვენ გამოხატეთ სურვილი იმასთან დაკავშირებით, რომ მოზრძანებულიყავით ჩვენთან. აქედან გამომდინარე, მზად ხართ თუ არა თქვენ ითანამშრომლოთ დროებით საპარლამენტო კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

მ.სააკაშვილი. რა თქმა უნდა, ბატონო პაატა, როგორც გამოვხატე მე თქვენთან ამ რამდენიმე კვირის წინ შეხვედრის დროს. მე მზად ვარ სრულად ვითანამშრომლო საპარლამენტო კომისიასთან და, რა თქმა უნდა, მე მზად ვარ ყველა კითხვას თქვენი და ჩვენი ხალხის იმ კითხვებს, რომელიც ასევე ისმება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ძალიან ამომწურავი პასუხები გავცე.

პ.... დიდი მადლობა. ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი მუშაობის სტილი მდგომარეობს იმაში, რომ იქნება დასმული რამოდენიმე შეკითხვა. თქვენ გაცემთ პასუხს და შემდგომ უკვე ასეთ ფორმატში ვიმუშავებთ. როგორც ცნობილი არის, აგვისტოს მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, ის მოვლენები არ დაწყებულა, ღია აგრესია არ დაწყებულა საქართველოს წინააღმდეგ აგვისტოში. ამას აქვს გარკვეული წინაპირობები.

საზოგადოებაში ძალიან ბევრი და მკვეთრი კითხვებია ამ საკითხებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მე მინდა გავთხოთ, რატომ ვერ შეძლო საქართველომ თავიდან აეცილებინა ეს კონფლიქტი, უფრო სწორად, არ წამოგებოდა ამ პროვოკაციას. აწარმოებდა თუ არა დიპლომატიურ აქტივობას იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული კონფლიქტის ესკალაცია და კეთდებოდა ამისათვის ყველაფერი თუ არა. როგორც ცნობილი არის თებერვალში თქვენ შეხვედით რუსეთის პრეზიდენტს პუტინს, ხოლო შემდგომ უკვე მედვედევს მოსკოვში და ასტანაში. შეხვედრის შემდეგ დაგრჩათ თუ არა თქვენ შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ემზადებოდა სამხედრო აგრესიისათვის, რაც უკვე განხორციელდა აგვისტოს თვეს. აი ამ მიმართულებით თუ შეიძლება, რომ თქვენ მოგვახსენოთ და შემდგომ უკვე დამატებითი შეკითხვები, რომელიც იქნება, იქნება დასმული.

მ.სააკაშვილი. ბატონო პაატა, თქვენი ნებართვით მე ჩავინიშე ყველა თქვენი კითხვა. კომისიის ნებართვით პირველ რიგში, მინდა გავაკეთო განცხადება და შემდეგ მართლაც ყველა კითხვას დეტალურად გავცემ პასუხს. პირველ რიგში, მე მინდა მივესალმო ამ კომისიის შექმნას. მინდა ვთქვა, რომ ეს არის ძალიან ნათელი დასტური და დემონსტრაცია იმისა, რომ საქართველო აგრძელებს გზას დემოკრატიზაციისკენ. ეს არის, ის, რაც ხდება პარლამენტში დღეს და ამ კვირების განმავლობაში ნამდვილად ისტორიული პროცესია და მე მაქვს დიდი პატივი ვიყო ამ ისტორიული პროცესის ნაწილი. ჩვენ ყველანი ერთად, ბევრ ჩემს მეგობართან ერთად ვქმნიდით ქართული პარლამენტარიზმის ისტორიას. ჩვენ, ყველანი ერთად ვაშენებდით ამ ინსტიტუტებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, არასდროს პრეზიდენტი, გარდა ყოველწლიური მიმართვისა, ოფიციალურად პარლამენტში არ მოსულა. ისევე როგორც მე მინდა ვთქვა, რომ აქ ასევეა პარლამენტის წევრები როგორც უმრავლესობიდან, მაგრამ, კომისიის თავმჯდომარე არის ოპოზიციის წარმომადგენელი. აქ არის რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წევრი და მე მინდა გავხსენო, რომ ერთი წლის წინ თქვენ და ჩვენ, ზოგიერთი აქ მსხდომი ადამიანი ისხდნენ სხვადასხვა ადგილზე, მე არ მინდა ვთქვა, ბარიკადების, მაგრამ ნამდვილად, შენობის გარეთ და შენობის შიგნით და ჩვენ გვყოფდა თითქმის გადაუღალავი უფსკრული. ჩვენ დღესაც გვაქვს სერიოზული განსხვავება ერთმანეთში, მაგრამ ის, რომ ჩვენ შევძელით ყველანი შევიკრიბოთ ერთ ოთახში, ყველანი შევიკრიბოთ ერთ შენობაში, ყველა კითხვას გავცემ პასუხი, ვიდებატოთ, ხმის ჩახლეჩვამდე, არ დავეთანხმეთ ერთმანეთს, ვაკრიტიკოთ ერთმანეთი, ხანდახან მკვეთრი ფორმებითაც, მაგრამ ყველაფერი მოვაქციოთ საქართველოს საპარლამენტო და ინსტიტუციურ ფარგლებში, ეს არის, მართლა, დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯი.

და მე მინდა ისიც ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა ამ მასშტაბის აგრესიას, რომელიც დღეს არის საქართველოს მიმართ და აგრესია გრძელდება, მე მინდა ყველას ვუთხრა, ჩვენ ისედაც ვიცით ეს, მაგრამ ვუთხრა ასევე იმ უცხოელებს, რომელთაც, ზოგიერთ მათგანს, ხანდახან დავიწყება უნდა ხოლმე იმისა, რაც ხდება. თუმცა, ამას წინათ პოლონეთის პრეზიდენტმა, მე მგონი, ნათლად შეახსენა ყველა ევროპულ კოლეგას, რა დღეში ვართ ჩვენ. თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში, უკანონოდ, საოკუპაციო ჯარი დგას, რომელიც ღიად, უსირცხვილოდ ახორციელებს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას, ღიად ემუქრება მის მოქალაქეებს შეიარაღებული ძალის გამოყენებით.

ამ სიტუაციაში ძალიან ბევრ ქვეყანას ექნებოდა ცდუნება გაემკაცრებინა პოლიტიკური სისტემა, აეკრა პირი ოპოზიციისთვის, აეკრა პირი მასმედიისთვის, გაეკონტროლებინა ეკონომიკა, მაგრამ ის, რომ ჩვენ, ყველანი ერთად, შევთანხმდით, რომ უნდა იყოს პრესის მეტი თავისუფლება, მეტი თავისუფლება სიტყვის, მეტი საპარლამენტო დისკუსია, მეტი უფლებები საქართველოს პარლამენტისთვის, გავაგრძელოთ სასამართლო რეფორმები და ბოლოს და ბოლოს შეიქმნას ეს კომისია, რომელიც თავისთავად უნიკალური რამ არის. ეს არის ყველაზე ზუსტი ჩვენი პასუხი, მე ასე მგონია, ჩვენი, ერთობლივი, ამ აგრესიული ქმედებების მიმართ. ჩვენი პასუხი აგრესიაზე არის მეტი დემოკრატია, მეტი გახსნილობა, მეტი მოქნილობა იმისათვის, რომ ყველას დავანახოთ, რომ ჩვენი იმუნიტეტი სწორედ ამ თავისუფლებაშია, თორემ, რა თქმა უნდა, დემოკრატიულ სისტემას აქვს თავისი სისუსტეებიც, მაგრამ აქვს ისეთი სიძლიერეები, რომელსაც, ნამდვილად, ჩვენი მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს, რომ გამოიყენოს ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენი მომავლის წინააღმდეგ. ამიტომ, ჩვენ არ გავცეკულებართ არც ერთ კითხვას, მთავრობის წევრებს ჰქონდათ მკაცრი ინსტრუქცია ყველაფერზე ეპასუხათ. მე მივესალმები იმას, რომ თქვენ დაპატიჟეთ ყველა ტიპის ადამიანები, მოისმინეთ ყველა ტიპის აზრი და ბევრი რა აზრიც ემთხვევა ერთმანეთს, არის იქ სრულიად განსხვავებული აზრებიც. მოისმინეთ ბევრი სიმართლე და ასევე მოისმინეთ ბევრი ტყუილი, მაგრამ მთავარია რომ იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენ და სხვა იქნება ეს ობიექტური. კითხვები ნამდვილად ბევრი არსებობს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. და როგორც ჩანს, მთავარი კითხვა რომელიც დღეს აწუხებს საერთაშორისო საზოგადოებას არის ის, განახორციელა თუ არა საქართველომ სამხედრო მოქმედებები აგვისტოს დასაწყისში იმისათვის, რომ აეღო კონტროლი ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის იმ ადგილებზე, რომელსაც ჩვენ მანამდე ვერ ვაკონტროლებდით. ეს კითხვა იცით, რომ დებატების ცენტრალურ კითხვად არის ქვეული, მნიშვნელოვნად იმ მრავალმილიონიანი კამპანიის შედეგად. ასობით მილიონს ხარჯავს ჩვენი მოწინააღმდეგე იმისათვის, რომ თუ გვისროლია – გათეთრდება, და, „არ გათეთრდების ყორანი“ ნამდვილად, მაქსიმალურად საქართველო გააშავოს ან შექმნას ბუნდოვანი ფერები, რომ ვერ გაერკვეს ადამიანი, სად არის სიმართლე და სად არის ტყუილი. ამისთვის ხდება დიდი საერთო.....კამპანიების წარმოება, როგორც ჩვენ დავინახეთ ასევე სხვადასხვა ხალხის მოსყიდვა იმისათვის, რომ ილაპარაკონ ღია სივრულე, და უნდა ითქვას, რომ რაღაც შედეგი ამ კამპანიას რაღაც კონკრეტულ ადამიანებთან მიმართებაში ნამდვილად აქვს. მაგრამ, რეალურად ეს კითხვა წარმოადგენს მხოლოდ მთავარი კითხვებისგან ყურადღების გადატანის მცდელობას. არადა არსად, არც მე არც მთავრობის სხვა წევრებს არასდროს საპირისპირო იმისა არ გვითქვამს, რომ საკითხი დგას, რომ თითქოს ჩვენ ამას უარვყოფთ.

მინდა გითხრათ, ამ კითხვაზე განვხორციელებთ თუ არა ჩვენ სამხედრო მოქმედება აგვისტოს დასაწყისში იმისათვის, რომ აგველო, აგვეყვანა კონტროლქვეშ ცხინვალის და ის ადგილები სამხრეთ ოსეთის, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებდით, მე ადრეც ღიად ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში.

ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ეს იყო მძიმე გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებდა ნებისმიერი ქვეყნის და ერის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე დემოკრატიული ხელისუფლება. საკუთარი სამშობლოს და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად. ეს გადაწყვეტილება იყო გარდაუვალი 2 მთავარი გარემოების გამო.

პირველი. ჩვენთვის ცნობილი გახდა რომ რუსეთის არმიის ასობით ტანკი, მძიმე ტექნიკა, საარტილერიო დანადგარები და ათასობით სამხედრო იყო მოყენებული საქართველო - რუსეთის საზღვარზე, როკის გვირაბთან და ჩვენ დავიწყეთ უტყუარი დადასტურებული და თქვენ ეს ციფრები და ეს მონაცემები ნახეთ, სადაზვერვო მონაცემების მიღება რომ არ დაიწყეს მოძრაობა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა.

ეს ფაქტი მოგვიანებით დადასტურეს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა, გამოქვეყნებულია სატელეფონო გადაჭერების, გადაჭერები, შესწავლილია ბევრი მასალა, მოპოვებული ინტერნეტიდან, ღია წყაროებიდან და სადავო წყაროებიდან. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ ღია წყაროების ინფორმაცია ისეთივე დამაჯერებელია, როგორც სადაზვერვო ინფორმაციის, შეიძლება უფრო მეტადაც და ამ დროს შემოსვლის ფაქტი სამხედრო ძალით საქართველოში ვერ უარყო და არ უარყო თავად რუსეთის ფედერაციამაც.

ინტერვენციის წინა დღეს, 6 აგვისტოს, ჩვენ მოგვიკლეს მშვიდობისმყოფელები, მე ვლასპარაკობ ფართომასშტაბიანი ინტერვენციის წინა დღეს, თორემ ინტერვენცია გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, რაც იყო გაგრძელება იმ ძალადობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკვე თვის დასაწყისიდან. იმ დამეს და შემდეგი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენს მიერ კონტროლირებადი სოფლების ინტენსიური დაბომბვა და, მე მინდა ხაზი გაუსვა, ეს არ იყო ქართული სოფლები, როგორც მათ ახასიათებდა, ეს იყო შერეული მოსახლეობის მქონე სოფლები, ეთნიკურად ქართველი და ოსები. ჩვენ მათ არასდროს არ ვყოფდით, ეს იყო ის სოფლები, რომლებიც იმყოფებოდნენ წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ და იქ ჩვენ ყველა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს ერთნაირად ვიცავდით და დავიცავთ და ერთნაირად გვიყვარს და ერთნაირად ვცემთ პატივს.

იყო სოფლების ინტენსიური დაგომბვა ისე, რომ მოწინააღმდეგის არტილერია იყო განლაგებული, ძირითადად, ცხინვალში და რუსი მშვიდობისმყოფელების, ე.წ. მშვიდობისმყოფელების პოზიციების და ამ პოზიციების გარშემო. ეს, სხვათა შორის, დადასტურებული იქნა თავად კულახმეტოვის მიერ. ასეთ პირობებში საკითხავი ის კი არ არის აწარმოა თუ არა საქართველომ სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში იმ ძირითადი ამოცანით, რომ გაენადგურებინა საცეცხლე წერტილები, საიდანაც იბომბებოდა ჩვენი სოფლები. ამ თემაზე კითხვის დასმა არ არის საჭირო, იმისათვის რომ არაფერი დასამალი არ არის, ჩვენ ეს მართლაც ზუსტად ასე გავაკეთეთ. საკითხავია ის, თუ რომელი დემოკრატიული ხელისუფლება, რომელი პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა მოიქცეოდა სხვანაირად მაშინ, როდესაც გრძელდებოდა საკუთარი მოქალაქეების, ყველა ეთნიკური წარმომავლობის, საკუთარ სახლებში განადგურება უცხო ქვეყნის აგრესორების მიერ და მიმდინარეობდა სუვერენული ტერიტორიის დაპყრობა აგრესიული ქვეყნის შეიარაღებული ძალების ინტერვენციის შედეგად.

არავის არ უნდა დაავიწყდეს და ამაზე ხშირად ურევენ, რომ არსებობს საქართველო, არსებობს რუსეთი და არსებობს შუაში რაღაცა სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ან აფხაზეთის ტერიტორია. ეს რაღაც უკაცრიელი ზონა კი არა არის, რომელიც არავის არ ეკუთვნის. ეს არის საერთაშორისო, აღიარებული, საქართველოს საზღვრებს შორის მოქცეული საქართველოს სუვერენიტეტულ ტერიტორია, რომლის უმეტესი ნაწილი ყოველთვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ კონტროლდებოდა საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ.

ასე რომ, ჩვენ ვიბრძოლებთ, რათა მოგვეგერიებინა უცხოური ინტერვენცია და არ შევიტყუროთ ჩვენ ტერიტორიაზე იმიტომ, რომ შეუძლებელია ქვეყანა შეიჭრას საკუთარ ტერიტორიაზე. ჩვენ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დაცვით ვიბრძოლებთ ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს საკუთარ სამშობლოში, ჩვენი ქვეყნის დასაცავად! არც ერთ ქართველ ჯარისკაცს არ დაუდგამს ფეხი უცხო ქვეყნის მიწაზე. ამიტომ მთავარი, რითაც უნდა შეფასდეს რუსეთის მოქმედების ლეგიტიმურობა, უნდა იყოს არა ის, შეეცადა თუ არა საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, რომ დაეცვა საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება საკუთარ მიწაზე, არამედ ის, თუ არ პასუხი არსებობს შემდეგ კითხვებზე: საქართველო იყო თუ რუსეთი ის მხარე, რომელმაც აწარმოა ფაქტობრივი ანექსია მეზობელი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიისა; საქართველო იყო თუ რუსეთი, რომელიც გამოვიდა ჩვეულებრივი იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულებიდან კავკასიის ფლანგზე 1 წლით ადრე მაშინ, როდესაც საქართველო რჩებოდა ამ ხელშეკრულების ნაწილად და მკვეთრად გაზარდა სამხედრო ძალის ტექნიკის, ჯავშნტექნიკის რაოდენობა ჩრდილოკავკასიაში.

სრულიად ნათელი იყო, რომ ეს ბევრად მეტი იყო, ვიდრე მათ სჭირდებოდათ თუნდაც ჩეჩნეთში ან სხვა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში თავის საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად. სრულიად ნათელი იყო რისთვის გამოვიდნენ ისინი ამ ხელშეკრულებიდან. რომელმა ქვეყანამ გადაკვეთა ტანკით და ათასობით ჯარისკაცით მეზობელი დემოკრატიული სახელმწიფოს საზღვრები? რომელმა ქვეყანამ მოაწყო სასიკვდილო პროვოკაციების მთელი სერიები თვეების და წლების განმავლობაში? რომელმა ქვეყანამ დაურთო უკანონოდ მეზობელი სახელმწიფოს მოსახლეობას პასპორტები ჩვენი და მათი კონსტიტუციის დარღვევით, რათა შემდეგ საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით განეხორციელებინა ინტერვენცია. რომელმა ქვეყანამ თქვა უარი სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე, რომელიც ევროკავშირის მიერ ორგანიზებული იქნა 24 ივლისს ელთოს მიერ ორგანიზებული იყო 31 ივლისს. რომელმა ქვეყანამ განაცხადა უარი გერმანიის საგარეო საქმეთა

მინისტრის შტაინმაიერის მიერ ორგანიზებულ სამშვიდობო შემოთავაზებაზე? ვინ შეეცადა, რომ დაეფარა საკუთარი, კარგად დაგეგმილი ინტერვენცია ცრუ ბრალდებით, თითქოს ცხინვალში განადგურდა 2000 მშვიდობიანი მოქალაქე. ფაქტი, რომელიც უმაღლესი უარყოფილი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის, ყველა მიუკერძოებელი დამკვირვებლის და შემდგომ თავად რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მიერ. რომელმა დაიწყო საომარი მოქმედებების შედეგად იმ პრეტექსტით, რომ აჩერებდა გენოციდს, რომელმაც დაიწყო და რომელმაც განახორცილა ეთნიკური წმენდა რომელი ქვეყნის მოსახლეობის. საკუთარი ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევით რომელმა ქვეყანამ განაცხადა უარი თუნდაც პირველი ეტაპით გათვალისწინებული ტერიტორიების დაცვაზე და ევროპულ დამკვირვებლების შეშვებაზე კონფლიქტის ზონაში მას შემდეგ, რაც ბრძოლები შეწყდა. ეს არის ნამდვილი შეკითხვები, რომელთაც სჭირდებათ პასუხის გაცემა. და ის ფაქტი, რომ არც ერთ ამ კითხვაზე არ არსებობს პასუხი რუსეთის სასარგებლოდ, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, თუ რამდენად დიდ და სახიფათო აგრესორთან გვაქვს ჩვენ და დანარჩენ მსოფლიოს საქმე.

რამდენად უალტერნატივო იყო ის სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ტაქტიკური რეაგირებები, რომელიც ჩვენ მივიღეთ შექმნილ უმძიმეს ვითარებაში. მე მზად ვარ, მივიღოთ ყველა შეკითხვა. მე მინდა გითხრათ, რომ ეს იყო ძალიან მძიმე გადაწყვეტილება.

რაც შეეხება, ბატონო პაატა, თქვენს შეკითხვას, თებერვალში შეხვედრის თაობაზე. თებერვალში შეხვედრა პრეზიდენტ პუტინთან, ჩემი ბოლო შეხვედრა, იყო მძიმე იმიტომ, რომ მან ნათლად განგვიცხადა, იქ ვიყავით მე და დავით ბაქრაძე, ბატონი გრიგოლ ვაშაძე, მან თქვა, რომ ჩვენ გვექნება ორმხრივი ურთიერთობები საქართველოსთან, გაგიხსნით ავიამიმოსვლას, შეიძლება ვიფიქროთ თქვენი ღვინოების შემოშვებაზე. ნუ, რაც შეეხება თქვენ, უფრო სწორად, „თქვენ“ -ს არ ამბობდა, ამ ტერიტორიებს, საკამათოს, სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს, ამ ტერიტორიებთან მიმართებაში ჩვენ გიპასუხებთ არა თქვენ, არამედ ვუპასუხებთ დასავლეთს, ამერიკას, ნატოს კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით. აქ თქვენ არ ინერვიულოთ, ეს თქვენ არ გეხებათ. რასაც ჩვენ გავაკეთებთ, ეს არ იქნება თქვენ წინააღმდეგ მიმართული. ეს იქნება ჩვენი რეაქცია იმათზე. ეს იყო უკიდურესად ცინიკური განცხადება და ჩვენ გამოვედით ამ შეხვედრიდან ძალიან გულდამძიმებულები. მე კიდევ ერთხელ მინდა, ჩვენ გავიმეორეთ ბევრი ის, რაც ადრეც ხშირად გვითქვამს, რომ ჩვენ მზადა ვართ, ნებისმიერი სადავო საკითხი განვიხილოთ, რომ არაფერი არ არის ხელშეუხებელი, გარდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ყველა დანარჩენ საკითხზე ჩვენ აბსოლუტურად გახსნილი ვართ ყველანაირი დიალოგისთვის. როგორც ჩანს, რუსეთს ამის მოსმენის არანაირი სურვილი არ ჰქონდა. და როდესაც გამოვედით, მე ვკითხე დავით ბაქრაძეს, არ ვიცი, თუ დაადასტურა, რა იყო, ეს იყო ბაქრაძის პირველი შეხვედრა პუტინთან. მე მქონდა ეს სიამოვნება ბევრჯერ, მრავალჯერის წარსულში, და ვკითხე დათოს, – რა იყო მისი შთაბეჭდილება. და მან მითხრა, რომ შთბეჭდილება არის ძალიან მძიმე – როგორც ჩანს, ის გვემუქრება ჩვენ ომით, სიტყვა სიტყვით. და მე ვუთხარა, – სამწუხაროდ, მეც ეგეთი შთაბეჭდილება შემექმნა დაახლოებით.

შემდეგ თქვენ ასხენეთ შეხვედრა მედლევეთან ივნისში და მე ამ შეხვედრაზე წავედი დიდი იმედებით, რომ ჩვენ გვაქვს საქმე მართლაც რუსეთის ახალ პრეზიდენტთან, რომელსაც, როგორც მე, დაახლოებით იმავე წლებში გვაქვს დამთავრებული იურიდიული ფაკულტეტი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ღია წყაროებიდან არ არის ცნობილი, რომ არ მსახურობდა კაგებეში და ეს დადებით ფაქტორად მიივიჩნით საერთო ენის გამოსანახავად, რომელიც აცხადებდა, რომ ძალიან უყვარს თანამედროვე მუსიკა, თანამედროვე ცხოვრების წესი, რომელსაც ეხერხება გაღიმება და რაღაცნაირად ტოვებდა შთაბეჭდილებას გახსნილი ადამიანის ტელევიზიით და ამიტომ მე დიდი სიამოვნებით მას შევხვდი.

მინდა, ვთქვა, რომ შეხვედრა იყო კლიმატის თვალსაზრისით მისი, პირადად, მხრიდან ცოტათი უკეთესი ვიდრე მე ვიყავი შეჩვეული ამ შეხვედრებიდან. მან თქვა, რომ, ჩვენ მზად ვართ, ყველა საკითხი განვიხილოთ ახალ შეხვედრაზე. იქ დეტალებში არ შევედით შემოგვთავაზა, რომ შეხვედრა შემდგარიყო უახლოეს ხანში და მთლიანობაში თქვა, რომ, – ჩვენ გვინდა, რომ რაღაცნაირად ურთიერთობა გავაუმჯობესოთ. ამის შემდეგ, ჩვენ გამოვედით იქიდან დადებითი ემოციით. მივწერეთ ჩვენ მას წერილი, ეგრევე, ძალიან თამამი წინადადებით და ამის შესახებ, მოგვიანებით მოგახსენებთ თუ კი კითხვები გაგიჩნდებათ და ველოდებით მოუთმენლად პასუხს. პასუხი მათ გამოუგზავნეს ბატონ გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც აქ არის და მან დამირეკა და თქვა, რომ პასუხი არის ძალიან იმედგამაცრუებელი. ამის შემდეგ მე ვნახე მედლევე, ასტანაში, ასტანის იუბილესთან დაკავშირებით ყაზახეთში და როდესაც და მე მას ვკითხე – რა ბედი ეწია ჩვენ შეხვედრას იმიტომ, რომ მანამდე ჰქონდა სატელეფონო საუბარი, სადაც ამ თემაზე ვერ მივიღე ზუსტი პასუხი და მან თქვა, რომ, – ალბათ, ახლა შეხვედრისთვის ჯერ არ არის, სანამ ფუნდამენტურად არ შეიცვლება სიტუაცია საქართველოს და რუსეთს შორის. რაც მე მიუგე, რომ, – ყველა შემთხვევაში აქვს აზრი შეხვედრას იმიტომ, რომ ასე დაულაპარაკებლად კიდევ უფრო მეტად, შეიძლება გართულდეს სიტუაცია და ისედაც, ძალიან მძიმე ვითარებაში ვართ, – მაგრამ, სამწუხაროდ, მან ამ შეხვედრის, შეხვედრაზე, იქვე, ძალიან ზუსტად, ნათლად განმიცხადა უარი. მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ივნისის შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტილების მიღების მთავარ ცენტრში რუსეთში, ალბათ, მას უთხრეს საყვედური ამ შემოთავაზებაზე თუ რაღაც სხვა ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი რიტორიკა უკვე ივლისის თვეში, ასტანაში, იყო ძალიან განსხვავებული იმისგან, რაც მე მოვისმინე თუნდაც ივნისში, რომელიც არ იყო იდეალური, მაგრამ რაღაცას მაინც ჰგავდა.

სხვათა შორის, მე ამის შესახებ, ადრე ვთქვი, ეს იყო ასტანაში, ასეთი არაფორმალური შეხვედრის დროს და ნაზარბაევი მომიბრუნდა ამ ჩვენი დიალოგის შედეგად მედლევეთან და თქვა, რომ მე არასოდეს არ მინახიხარ შენ ასეთ ცუდ ხასიათზე. რა მოგივიდა? ეტყობა ეს ვერ დავმალე მე, როგორც წესი, ვცდილობ ყოველთვის ვიყო ძალიან გახსნილი და კომუნიკაბელური ამ შეხვედრების დროს. ასე რომ, ასე იყო, ამ

მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ ამ შეხვედრებთან დაკავშირებით. ამას, ამის პარალელურად თქვენ იცით, რომ განხორციელდა ზევრი პროვოკაცია ჩვენ მიმართ, განხორციელდა სამართლებრივი აქტები და განხორციელდა კონკრეტული სამხედრო მოქმედებები. იყო ასევე ძალიან ცუდი რიტორიკა, როგორც საინფორმაციო საშუალებებში, ასევე თანამდებობის პირების განცხადებაში ჩვენი მიმართებით, ჩვენთან მიმართებაში. აი, ეს არის ძირითადად ის, რაც ეხებოდა. მე ეს საბოლოოდ მინდა ვთქვა, ალბათ, ამაზე კითხვა გექნებათ, ჩემი ბოლო მცდელობა ომის წინ დაკავშირების პრეზიდენტ მედვედევთან იყო 6-ში საღამოს, 5-ში, თუ არ ვცდები, თუ 6-ში? 6-ში საღამოს. 6-ის საღამოს, როცა სიტუაცია ძალიან გართულდა პირველი მე დაფურეკე არა ვინმე სხვას, არამედ პრეზიდენტ მედვედევს ანუ შევეცადე, რომ დამერეკა და პასუხი მათი საგარეო სამინისტროს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ჩვეულებრივ ვუკავშირდებოდით მათ, იყო შემდეგი: არ არის მომწიფებული სიტუაცია, ჯერჯერობით ადრეა პრეზიდენტების ლაპარაკი. პრეზიდენტებმა დაილაპარაკონ მოგვიანებით. და ამით შემოვარგლა მათი პასუხი. ნუ, მერე შემდეგ იცით, რომ 8-ში, 9-ში, 10-ში ყოველდღე ვცდილობდი ან მედვედევთან ან პუტინთან დალაპარაკებას. და, სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ეს ინიციატივა, რომ მე დამერეკა შემდგომ, ჯერ მე ვცადე, მერე შემდგომ თვითონ სხვადასხვა დიპლომატიური წყაროებით რუსები გვითვლიდნენ, რომ მოდით, გადმორეკეთ და ყველა ამის შემდეგ ეს იყო ასეთი თამაში. მე ვრეკავდი, ისინი არ პასუხობდნენ. მაგრამ ნუ, ესეთი თამაში ჩვენ ვნახეთ შემდეგ ბევრჯერ. ჩემ თვალწინ პრეზიდენტი სარკოზის არ აკავშირებდნენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, როცა ის იყო თბილისში ჩამოსული, პრეზიდენტ მედვედევთან სხვადასხვა საბაბით. როგორც ჩანს, ეს არის მათი დიპლომატიური თამაშის შემადგენელი ნაწილი. ეს რაღაცა, ესეთი ბიზანტიურ-მონღოლური თამაში, რომელიც რაღაც ელემენტებმა, ალბათ, ბიუროკრატიის, შეინარჩუნეს. რა კითხვები გაქვთ?

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, აქედან გამომდინარე, არ შემიძლია არ გკითხოთ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენმა პირადმა აგრესიულმა დამოკიდებულებამ რუსეთის მიმართ, ...

მ.სააკაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. რაც აქტიურად ჩანდა თქვენს რიტორიკაში, შეუძლებელი გახდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირება.

მ.სააკაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. მე ამ რიტორიკის მომენტს, მოვიყვანდი ერთ მაგალითს, ვთქვათ, რატომ უწოდეთ თქვენ რუსეთის პრეზიდენტს მაშინდელს პუტინს ლილიპუტინი და აი, ამან ხომ არ გამოიწვია აგრესიის მომენტები.

მ.სააკაშვილი. ბატონო პაატა, თქვენ თვითონ თუ მოგისმენიათ პირადად, რომ მე მას ვუწოდე ის, რაც თქვენ ახლა თქვით. არ მინდა გამეორება. სადმე მოისმინეთ?

თავმჯდომარე. მე ამ კითხვას ვსვამ იმიტომ, რომ ჩვენ, საზოგადოებიდან მივიღეთ ეს, თითქოს თქვენ ამ კითხვაზე, ასე მიმართეთ რუსეთის პრეზიდენტს და ის აგრესია, რაც გქონდათ თქვენ, იყო შემდგომ აღქმული რუსეთის მხრიდან . . .

მ.სააკაშვილი. საზოგადოებაში ბევრი რამ შეიძლება გავრცელდეს, მაგრამ მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, არასდროს არც ერთ ვითარებაში, არც პირადი შეხვედრის დროს, არც საჯარო გამოსვლის დროს, არც ვინმე სხვა ლიდერებთან ან ჩვეულებრივ ადამიანებთან, ჩვენს მოქალაქეებთან ან სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან საუბრის დროს. მე ხაზგასმით ყოველთვის პატივისცემით ვეკიდებოდი მათ და არასდროს მიმიყენებია არც ასეთი ტიპის შეურაცხყოფა, არც რაიმე სხვა სახის უხეში გამონათქვამი არ გამომიყენებია რუსეთის რომელიმე ლიდერის მიმართ. ეს იყო ჩემი მოქმედების პრინციპი და არამხოლოდ ომამდე, თუ დააკვირდებით, ომის შემდეგაც, პრაქტიკულად, მე მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი, რა თქმა უნდა, მქონდა საბაბი გამწარების და ეხლა თქვენ, ალბათ, იცით ბოლოს, პრეზიდენტმა სარკოზიმ გაავრცელა ან მისმა კანცელარიამ, რა ეპითეტებით, რა მუქარებით გვამკობდნენ ჩვენ რუსეთის ლიდერები. რა ტერმინებს არ ხმარობდნენ ჩვენს მიმართ. მე ვარ მათ მიერ გადაღებული რამდენიმე ძალიან საინტერესო ფილმის სიუჟეტში, რომელსაც ისინი ფართოდ ტირაჟირებდნენ მასმედიის საშუალებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ არასდროს მათ მიმართ არ გამოგვიყენებია რაიმე ცუდი ტერმინი. ეს ერთი და მეორე, მე ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, რომ რომელიმე მათგანი ძალიან მიყვარს ან პირიქით, მათ მიმართ რაღაც მამოძრავებს სხვა. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს ურთიერთობები არ არის პირადი ურთიერთობები. ეს არის ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის. ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ განწირული ვიყავით იმისათვის, რომ მოგვწონს ერთმანეთი თუ არ მოგვწონს, ეს ურთიერთობები დაგველაგებინა და უფრო მეტსაც გეტყვით, ჩემი პირველი განწყობა, როცა მე ჩავედი მოსკოვში, აი თქვენ ახსენეთ, ეხლანდელი თებერვლის შეხვედრა, მაგრამ მე მახსოვს პირველი თებერვლის შეხვედრა 2004 – ში. მე მქონდა შინაგანი მოთხოვნილება, რაღაცნაირად შემიძლია გაგიზიაროთ, რომ პუტინი მომწონებოდა არა როგორც, ვთქვათ, ცალკე აღებული ინდივიდი, არამედ პარტნიორი პრეზიდენტი. მართლა მქონდა ეს მოთხოვნილება ყველა ჩემი, ყველანაირი ჩემი მართლა ინსტინქტი მკარნახობდა, რომ კარგი იყო, რომ მაქსიმალურად მქონოდა კეთილგანწყობილი კარგი ურთიერთობა, ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. მე ეს მოვახერხე

მსოფლიოს ბევრ ლიდერთან. თქვენ იცით, რომ მრავალი ევროპელი ლიდერი, პრეზიდენტი ბუში, სხვა ჩვენს მეზობლებთან, მე მაქვს უბრალოდ, აი, ასეთი მეგობრული, ადამიანური საკმაოდ ფამილარული ურთიერთობები. თუმცა იქაც, რა თქმა უნდა, ჩვენ ერთმანეთს რაღაც ზედმეტი ფამილარობის საშუალებას არ ვაძლევთ. სამწუხაროდ, რუსეთის შემთხვევაში მათი მხრიდან ამის სურვილის არქონის გამო და, მე ვფიქრობ, მთავარია სურვილის არქონა უკავშირდებოდა იმას, რომ ისინი ჩვენ არ განგვიხილავდნენ თანასწორუფლებიან პარტნიორებად. ისინი არ განგვიხილავდნენ ჩვენ ცალკე მოთამაშებათაც. ასე მიაჩნდათ, რომ ჩვენ ვართ რაღაც ფართო კონსპირაციის ნაწილი მათ წინააღმდეგ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მათთვის, მათთან აი ესეთი ტიპის ურთიერთობის ჩამოყალიბება, მაგრამ მიუხედავად ამისა მე მინდა ვთქვა, რომ აი მითები, რომლებიც ვრცელდება, რომ ჩვენს შორის პიროვნების გამო დაიძაბა ურთიერთობა, მე ვფიქრობ, ეს არის იმ ხალხის გავრცელებული, რომელსაც არ უნდა დაინახოს ფუნდამენტური პრობლემები ურთიერთობებში. მე მინდა შეგახსენოთ, რომ თუ ვინმეს ვერ იტანდა დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა ჩემზე მეტად, ეს არის ჩემი წინამორბედი პრეზიდენტი შევარდნაძე. პრეზიდენტ შევარდნაძეს ისინი სხვადასხვა ფორმალურ, არაფორმალურ შეხვედრებზე ამკობდნენ ყველანაირი ეპითეტებით, ისეთებით, რომლებიც ჩვენ არასოდეს არ მოგვადგებოდა არც ენაზე და არც ჭკუაში არ გავივლებდით. შევარდნაძის დროს დაბომბეს მათ პირველად რამდენჯერმე საქართველო, შევარდნაძის დროს გათიშეს, პირველი აქტი პუტინის, სამსახურში როცა მივიდა, როგორც ჯერ კიდევ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ეს იყო საქართველოსადმი გახის გათიშვა და ბოლო აქტი პრეზიდენტი კლინტონი სანამ წავიდოდა იყო, დაურეკა პუტინს და სთხოვა საქართველოსადმი გახის ჩართვა. ეს გაუკეთეს ედუარდ შევარდნაძისდროინდელ საქართველოს. ასე, რომ ურთიერთობები ბევრად უფრო ადრე დაიძაბა და, მე ვფიქრობ, აქ იყო ფუნდამენტური განსხვავებები და არა პიროვნებათა შეუთავსებლობა.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, აი თქვენ საუბრობთ იმ სიტუაციაზე, შეხვედრაზე პუტინთან, მედვედევთან და თქვენ ახსენეთ, რომ თქვენ იყავით ცუდ ხასიათზე, როდესაც მიხვდით, რომ მზადდებოდა რაღაც სერიოზული პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ. გქონდათ თუ არა ამ საკითხებზე საუბრები აშშ-ის ადმინისტრაციასთან, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა და საერთოდ მიიღეთ თუ არა თქვენ აი ესეთი გავრცელებული ხმები, მწვანე შუქი საბრძოლო მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების ადმინისტრაციისაგან და სად გადიოდა ეს წითელი ხაზები ჩვენთვის, საქართველოსთვის, აი ასეთ სიტუაციაში და სად გადიოდა წითელი ხაზები ჩვენი პარტნიორებისათვის, როგორც მთავარი პარტნიორი შეერთებული შტატებია, იმიტომ, რომ ფაქტიურად დღეს საზოგადოებაში მუსირებს აზრი, ის ინფორმაციები, რაც ჩვენ მივიღეთ აქ გარკვეულწილად იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა არის რაღაც ჯგუფი, რომელიც აწარმოებს რაღაც მოლაპარაკებებს მწვანე შუქებთან დაკავშირებით. აი ამ თემატიკაზე თუ შეიძლება, რომ პასუხი გავცეთ.

მ.საკაშვილი. მე მინდა ვთქვა, რომ ეს ტერმინოლოგია, არ ვიცი საიდან მოვიდა საერთოდ მწვანე შუქების ან რაიმე შუქების. ჩვენ არასდროს არავისთვის არანაირი მწვანე შუქის ანთება არ გვითხოვია და, მით უმეტეს, ეს მწვანე შუქი თვალათა არ გვინახავს და არც არავის ამის სურვილი არ გასჩენია. საუბარი არის ძალიან კონკრეტული, ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით ჩვენს მეგობრებს, რომ რუსეთი ატარებს უკიდურესად აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც, უბრალოდ, ადარ ჯდება ჩვეულებრივი, კლასიკური პროვოკაციების ჩარჩოებში.

როდესაც საუბარი არის, პროვოკაცია არის, შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს, რაღაც განცხადება გააკეთო, იქ რაღაც, ვიღაცა დაიჭირო, რაღაცა ჩაუგდო. მე არ ვიცი, მაგრამ როდესაც საუბარია დაბომბვებზე შენი ქვეყნის; როდესაც საუბარია სამხედრო ბაზების მშენებლობაზე შენს სუვერენულ ტერიტორიაზე, როდესაც საუბარია ლეგალიზაციაზე, ეთნიკური წმენდის შედეგად დამკვიდრებული რეჟიმების, როდესაც საუბარია ასობით ათასი ჩვენი თანამოქალაქის ქონების მიტაცებაზე სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ; როდესაც საუბარია პასპორტების გაცემაზე, რომელიც არის კონკრეტული აგრესიული იურიდიული აქტი, ეს უკვე პროვოკაციები აღარ არის, ეს უკვე არის კონკრეტული ქმედებები ანექსიის თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენი საუბრები კიდევ უფრო შორს მიდიოდა. ჩვენ ვეუბნებოდით, ყოველთვის, ჩვენს მეგობრებს ევროპაშიც და ამერიკაშიც, რომ თუ დაიწყო მაგალითად, ხალხის მასობრივი დაწიოკება სხვადასხვა ადგილებში, თუ ისე დაიწყო ათობით ათასი ჩვენი მოქალაქის გამოყრა, თუ დაიწყო მასობრივი აფეთქებები და შეტევები, რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა უკვე პრაქტიკულად, ტოლფასი იმისა, რომ ჩვენ გადავვებით ძალიან აქტიურ დაპირისპირების სტადიაზე ჩვენს დიდ მეზობელთან და ჩვენ ყველას ვთხოვდით, გთხოვთ, ავგაცილეთ თავიდან ეს ყველაფერი, გთხოვთ, დაელაპარაკოთ რუსებს. და, მე ვფიქრობ, რომ, სადღაც, ზაფხულისთვის ეს ჩვენი პარტნიორებისთვის, შეიძლება ზოგიერთისთვის ნაგვიანვეად, მაგრამ მაინც ნათელი გახდა, ამიტომ ჩამოვიდა სოლანა ევროკომისიიდან, ამიტომ ჩამოვიდა შტაინმაიერი ძალიან კონკრეტული პაკეტების წინადადებით, ამიტომ ჩამოვიდა კონდოლიზა რაისი. იმიტომ, რომ ჩვენ ყველას ვეუბნებოდით, სიტუაცია ძალიან ძნელდება და როგორმე ერთად ავიცილოთ თავიდან ის, რაც შეიძლება მოხდეს.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს ჩარევა იყო რამდენადმე დაგვიანებული და იმდენად ინტენსიური, რომ ჩვენ თავიდან აგვეცილებინა ეს კონფლიქტი. ამავე დროს, მინდა ვთქვა, რომ სამწუხაროდ, ასევე, მთელ რიგ მოვლენებში ზოგიერთი პარტნიორის უმოქმედობამ ან ცოტა წაყრუებამ რეალურად არასწორი სიგნალი, შეიძლება ამას გაეგზავნა, მათდა უნებურად, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის აგრესიული ნაწილისთვის და ესეც ერთ-ერთი ფაქტორი იყო იმ ყველაფრისა, რაც შემდგომ საქართველოში მოხდა.

ავგისტოში, საქართველოში, რომ ვთქვათ უფრო ხატოვნად, ომი არ დაწყებულა. ომი, ფართო გაგებით დაიწყო ბევრად უფრო ადრე წლებით და თვეებით ადრე. ავგისტოში რუსეთმა გადაწყვიტა ომის ყველაზე აქტიურ ფაზაში გადაყვანა და დამთავრდებოდა ერთხელ და სამუდამოდ ამ საკითხის მომთავრება. ეს იყო, მაგრამ ყველაფერი მანამდე რაც ხდებოდა, სამწუხაროდ, არ გახდა მაინც იმ ადეკვატური რეაგირების საგანი, როგორც მე ვისურვებდი. თუმცა, ალბათ, თითქმის შეუძლებელი გააკეთეს ჩვენმა დიპლომატებმა, თქვენ პარლამენტარებმა იქ ყველა სხვა ადამიანმა, ვინც ამაში იყო ჩართული, იმისათვის, რომ ჩვენ ეს თავიდან აგვეცილებინა.

მიზანი, კიდევ ერთხელ ვამბობ, იყო თავიდან აცილება ფართომასშტაბიანი დაპირისპირების. ეს იყო ჩვენი მიზანი მოკლევადიანი. გრძელვადიანი მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით და იმედია, რუსეთის ან მხარდაჭერითპირობებში, ან თუნდაც კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პირობებში. სამწუხაროდ, ეს არ განხორციელდა.

თავმჯდომარე. ერთი დამაზუსტებელი

დ.ლორთქიფანიძე. დამაზუსტებელი, დიახ.

თავმჯდომარე. კითხვაა ამასთან დაკავშირებით და მერე ბატონ გივი თარგამაძეს.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ახსენეთ ქალბატონი კონდოლიზა რაისის ჩამოსვლა იმ საკმარის ვრცელი ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა ინტერპრეტაციით. მე მინდა გკითხოთ პირდაპირ, თქვენ ახსენეთ გარკვეული მონაცემები ან პროვოკაციები, რასაც სავარაუდოდ რუსები ახორციელებდნენ ან განახორციელებდნენ და თქვენ თქვით, რომ ამაზე დემოკრატიული ხელისუფლების პასუხი იქ იქნებოდა ადეკვატური. მაგრამ, იყო თუ არა კონდოლიზა, ქალბატონი რაისისგან პირდაპირი გაფრთხილება, რომ მიუხედავად აი ამ პროვოკაციებისა, ჩვენ, ქართული მხარე არ წამოვეგბოდით ამ პროვოკაციებს.

მ.საკაშვილი. მუდმივად ჩვენ ვაფრთხილებდით ამერიკელებს, რომ პროვოკაციების ინტენსიფიკაცია ხდებოდა და ამერიკელების პასუხი იყო მაქსიმალურად თავი შეგვეკავებინა, რომ არ ავყოლოდით ამ პროვოკაციებს. მაგრამ ასევე ფუნდამენტური დებულება, რომელიც ჰქონდათ ამერიკელებს, და ჩვენ ევროპელ პარტნიორებს, ეფუძნებოდა ერთ სტრატეგიულ გათვლას, რომელიც შეიცვალა მხოლოდ ავგისტოში.

რუსეთი მიუხედავად თავისი მუქარებისა, მიუხედავად თავისი აგრესიულობისა და ადვილადგაღიზიანებადობისა ნუ, მიუხედავად ყველანაირად წვრილმანი და მსხვილი პროვოკაციებისა, მაინც არ იყო მზად ფართომასშტაბიანი ინტერვენციისთვის სხვა ქვეყნებში. იმიტომ, რომ რეალურად ბოლო ასეთი დიდი ინტერვენცია იმ მასშტაბის, რომელიც განხორციელდა საქართველოში, განახორციელა 1979 წელს საბჭოთა კავშირმა ავღანეთში და მანამდე განახორციელა 68 წელს ჩეხოსლოვაკიაში და მანამდე 56 წელს უნგრეთში. და ფუნდამენტური დებულება, რომელიც ჩამოყალიბდა 90-იან წლებში, არის, იგი იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ფარულად თუ ღიად მონაწილეობდა სხვადასხვა კონფლიქტებში, ავითურებდა ხელს, რომ არავის არ სჯეროდა და ჩემი მთელი საუბრების არსი იყო ის, რომ ფუნდამენტურად, ის მზად იყო წასულიყო იგივე რამეზე, რაზეც ბრეჟნევის საბჭოთა კავშირი წავიდა ან ხრუშჩოვის დროს წავიდა საბჭოთა კავშირი უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ავღანეთში.

აი, ეს იყო მთავარი გაუგებრობა, უფრო სწორად მთავარი შეუთანხმებლობა. აქ კი, ყველაფერი კარგი, მაგრამ მოდით, ნუ ჩავებმებით ამ პროვოკაციაში და რუსეთი, პრინციპში, ამის გამკეთებელი არ არის. სამწუხაროდ, ეს ფუნდამენტური დებულება არსებობდა და უფრო მეტსაც გეტყვით: შეიძლება ზოგიერთ ჩვენგანსაც გულში ბოლომდე მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა საქართველოს გარეშე ყველა უტყუარი ნიშნით გავდა ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციისთვის მზადებას, ზოგიერთ ჩვენგანს და ამ ზოგიერთში შევედივარ მეც, შეიძლება გულში მაინც ბოლომდე არ გვეჯეროდა, რომ ნუთუ მართლა გადალახავენ ამ წითელ ხაზს, ნუთუ მართლა ასე აიღებენ თავზე ხელს.

ამიტომ იყო, რომ თქვენ გუშინ აქ ვანო მერაბიშვილმა გითხრათ, შეიძლება დაგვაგვიანდა რეაგირებაო. მე ვალიარებ, რომ შეიძლება დაგვაგვიანდა რეაგირება, სანამ 500-ჯერ არ გადავამოწმეთ, სანამ ყველანაირი წყაროები არ შევადარეთ: დაზვერვის დეპარტამენტი, იქ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადგილიდან მიღებული ინფორმაცია, უფრო მეტსაც გეტყვით, ზოგიერთ ჩემს ნაცნობს, ვთქვათ, გორში და გარშემო სხვადასხვა წყაროებიდან გვაწვდიდნენ ამ ინფორმაციას, რომ არის აქტიურობა, სანამ ნამდვილად არ შევეტაკეთ აი, პირდაპირ სახეზე იმ ფაქტს, რომ ხდება ის, რაც იყო წარმოდგენილი, ჩვენ თვითონაც ბოლომდე გვიჭირდა ამის დაჯერება და უფრო მეტსაც გეტყვით, დღეს გადახედეთ, დღესაც კი ბევრს ევროპაში და ამერიკაში და სხვაგან მსოფლიოში, უჭირს, მართლა უჭირს დაჯერება პოსტფაქტუმ, როცა ეს ხდება, – ნუთუ მართლა მათ ეს გააკეთეს, ნუთუ მათ პირველებმა ეს ნაბიჯი გადადგეს.

იმდენად ფუნდამენტურად შეიცვალა მთელი მსოფლიო წესრიგი რუსეთის აგრესიის შედეგად, ის მსოფლიო წესრიგი, რომელიც ჩამოყალიბდა ცივი ომის დამთავრების შემდეგ 1991 წელს, იმიტომ რომ ეს ხომ მართლ ინტერვენცია არ არის, გადაიხედა ყველაფერი, გადაიხედა ის, რომ ცივი ომის ... დოქტრინა, ჩვენ ყველანი ვიმეორებთ, რომ ცივი ომი შეუძლებელია, მაგრამ ის, რაც რუსეთმა გააკეთა, ეს იყო ცივი ომის ცხელი გამოვლინება, რომელსაც ცივი ომის დროსაც ძალიან იშვიათად აკეთებდა. ის, რასაც ჩვენ ფუნდამენტურად ვიმეორებდით, რომ საზღვრები ურღვევია, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დიდმა ევროპულმა სახელმწიფომ გააკეთა მცდელობა თავისი მეზობლის საზღვრების ხელყოფის, სამხედრო ძალის გამოყენებით.

ნაცისტური გერმანიის და სტალინის საბჭოთა კავშირის შემდეგ, ასეთი მცდელობა ევროპაში არის სრულიად უპრეცედენტო. რა თქმა უნდა, მოდით, მე ბოლომდე არც გავამტყუნებდი ჩვენს მეგობრებს, რომ მათაც ეს ბოლომდე არ ეჯერათ.

თავმჯდომარე. ბატონო გივი.

მ.საკაშვილი. ბატონ ლევანს ჰქონდა კიდევ თუ არ ვცდები.

ლ.ვეფხვაძე. არა, არა გავაგრძელებ მე, ბატონო მიხეილ...

მ.საკაშვილი. მე რამდენადაც ვიცი ამ კომისიაში სტოლი მანც ოპოზიციას მიყავს, ესე რომ, ესეთი ... უმრავლესობა მე ჯერ არ მინახავს.

ლ.ვეფხვაძე. თქვენ ახსენეთ ფუნდამენტალური დებულებები, რომელსაც ეფუძნებოდნენ ჩვენი დასავლელი პარტიორები, როდესაც არ იჯერებდნენ მოსალოდნელ და სავარაუდო ინტერვენციას, მაგრამ ჩვენ აქ კომისიაზე ვუსმინეთ თავდაცვის მინისტრს, ვუსმინეთ შინაგან საქმეთა მინისტრს, უშიშროების საბჭოს მდივანმა წარმოადგინა მთელი, ასე ვთქვათ, ჯაჭვი იმ ღონისძიებებისა, რასაც რუსები ახორციელებდნენ და აი მოხსენებებს როცა ვუსმენდით, შემდეგი ნაბიჯი, ლოგიკური ნაბიჯი, ცხადია, პირველი ასეთი შთბეჭდილება რჩება, უნდა იყოს ინტერვენცია. მიუხედავად ამისა, ყველა თანანამდებობის პირი, რომელიც ჩვენ გვყავდა მოწვეული, მათ შორის, თქვენც, ბატონო პრეზიდენტო, გამოხატავთ დიდ გარკვეულ, ამბობთ, რომ გქონდათ მანც გარკვეული ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსები მანც ბოლო მომენტში არ გარისკავდნენ და არ წავიდოდნენ ამხელა ინტერვენციაზე.

თუნდაც, ის ფაქტი, თქვენგან რაც ვიცით ჩვენ, რომ 7-ში ნახევარი საათით ადრე გადაიდო თქვენი ვიზიტი პეკინში, ეს ხომ არ იყო რაღაც გადამეტებული ოპტიმიზმი იმ რეალობასთან, რაც ჩვენ გვქონდა იმიტომ, რომ 29-ში, ივლისს, უკვე 120-მილიმეტრიანი ნალმებით იზომებდა პირველად ჩვენი სოფლები. 1-ში, 2-ში, 5-ში, 6-ში ეს პროცესი მიმდინარეობს და ამ დროს თქვენ მანცდამანც ბოლო წუთში და არა მანამდე. 7-ში დილას ჩვენ უკვე გვაქვს ინფორმაცია, რომ კოლონა იწყებს შემოსვლას. რას ეფუძნებოდა, რა ინფორმაცია, რა ანალიტიკური ჯგუფი მუშაობდა ჩვენთან, დაფუძვით, რომელიც თქვენ გაწვდიდათ ინფორმაციას, რომ ეს ინტერვენცია მანც შესაძლოა არ შედგეს.

მ.საკაშვილი. ბატონო ლევან, მე ვიზიარებ...

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, მე დავუმატებ ბარემ, თქვენ რომ ერთბაშად გასცეთ პასუხი ამ ბლოკთან დაკავშირებით. რაც ბატონმა ლევანმა აღნიშნა ინტერვენციასთან დაკავშირებით, მზადებასთან დაკავშირებით, რაც ჩანდა. აი, როდესაც ის დაზვერვის დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო გაწვდიდათ თქვენ ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას, რატომ არ შეუჩერეთ მანდატი რუსეთის სამშვიდობო ძალებს, რომლის საფუძველზეც დაიწყო გარკვეული ოპერაციების წარმოება და გამოყენებული იყო ეს მანდატი ჩვენ საწინააღმდეგოდ.

მ.საკაშვილი. ბატონო ლევან, მე მინდა, ჯერ ერთი, ნაწილობრივ გავიზიარო ის კრიტიკა ჩემს მიმართ, მინდა ვიყო უფრო თვითკრიტიკული და მინდა გითხრათ, ისევე გავიმეორო ის, რაც მანამდე მოგახსენეთ. ალბათ, სადაც გულში, ღრმად, ჩვენ ყველას ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ რუსეთი ამას გააკეთებდა. და ნუ გამამტყუნებთ იმიტომ, რომ ამისი არ სჯეროდა არც კანცლერ მერკელს, რომელსაც ველაპარაკე დეტალურად, რომ ასეთი სცენარი შესაძლებელია, ივნისში. ამის შესახებ არ სჯეროდათ ბოლომდე არც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას, რომელთაც აქვთ ძალიან კარგი სადაზვერვო აპარატი და შეეძლოთ მათგან მიეღოთ ინფორმაცია ამ ყველა გადაადგილებებზე და მოძრაობაზე. ამის შესახებ ბოლომდე არ სჯეროდათ არც იმ ლიდერებს, რომელთაც მე ვუკავშირდებოდი, თუნდაც, 7-ში. ასე, რომ, რა თქმა უნდა, ალბათ, ჩვენ ვიყავით ზედმეტად, ზედმეტად ნაკლებად ფრთხილები, თუ ასე შეიძლება ითქვას, მაგრამ მე მინდა გავიმეორო, რომ ეს პროვოკაციები ხომ 6-ში და 7-ში არ დაწყებულა. ეს არის რამდენიმეწლიანი ისტორია. და როგორც წესი, როგორ ხდებოდა. ხდებოდა ესკალაცია, ისინი გვიხსნიდნენ ჩვენ ცეცხლს. სამწუხაროდ, ამას ეწირებოდნენ ასევე ჩვენი მოქალაქეები, ყველა ეთნიკური წარმომავლობის, და ასევე ჩვენი პოლიციელები. ჩვენ ვუბრუნებდით ცეცხლს და, როგორც წესი, მერე სიტუაცია წყნარდებოდა ხოლმე კარგა ხნით. აი, ასე მაგალითად, ივლისის დასაწყისში იყო თავდასხმა დიმიტრი სანაკოვეზე ჩვენ გავეცით პასუხი, გავაძლიერეთ ზომები უსაფრთხოების და შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ცხინვალის მიმართულებით რაიმე შეიარაღებულ პროვოკაციას არ ჰქონია ადგილი. იმიტომ როცა ესკალაცია დაიწყო ავგისტოს დასაწყისში ჩვენ ვთქვით, რომ შეიძლება ეს ატარებს მართლა პროვოკაციის ხასიათს, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, გავაძლიეროთ პოსტები, გავაძლიეროთ ჩვენი მზადყოფნა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ შეიძლება ეს ისევე ჩაცხრეს. ნუ მანამდე მე ვიყავი, საერთოდ, როცა დაიწყო რიტორიკა რუსეთის მხრიდან, ამას მივაქციე ყურადღება, იმიტომ რომ გახლდით ოჯახთან ერთად დასასვენებლად საზღვარგარეთ და მქონდა სიამოვნება, ბრჭყალებში, რომ მქონოდა ოთახში რუსული არხები და დავინახე რუსულ არხებზე ხდება უჩვეულო დუდილი.

ლ.ვეფხვაძე. ბოდიში რომ, გაწყვეტინებთ, ...

მ.საკაშვილი. დიახ.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო მიხეილ, გაჟღერდა ჩვენთან კომისიაზე ბატონი კიწმარიშვილის მიმართ, ეს 21 ივლისის თემაა.

მ.საკაშვილი. რა არის 21 ივლისი?

ლ.ვეფხვაძე. 21 ივლისის თქვენ იყავით იტალიაში, მის მიერ გაჟღერდა. ანუ რა მიზნით იყავით იტალიაში 21 ივლისის წასული ერთი კვირით?

მ.საკაშვილი. 21-ში ვიყავი თუ არა, არ მახსოვს, მაგრამ რამდენიმე დღით ვიყავი, უფრო სწორად, ერთი კვირით ვიყავი წასული და ჩამოვედი 4 თუ 5 დღეში, ჩემს მეუღლესთან სანდრასთან, ედუარდთან და ნიკოლოზთან ერთად დასასვენებლად პირველად, სხვათა შორის, ამ 5 წლის განმავლობაში, რამდენიმე დღით მივეცით ჩვენ თავს უფლება, მას შემდეგ რაც რამდენიმე კვირა იყო სიწყნარე, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ სანაკოვეის ინციდენტის შემდეგ, რამდენიმე კვირა იყო, ხაზგასმით, სიწყნარე და ჩავთვალეთ, რომ შესაძლებელია იქაც რამდენიმე დღით წასვლა თან იმ პირობებში, როცა სამი საათის სავალზე ვიყავით თბილისიდან. ნებისმიერ მომენტში შეგვეძლო მისვლა აეროპორტში, გამოფრენა და სამ საათში ვიქნებოდით თბილისში. იგივე იქნებოდა რომ წავსულიყავით, ვთქვათ, ქუთაისში მანქანით. მაგრამ რაც შეეხება შემდგომ ესკალაციას, აქ საუბარი სწორედ ამაზეა, რომ ჩვენ ამ სიტუაციაში მე დავრუნდი, დაიწყო ესკალაცია მაგრამ ჩვენ გავვეით პასუხი, გავაძლიერეთ პოსტები, მაგრამ პეკინში ჩვენ ხომ გასართობად არ მივდიოდით? პეკინში ჩვენ გვექონდა დაგეგმილი შეხვედრები რამდენიმე მსოფლიო ლიდერთან. მე ვცადე დალაპარაკება პრეზიდენტ მედვედევთან ტელეფონით, ამაზე, პრაქტიკულად, მივიღეთ უარი, მაგრამ უნიკალური შანსი გვენახა პუტინი, პრეზიდენტი ბუში, სარკოზი, ევროკავშირის თავმჯდომარე და საფრანგეთის პრეზიდენტი, იყო მაშინ პეკინში. პირველი ასეთი შანსი გვექონდა თუნდაც, გარდა ორმხრივი შეხვედრებისა, რომელიც მოვითხოვეთ, რომ 12 საათზე 8-ში იყო დანიშნული მიღება, სადაც ყველა მსოფლიო ლიდერი ერთად შეიკრიბებოდა. ასეთ მიღებაზე თუნდაც, აი, 5 წუთი რომ გაიყვანო გვერდზე ადამიანი და ელაპარაკო, ესეც უკვე მნიშვნელოვანია. ამიტომ პირველი ჩემი გეგმა იყო გავფრენილიყავით დილას, ჩამესწრო ამ მიღებაზე და ეს გვენახა. მაგრამ ზუსტად იმ პერიოდში, როცა გვეგონა, რომ შედარებით ჩაცხრა სიტუაცია, გაუხსნეს ცეცხლი რამდენიმე ჩვენს სოფელს. ამიტომ ვთქვი, რომ, კარგი, მიღებაზე აღარ მივდივარ, გადავდოთ და წავიდეთ გახსნაზე, სადაც ყველა ეს მსოფლიო ლიდერი ასევე იქნებოდა. მაგრამ მერე ისევ ვხედავდით, რომ მთლად კარგად არ მიდის საქმე. იმიტომ, რომ დილას გვითხრეს, რომ რუსები ჩამოვლენ და დაგველაპარაკებინან. ჩამოვიდნენ და არ დაგველაპარაკენ. პოპოვი ჩამოვიდა და არ დაგველაპარაკა. იქ სიტუაცია, კარგი ცნობები არ მოდიოდა და გვექონდა არჩევანი ან ჩავმჯდარიყავი თვითმფრინავში და რამდენიმე საათი ვყოფილიყავი იმ მდგომარეობაში, როცა ვერ მომეხდინა რეაგირება. თუმცა თვითმფრინავში გვაქვს ჩვენ ტელეფონი და გვაქვს კავშირი, სპეცკავშირი და თუ არადა, ანდა დავრჩენილიყავი საქართველოში, მაგრამ თუ წავიდოდი, იქ წავიდოდი მხოლოდ იმიტომ, რომ შევხვედროდი ამ მსოფლიო ლიდერებს. 7-ს რომ აკლდა 20 წუთი დაახლოებით და 7-ზე იყო ჩვენი გაფრენის ვადა, დაგვირეკა ჩვენი პროტოკოლის ხელმძღვანელმა ზურაბ დარჩიაშვილმა, მე დამირეკა და მითხრა, რომ მიიღეთ გადაწყვეტილება. თუ ეხლა არ გადიხართ აეროპორტში, ჩინეთში არის დიდი რიგი სხვადასხვა დელეგაციების ჩასვლის და შემდეგ ჩვენ ამოგვადებენ ამ რიგიდან და 2 დღე ვეღარ შევალთ ქვეყანაში. მე ვუთხარი: “კარგი, მაშინ არ ვრისკავთ და ჯობია დავრჩე საქართველოში“. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ, საქართველო ხშირად იყო კრიტიკულ სიტუაციაში. ჩვენ გვექონდა დამაბულობა ძალიან სერიოზული. მინდა შეგახსენოთ: სანაკოვეის თავდასხმის შედეგად, ჩვენ გვექონდა ძალიან დიდი დამაბულობა აპრილში და მაისში, მაისში განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ პუტინის განკარგულებით შეიყვანეს ჯარები აფხაზეთში. ჩვენ გვექონდა რამდენიმე შეტევა კოდორზე. ჩვენ გვექონდა თავდასხმა წითელუბანზე. ყოველ ჯერზე ჩვენ ვიყავით ამ პროვოკაციების რეჟიმში. იმდენად შევეჩვიეთ ჩვენ, ესეც არის მეთოდი მოდუნების მოწინააღმდეგის, იმდენად უკვე ეს იყო ცხოვრების ნაწილი, რომ პრაქტიკულად, თუ პირველ ჯერზე რომ ჩვენ უკვე ბევრად უფრო შემაშფოთებლად ვრეაგირებდით, ბოლოს ეს თითქმის რუტინის ნაწილი გახდა უკვე და ამის გამო საქართველოს სახელმწიფო თავის არსებობას ვერ შეწყვეტდა და ვერ შეწყვეტდა თავის დიპლომატიურ აქტიურობას. პეკინში წასვლა ასევე იყო ამ დიპლომატიური აქტიურობის ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. მაგრამ, სხვათა შორის, ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მათ, რუსებმა დრო შეარჩიეს თითქმის იდეალურად. იმიტომ, რომ დავაკვირდეთ ჩვენ თვითონ, აქ იყო რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც სჭირდებოდა რუსეთს ომი აგვისტოში ეს იყო პოლიტიკური კალენდარი, თქვენ იცით, რომ ბუქარესტის შემდეგ, ისინი მოელოდნენ გადაწყვეტილებას დეკემბერში, მათი თვალსაზრისით, საქართველოს შემდგომ წინსვლასთან დაკავშირებით ნატოში. ნათლად თქვეს მათ, მათი გენერალური შტაბის უფროსმა, ჩვენ მივმართავთ ყველა მეთოდს იმისათვის, რომ საქართველო არ გაწვერიანდეს ნატოში. ეხლა გენშტაბის უფროსი, რომ ამბობს, ეს არ არის ცირკის დირექტორი. მისი მეთოდები არის სრულიად ყველასათვის გასაგები, რა მეთოდებზე საუბრობს ის. მაგრამ რა კალენდარია რუსეთის ზონის თუ დეკემბრამდე გინდა რაღაც გააკეთო. სექტემბრის ბოლოს კავკასიაში მოდის უკვე თოვლი. ისე თუ შენ გინდა საბრძოლო მოქმედების წარმოება, ეს არის პერიოდი აგვისტო, სექტემბერი, რატომ აგვისტო? იმიტომ, რომ აგვისტოში, ყველაზე დაბალია მდინარეების ფონი და თუ აფხაზეთში ეს მნიშვნელოვანია ტანკების

შემოსაყვანად და მით უმეტეს, რკინიგზა გააკეთეს სწორედ ამ პერიოდისთვის, აგვისტოში არის ყველაზე კარგი საფრენი ამინდი რუსული საფრენი აპარატებისთვის. მათ თვითმფრინავებს არა აქვთ კარგი ღამის ხედვა და სწორედ ამიტომ ბომბავდნენ სტრატეგიული ბომბდამშენებით იმიტომ, რომ იმათ აქვთ ღამის ხედვა და ამ სუ 27-ს, სუ-25-ს, და მიგ-29 ღამის ხედვა არა აქვთ და მათ არა აქვთ ღრუბლებში ხედვა. ღრუბლებში არიან ბრძენები. ამიტომ მაისში, როცა ყველაზე დიდი ესკალაცია იყო, მე ვფიქრობ, რომ თუკი მათ რაიმე გეგმები ჰქონდათ მაისზე, იმის გამო, რომ მთელი თვე წვიმდა, მათ ამ გეგმებზე, ალბათ, მოუხდათ ხელის ალება. ეს სპეკულაციაა, მე არ ვიცი ჰქონდათ თუ არა თუმცა მაშინაც იყო სერიოზული, ძალიან სერიოზულ ზღვართან ვიყავით მოსული. აგვისტოში იყო იდეალური ამინდი, საბრძოლო მოქმედების საწარმოებლად. მე მიიწვიე ყველამ გავიხსენოთ, რომ რუსეთმა არა მხოლოდ საქართველოში აგვისტოში, წარსულში ყველა მათი ისა, პროვოკაცია დაგეგმეს და განახორციელეს აგვისტოში, ორჯერ ომი ჩეჩნეთში დაიწყო აგვისტოში, ორჯერ დაიწყო აგვისტოში, მე მიიწვიე ყველამ ..ამას.... ხაზი გავუსვათ. პროვოკაციები აფხაზეთში 92 წელს მოხდა აგვისტოში და 2004 წელს, მაშინ აქაც რამდენიმეთვიანი ესკალაცია იყო. ნამდვილი საომარი მოქმედებები ცხინვალში დაიწყო სწორედ აგვისტოში, მას შემდეგ, რაც ინსტრუქტორები შემოვიდნენ რუსეთიდან და შემოიტანეს იარაღი და მისცეს განკარგულება, მიდით, მიაწეით. ეს ერთი. მეორე აგვისტოს დასაწყისში მთელი მსოფლიო ფიქრობს, სასიამოვნო რამეებზე, ეხლა თქვენ ახსენეთ, რომ მე ვიყავი ოჯახთან ერთად შვებულელებში, მაგრამ მე კი არა ყველა მსოფლიო ლიდერი, ამ დროს ან ისვენებს ან არის სადღაც წასული, მაგალითად, მე როცა დავიწყე ხალხის ძებნა კანცლერი მერკელი, ისვენებდა სადღაც გერმანიის გარეთ, საგარეო მინისტრი შტაინმაიერი იყო სარდინიაში და ტელეფონი ჰქონდა გამორთული. იქ ნატოს გენერალურ მდივანს დავუკავშირდი, მაგრამ ისიც არ იყო ბრიუსელში და ამიტომ მას წინასწარ ვერ დავუკავშირდი, ვერ ვნახე, ვერ ველაპარაკე ღიად იმიტომ, რომ ღია კავშირს ყველა უსმენს, ვისაც არ ეხარება და, პირველ რიგში, ვისაც არ ეხარებათ ეს, კარგად ვიცით. მე ამ შემთხვევაში მერაბიშვილს არ ვგულისხმობ ნამდვილად და დანარჩენი ლიდერები იყვნენ პეკინში. ბუში იყო პეკინში, სარკოზი იყო პეკინში. აი, წარმოიდგინეთ, ოლიმპიადის გახსნის დღე, მე რამდენიმე დღით ადრე ყველაზე მეტად რამაც შემაშფოთა, ბევრი სიმპტომი იყო რუსეთის ტელევიზიით, მაგრამ მოვისმინე სახმელეთო ჯარების, რუსეთის სახმელეთო ჯარების უფროსის განცხადება, თან არაფერი როცა არ ხდება ამ დროს ცხინვალში, დაახლოებით მაგ დროს არის გაკეთებული. მან თქვა, რომ საქართველო არღვევს ოლიმპიურ ქარტიას იმიტომ, რომ აპირებს ოლიმპიადის დაწყების დღეს დაიწყოს ომი. ეს იყო, მოწმენდილ ცაზე ჩემთვის მეხის გავარდნას ჰგავდა. მე ბევრი პროვოკაციული განცხადებები მომისმენია რუსებისგან, მაგრამ ესეთი სიზუსტით, ესე ნათლად ამის მითითება იყო, რა თქმა უნდა, საგანგაშო. და, წარმოიდგინეთ, მთელი მსოფლიო არის, არ ფიქრობს, ჯერ უმეტესი ხალხი წასულია დასასვენებლად, მაგრამ მე ვლაპარაკობდი ლიდერებზე, სხვა ხალხი წასულია დასასვენებლად. ხალხი როცა არის დასასვენებლად ყველაზე ნაკლები ადამიანი უყურებს ტელევიზორს, ყველაზე ნაკლები ადამიანი კითხულობს გაზეთებს, ყველა ეშხადება ოლიმპიადის სანახავად. სადღაც, რომელიღაც შორეულ საქართველოში ვიღაცა ვიღაცა დაესხა სადღაც ღამე, ეს არის იმდენად გაუგებარი თემა, იმდენად იდეალური დრო არის დიდი ქვეყნისთვის თავისი შავი საქმეების მისაჩუქმებლად და პატარა ქვეყნისთვის თავისი სიმართლის არგასატანად, რომ აი, როგორც ასე გიყვებით ყოველთვის ასე ვფიქრობდი, ყველაზე საშიში და სარისკო პერიოდი ეს იყო აგვისტო ჩვენთვის. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ესეთი სიტუაცია გვქონდა გასული წლის აგვისტოში, როცა მათ დაგვბომბეს წითელუბანში, ჩვენ ესეთი სიტუაცია გვქონდა 2004 წლის აგვისტოში, როცა გვქონდა პროვოკაციები ცხინვალში. ასე, რომ თავისთავად, მხოლოდ იმის გამო, რომ აგვისტოში ცუდი პერიოდი, ამის გამო აგვისტოს კალენდრიდან ვერ ამოვიღებდით და ვერც ჩვენს ცხოვრებას მთლიანად ვერ ამოვატრიალებდით. მაგრამ თარიღები იყო შერჩეული, პრაქტიკულად, იდეალურად და ამან მერე კარგად იმუშავა. სანამ დავუკავშირდით საფრანგეთს, სანამ პრეზიდენტი სარკოზი იქიდან ჩამოვიდა, პრეზიდენტი ბუში ჩამოვიდა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, პუტინი ჩამოფრინდა ეგრევე, როგორც, ალბათ, იყო დაგეგმილი, პირველ დღეს, ნახა ყველამ და შემდეგ ჩამოვიდა. ამიტომ, მე როცა ვლაპარაკობ ამ თარიღების შერჩევაზე არაფერი არ იყო შემთხვევითი და ეხლა, ბევრი სხვა რამე არსებობს, რაც ადასტურებს, რომ სამხედრო მზადყოფნის თვალსაზრისით, ეს თარიღები იყო იდეალურად შერჩეული. ყველა რუსული გაზეთი ამოიღეთ და ამბობენ ერთ რამეს, სამხედრო რკინიგზის მშენებლობა აფხაზეთში და ეს სამხედრო თვალსაზრისით იყო რკინიგზა, აბა ოჩამჩირეში და გალში მოსახლეობა თითქმის არ არის დარჩენილი და ეს არის ჩიხი, უნდა დასრულებულიყო 5 აგვისტოს. მიიწვიე გვითხოდ, საიდან მოვიდა ეს თარიღი, 5 აგვისტო?

ჯავაში აშენებდნენ ბაზას. მე ვიცი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ორგანიზაციის წარმომადგენლები უხდიდნენ თითო ადგილობრივ მოსახლეს ჯავაში 1200 ევროს თვეში და ეს არის ჯავაში დაახლოებით იგივე, რაც 5000 თბილისში, იმიტომ, რომ იქ სიღარიბეა წარმოუდგენელი და 50 000 ბერლინში. ეს არის, უხდიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ეუბნებოდნენ – 5 აგვისტოს ეს ბაზა უნდა შევიდეს მწყობრში. საიდან მოვიდა ეს 5 აგვისტო ძალიან ნაქარევად, თან იმ პირობებში, როცა ჩვენ არ ვატარებდით აქედან სამშენებლო მასალებს სწორედ იმის გამო, რომ ბაზას აშენებდნენ და მოჰქონდათ რუსეთიდან ბევრად უფრო ძვირად ეს სამშენებლო მასალები. ნუ, აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ შავი ზღვის ფლოტი გამოვიდა წინასწარ უკრაინიდან.

თქვენ იცით, რომ უკრაინის პრეზიდენტმა რამდენჯერმე სცადა მათი შეჩერება, სპეციალურ ბრძანებას მოაწერა ხელი, მაგრამ მათ ეს არაფრად არ ჩააგდეს. ჯერ არ გამოშვებზე და მერე არშეშვებზე უკან. გამოვიდნენ და შევიდნენ უკან ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე და საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა არა მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში, არამედ სადესანტო ჯარების და უარი თქვეს შვებულელებში გაშვების ხალხის რუსეთში და ასევე საზღვრის გასწვრივ.

მე მინდა ასევე ხაზი გავუსვა იმას, რომ კი ეს ყველა ნიშანი იყო, მაგრამ ეს ... ამას აკეთებდნენ ისინი თითქმის ყოველ ზაფხულს დაახლოებით მსგავსს. ეს ცოტა მეტი მოუვიდათ, მაგრამ ეხლა ამის ანალიზს დასჭირდება დრო. ნებისმიერ სადაზვერვო სამსახურს და საქართველო არ არის ნამდვილად სუპერსახელმწიფო დაზვერვის, დასჭირდებოდა კვირები მაინც, რომ გაეანალიზებინა ერთ მოზაიკაში ის ყველაფერი რაც ხდება.

მე განსაკუთრებით მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ ივლისის დასაწყისში და ეს ინფორმაცია ჩვენ გვექონდა. ჩვენ, ჩრდილო კავკასიაში დაიწყეს გაკონტროლება ქართველების. ქართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების. ყველა მათგანი დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან, იქ ხომ ბევრი მსახურობდა. გამოიცა ბრძანება, რომლის ასლი ჩვენ გვექონდა, რომ ყველა ქართული საუბარი ჩრდილო კავკასიაში ჩაწერილიყო და გაანალიზებულიყო. გამკაცრეს კონტროლი საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე რაც ასევე უჩვეულო იყო საკურორტო სეზონისთვის და ასევე დაიწყეს მასობრივი რეპრესიები ყველა საეჭვო ელემენტების მიმართ, როგორც მათ მიაჩნიათ, რომელთაც შეიძლება, რომ საქართველოსთან რაღაც კავშირი მაინც ჰქონოდა. ახლა, ეს პატარა დეტალი სადაზვერვო, ძალიან ჰგავს რაღაც სერიოზულისთვის მზადებას, ინფორმაციის ჩაკეტვა კავკასიის რეგიონში, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდებოდა.

და ეხლა, როცა ვლაპარაკობთ იმაზე თუ მსოფლიოსთვის მოულოდნელი იყო, მინდა გითხრათ, რომ საკურორტო სეზონი არა მხოლოდ აფხაზეთში, სადაც ეს ჩავარდა მთლიანად, არამედ სოჭში რუსეთის მთავარ კურორტზე, სადაც სასტუმროები, როგორც წესი, იყო შევსებული 100%-ით ყოველთვის წინა წლებში. სასტუმროს შევსების რაოდენობა იყო 30%. რატომ? იმიტომ, რომ მთელი რუსული პრესა ლაპარაკობდა მოსალოდნელ ქართულ-რუსულ ომზე. ჩვენ, მე წავიკითხე თვითონ პაველ ფელენგაუერის სტატიები და მქონდა საშუალება, ასევე, მას შევხვედროდი. ის სრულიად დაბეჯითებით ამბობდა, რომ ომი იქნება ან მაისში, ამას აპრილში გვიყვებოდა, თუ არ ვცდები, ან აგვისტოში და იყო საშინლად ალტყინებული ამ ფაქტის გამო და რომ ვუთხარი, რომ, – რა გიხარია? მითხრა, რომ, – სამხედრო ყურნალისტისთვის ამაზე დიდი სიამოვნება არ არის, განსაკუთრებით ზაფხულში, ომის ყურებას არაფერი არ სჯობს იმიტომ, რომ ზაფხულში მაინც სხვა საქმე არაფერი არა გვაქვს და თან დავისვენებთ და თან ომს ვუყურებთ. ასე რომ, სიტუაცია აი, ამ დონეზე იკვრებოდა ჩვენს გარშემო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამის პარალელურად იყო შტაინმაიერის აქტივობა, სოლანას აქტიურობა, ჩემი ძალიან რადიკალური წერილები, რადიკალური, მე ვლაპარაკობ მოქნილობის, დიპლომატიური შეთავაზების, გამხედრობის ხარისხის მიხედვით, რომელიც მივწერე მედვედევეს იმიტომ, რომ მე ჩემთვის წარმოვიდგინე ერთი წუთით, აი თუ რუსეთს არ უნდოდა ომი, რა შეიძლებოდა შეგვეთავაზებინა ისეთი აფხაზეთზე, მაგალითად, რომელსაც ისინი დათანხმდებოდნენ და არც იომებდნენ და ჩვენც რაღაცას მივიღებდით, თუნდაც არა 100 %-ს იმისა, რაც გვინდოდა, რომ მიგველო. თუნდაც 30 %-ს ჩვენი სურვილების იმ ეტაპისთვის. მაგრამ ეს ყველაფერი იყო ფუჭი.

მე ვფიქრობ, გადაწყვეტილება სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ პრინციპულად, პრინციპულად რაღაცა, რომ საქართველოს უნდა მოუხერხონ, ალბათ, მიიღეს მათ სადღაც 2001 –ში, 2002–ში, ესე ვფიქრობ, იმიტომ, რომ ჩვენს ხელისუფლებაში მოსვლამდე. 2006 წელს რუსეთმა თითქმის დაიწყო ომი, 2006 წლის შემოდგომაზე და მაშინ სამი ფაქტორის გამო არ გააკეთეს. მკვეთრი რეაქცია ევროკავშირის და ერთიანი პოზიცია, მკვეთრი რეაქცია ამერიკის ადმინისტრაციის და მათი მზადყოფნის არასათანადო ხარისხი ჯერ ჩრდილო კავკასიაში და საბოლოო გადაწყვეტილება თარიღებთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, მიღებული იქნა სადღაც თებერვალ – მარტის თვეში ბუქარესტის სამიტის წინ და კოსოვოს გადაწყვეტილების წინ იმიტომ, რომ როგორც მოგახსენეთ, ჩვენი შეხვედრა პუტინთან იყო აი აბსოლუტურად ფორმალური დიალოგი. რეალურად, მათ აღარაფრის სურვილი უკვე ჩვენთან, მანამდეც დიდი ხანი არ ჰქონდათ, მაგრამ იმ შეხვედრაზე, დამემოწმება ბატონი გაა, 21 თებერვალს, გამოვედით უბრალოდ, მძიმე შთაბეჭდილებებით და, პრაქტიკულად, ცარიელი ხელებით.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, მე გვითხეთ, თქვენ კითხვა დაგავიწყდათ,

მ.სააკაშვილი. სამშვიდობო მანდატი, კითხვა იყო, ბოდიშს ვიხდი, სამშვიდობო მანდატი რატომ არ გავაუქმეთ. იმიტომ, რომ როგორც ახლა იმახის ყველა, რომ იქნებ საქართველომ ამოწურა, იქნებ, საქართველომაც რაღაც პროვოკაცია მოახდინა, როგორც კი აი ესე, უბრალოდ, გავაუქმებდით სამშვიდობო მანდატს, მაშინვე ნახევარი ხალხი ევროპაში და ამერიკაში დაიწყებდა ლაპარაკს, აი საქართველომ მოახდინა პროვოცირება ახლა დამაბულობის. მაინც, ავად თუ კარგად, რაღაცნაირად ეს სამშვიდობო მანდატი, თუნდაც, ყველამ იცოდა, რომ არაფერი სამშვიდობო იმაში უკვე აღარ იყო, მაგრამ რაღაცას მაინც აკავებდა. და ეს საქართველომ ასე, წინასწარი კონსულტაციების გარეშე გააუქმა, ე.ი. საქართველო არის ინიციატორი გართულებების. მინდა ვთქვა, რომ ამაზე ჩვენ დიდი დისკუსიები გვექონდა ჩვენს პარტნიორებთან და ჩვენ დავიწყეთ ამის სკრუპულოზური, დეტალური მომზადება. სწორედ ამას ემსახურებოდა შტაინმაიერის გეგმა, სწორედ ამას ემსახურებოდა სოლანას ვიზიტი. სოლანამ ღიად დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ჩავანაცვლოთ ევროპელებით, იმიტომ, რომ ჩვენ ვეუბნებოდით, ჩავანაცვლოთ, კი არ გავყაროთ, და ისინი არ წავლენ, ვიცი, და ამას მოჰყვება სრული ესკალაცია, არამედ ჩავანაცვლოთ. ჩვენ ამ მხრივ პროგრესი გვექონდა და, მე მგონი, ამ პროგრესის გამოც დააჩქარა რუსეთმა ამ ომის წარმოება. იმიტომ, რომ სოლანამ დაიწყო ღიად განცხადება, და ევროკავშირმა, შესაძლებელია განხილვა მათი ჩანაცვლების ევროპული მონიტორებით ან რაღაც სხვა ძალით.

შტაინმაიერის გეგმაში იყო რაღაც მსგავსი მონახაზი, თუმცა, ის რაღაც ნაწილს ასევე რუსებს უტოვებდა. და მერე სულ იყო საკითხი, ახლა, რა არის დასამალი, 4 წელი...ახლა, ჩვენ, მე თვის დროზე ვიყავი სტუდენტი ამერიკაში, როცა შევარდნაძემ მოაწერა ამ სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი. და მინდა გითხრა, რომ მაშინ, როგორც სტუდენტმა, რამდენიმე სტატია გამოვაქვეყნე ქართულ და უცხოურ პრესაში, კონფერენციებზე გამოვდიოდი, სადაც ამას ძალიან ვაკრიტიკებდი. მე ვარ ამის, ამას ვსწავლობდი, საერთაშორისო სამართლს და საერთაშორისო სამშვიდობო სპეციალობას. მე ჩემი პროფესიით და სპეციალიზაციით ვარ ეროვნული უმცირესობების საკითხების, ადამიანის უფლებების სპეციალისტი. ვსწავლობდი ამას, ამაზე მაქვს სამეცნიერო სტატიები და ვარ ასევე, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებზე მაქვს დაწერილი საკურსოები ამერიკაში და ასევე, როცა ვმუშაობდი ნორვეგიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტში, ოსლოში. ამიტომ ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო ის, რაც გააკეთა მაშინ მაშინდელმა საქართველოს ხელმძღვანელობამ. გამოუვალობიდან გამომდინარე, შანტაჟიდან გამომდინარე, მაგრამ ის, რომ მათ, პრაქტიკულად, დააკანონეს ოკუპანტები და პირველი სამშვიდობო რუსული ბატალიონი იყო ზუსტად ის, რომელიც იღებდა სეპარატისტებთან ერთად სოხუმს, ეს იყო ძალიან მძიმე რამ ჩემთვის.

მაგრამ ჩვენ ვიყავით აი ამ ხაფანგში გაბმული იმიტომ, რომ რუსებმა მაშინ მოახერხეს და ამ სამშვიდობო, თავის ვითომ სამშვიდობო ყოფნას, მიუსადაგეს ასევე უნომიგი - გაეროს სამშვიდობო ძალის ყოფნა აფხაზეთში. და ჩვენი მთავარი კითხვა იყო ის კი არა, რომ რუსები უნდა იყვნენ თუ არ იყვნენ, ასევე ვფიქრობდით იმაზე, როგორი რეაქცია იქნება იმაზე, რომ ჩვენ ამ საერთაშორისო დამკვირვებლებს ვეტყვი, რომ ახლა, პრაქტიკულად, თქვენ წადით, იმიტომ, რომ როგორც კი რუსეთი მიდიოდა, რუსეთი ამბობდა, რომ ავტომატურად ჩვენ იმათაც ვაიძულებთ, რომ წავიდნენ. ჩვენ ამაზე ვფიქრობდით მრავალი წელი. რატომ არ გვყავდა, მაგალითად, ჩვენ მძიმე ტექნიკა ნიქოზში, უფრო სწორად, ქურთაში, თამარაშენში, კეხში და იმ სოფლებში. იმიტომ, რომ სამშვიდობო მანდატით არ იყო ასე გათვალისწინებული. იმიტომ, რომ სამშვიდობო მანდატით საქართველო ბოლომდე თამაშობდა წესებით. აი ეს არის ჩვენმა წესიერებამ მიგვიყვანა აქამდე, ჩვენ ბოლომდე ვიცავდით სამშვიდობო მანდატს და ამიტომ იქ იყო მხოლოდ მსუბუქი იარაღით შეიარაღებული საქართველოს პოლიცია და როცა უკვე ძალიან გართულდა გადაყვანა მძიმე ტექნიკის იყო ძალიან გვიან და ასევე აფხაზეთში იუნომიგის ხათრით და საერთაშორისო გაეროს მანდატის ხათრით, ჩვენ ვიყავით მაქსიმალური თავშეკავებული და დიდხანს ვმსჯელობდით, ძალიან ბევრ კონსულტაციებს გავდიოდით საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა გამოვსულიყავით თუ არა ჩვენ მოსკოვის ან დაგომისის ხელშეკრულებებით. და ბატონო პაატა თქვენ იყავით იქ და მე ვიყავი იქ, ზუგდიდში, 9 აგვისტოს, როცა ამ ჩვენმა მეზობელმა თავზე გადაგვახია ჩვენც და მთელს საერთაშორისო თანამეგობრობას ის საერთაშორისო მანდატი, რომელიც იქ იყო. ისინი გამოცხადდნენ, ჩვენ ვუყურებდით მათ მოძრაობებს ახლოდან ტანკებით, ჯავშანტექნიკით, აურაცხელი სამხედრო ძალით და უთხრეს ... გაძლევთ 20 წუთს, გაგვეცალეთ აქედან და ჩვენ შევდივართ სამეგრელოს ტერიტორიაზე და 20 წუთზე უფრო, 20 წუთიც არ დაჭირდათ ისეთი ფართხა-ფურთხით გაცივდნენ იქიდან ჩვენი სახელოვანი საერთაშორისო დამკვირვებლები.

აი ეს იყო ჩვენთვის ნათელი გაკვეთილი იმისა, როგორ ზეიმობს უკანონობა იმ ხალხზე, ვისაც უნდა კანონების დაცვა, როგორ ზეიმობს ის ხალხი, ვინც არც ერთ წესს არ იცავს, არც ერთ შეთანხმებას არ იცავს იმ ხალხზე, ვისაც არ ყოფნის შინაგანი, უფრო სწორედ, არა აქვს იმ დონის უწესობა, რომ თავისივე ხელმოწერილ შეთანხმებაზე თქვას ესე ხელაღებით უარი. ამიტომ ჩვენ, ამიტომაც იყო რომ, როცა დანახა რუსეთმა, რომ რეალურად ჩართო საერთაშორისო პროცესი, რეალურად ხდება რაღაც საკითხების დამკრა, რაც მანამდე იყო გაყინული წლების განმავლობაში, რასაც ჩვენ ვითხოვდით მრავალი წლების განმავლობაში.

იცით, რომ ივნისში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა როგორც იქნა 15 წლის შემდეგ აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდა, მას შემდეგ, რაც დაიწყო მართვა, პროცესი ინტერნაციონალიზაციის, უცებ მან თქვა, - მოიცა, მოიცა, ახლა ინტერნაციონალიზაციას კი არ მიიღებთ, მიიღებთ იმას, რაც მოხდა და მერე უკვე ახალი ათვლის წერტილზე ვილაპარაკოთ ყველამ. აი ამ მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენ. უნდა გვემოქმედა თუ არა სხვანაირად? მე მაინც მგონია, რომ სწორი ტაქტიკა და პოლიტიკა იყო და სტრატეგიაც საერთაშორისო შეთანხმების დაცვა.

ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, პატარა ქვეყნისთვის საერთაშორისო წესების, საერთაშორისო სამართალი და მე ვარ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი და ზოგიერთი თქვენგანიც ასევე, ეს არის ალფა და ომეგა მოქმედების, იმიტომ რომ პატარა ქვეყნის საზღვრები, პატარა ქვეყნის სუვერენიტეტი, პატარა ქვეყნის მომავალი დაცულია არა უხეში ძალით. ამაში პატარა ქვეყანა ყოველთვის წააგებს, არის დაცული საერთაშორისო რეჟიმებით, საერთაშორისო ნორმებით, წესებით, ხელშეკრულებებით და საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილი ნებით და, რა თქმა უნდა, რუსეთს ჰქონდა ფუფუნება აელო თავზე ხელი და როგორც მათ აიღეს.

დ.ლორთქიფანიძე. საერთაშორისო თანამეგობრობაზე განვავრდობ ბატონო მიხეილ, კითხვას. თქვენ ახსენეთ ბუშის ყოფნა 7-ში და ბუში და პუტინის შეხვედრა პეკინში. ეს კითხვა ეხება ასეთ რამეს 7-ში დღის განმავლობაში მე ეს კითხვა რამოდენიმე მინისტრს დავუსვი. სამწუხაროდ, პასუხი კონკრეტული ვერ მივიღე. ამიტომაც თქვენც გისვამთ ამ კითხვას: 7-ში დღის განმავლობაში ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, ვისთან შედგა კონსულტაციები, აი ამ გადაწყვეტილების მიღების წინ? და მეორე. ეს ჭორია თუ ინფორმაცია ასეთი, ეხება ბატონ მეთიუ ბრაიზას, რომელზეც ასეთი ინფორმაცია შევიტყვეთ, რომ 8-ში ჩამოვიდა მეთიუ ბრაიზა და თქვენ ვითომდა 2 დღე ის არ მიგიღიათ, სწორედ ბუშის განცხადების გამო, რომელიც ექსპერტების აზრით არასათანადოდ ადეკვატური იყო იმ რეალობის, რომელიც 8-ში იქნა ცხინვალის მიდამოებში.

მ.საკაშვილი. მე მინდა გითხრათ, რომ ჯერ ერთი გადაწყვეტილებას ამ საკითხებზე ჩვენ ვიღებთ თვითონ, და წინასწარ ნებართვას თუ ნებართვა იგულისხმება ჩვენ არავისგან არ ვიღებთ. ეს ერთი. მეორე, ვისაც მე ვცადე დაკავშირებოდი ესკალაციის პიკზე, ეს იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი. და მათ საგარეო სამინისტროს პირით შემოგვითვალეს უარი ამ კონტაქტზე.

მეორე. ვისაც ჩვენ შევეცადეთ დაკავშირებოდით, ეს იყო საგარეო მინისტრის, სამინისტროს წარმომადგენელი პოპოვი, რომ, იქნებ, ადგილზე გადაგვეწვიტა ეს ურთიერთობა. და მაქსიმუმ ჩვენ შევძელით კონტაქტში შესვლა, ეს იყო გენერალი კულახმეტოვი. პოპოვმაც არ გვადირსა, როგორც იცით, პასუხი და სხვადასხვა საბაზებით თავი აარიდა, მიუხედავად იმისა რომ ჩამოვიდა თბილისში, ცხინვალში ჩასვლას და სიტუაციის ადგილზე დარეგულირებას.

ეხლა, 7-ში უკვე სიტუაცია ძალიან გართულდა. ჩვენი სამშვიდობოები იქნენ დახოცილი, ცეცხლი ხან წყდებოდა, ხან ინტენსიფიკაცია ხდებოდა. ამიტომ 7-ში საღამოს, მე დავიწყე დაკავშირება ყველა ჩემს სატელეფონო ცნობარში არსებულ ყველა შესაძლო მეგობართან და მოკავშირესთან. მე დავურეკე ჩვენს მეგობრებს: ლიტვის პრეზიდენტს ადამკუსს, პოლონეთის პრეზიდენტს კაჩინსკის, ვიპოვე შვედეთის საგარეო მინისტრი ბილტი და ვიპოვე ნატოს გენერალური მდივანი სხეფერი. ნუ, პრეზიდენტ კაჩინსკის და ადამკუსს გავაცნეთ სიტუაცია, მათ თქვეს რომ სხვებსაც გადაურეკავენ. მე ვუთხარი, რომ რუსებს ვერ ვუკავშირდებით, გენერალურ მდივანს ნატოსი მაქსიმალურად გავაცნე სიტუაცია, რაც შესაძლებელი იყო ღია ხაზით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ხმელეთზე ყველა ინფორმაციას მას ვერ გადავცემდი იმის გამო, რომ ეს ყველაფერი კონტროლდება მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ის საინფორმაციო წყაროები და უკვე სიტუაცია გვექონდა სერიოზული, თვითონ ადგილზე და ეს იყო ოპერატიული სიტუაციის დეტალები, მაგრამ მთლიანობაში მე ვუთხარი, რომ სიტუაცია არის ძალიან მძიმე. ნუ, დაახლოებით იგივე ვუთხარი სხვათა შორის, ყველას გაუკვირდა, რომ ეს სიტუაცია გართულდა ცხინვალთან მიმართებაში. როგორც ჩანს, ყველა მოელოდა გართულებას ისე, როგორც ჩვენ, არ არის დასაძალი, აფხაზეთან მიმართებაში. რატომ? იმიტომ, რომ რუსები სულ ახსენებდნენ კოდორს, სულ, კოდორი ჰქონდათ ყელში გაჩხერილი და პრაქტიკულად, კოდორზე იწყებოდა, დღეში ორი–სამი განცხადება კეთდებოდა მედვედევის, ლავროვის და სხვა რუსული ოფიციალური პირების მიერ კოდორთან დაკავშირებით. ცხინვალი არ ახსენდებოდათ–ხოლმე. ნუ აი, ესეთი სიტუაცია იყო, ვისაც შევძელი მათ დაუკავშირდი. რაც შეეხება ამერიკელებს. რამდენადაც ვიცი, ეკა ტყეშელაშვილს ჰქონდა საუბარი სახელმწიფო დეპარტამენტის სხვადასხვა წარმომადგენლებთან, ასევე სიტუაციის გაგნობის თვალსაზრისით. მე ეხლა ვერ ვიხსენებ როდის შევხვდი მე მეთიუ ბრაიზას, მაგრამ მე ნამდვილად შევხვდი მას ამ დღეებში.

იმ დღეებში ჩვენ გვექონდა რამდენიმე ჯერ ერთი, რამდენჯერმე ვიყავით ცხინვალის მიმართულებით, ვიყავი რამდენჯერმე გორში, აქ ვატარებდით მუდმივ თათბირებს. ვიყავით 9-ში ზუდგიდში. მთელი დღე ამ გზაში დავკარგეთ წინ და უკან სიარულში და, იმიტომ, რომ ფრენა უკვე შეუძლებელი იყო და ასევე, არ გამოვდიოდი სხვადასხვა ტელევიზიების, მსოფლიო ტელევიზიების პირდაპირი ეთერიდან. ამიტომ ეს იყო აბსოლუტური პრიორიტეტები ჩვენთვის. თუმცა სახელმწიფო არ შემოიფარგლება მარტო ჩვენით, თუ ვინმე იყო ჩამოსული, დარწმუნებული ვარ, ყველა დონის თანამდებობის პირები, არ ვიცი, თუ თქვენ შეხვდით, მათ ხვდებოდნენ და ელაპარაკებოდნენ. მე ნამდვილად არ ვიყავი არავისზე გაბრაზებული, მე მიმაჩნდა, რომ დრო დასჭირდათ ჩვენ პარტნიორებს და დრო იყო ძალიან ძვირფასი, რომ გარკვეულიყვნენ სიტუაციის სიმძლავრეში და სირთულეში. თუმცა, ამაში ისინი ჩქარა გაარკვეეს თვითონ რუსებმა. იმიტომ, რომ როდესაც მე პირველად ტელეფონით ველაპარაკე კონდოლიზა რაისს, უფრო სწორად, როდესაც, უფრო სწორად, მოვიდა ამერიკის შერთებული შტატების ელჩი ჩვენთან და მან გადმოგვცა კონდოლიზა რაისის და პავლოვის ნალაპარაკები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ტექნიკურად შეიძლება ყველასთან ვერ მელაპარაკა მაშინ, მესაუბრა, რუსები იყვნენ ძალიან აგრესიულ ხასიათზე და როდესაც ჩვენ მათ ვკითხეთ რა იყო მათი ინტერვენციის მიზანი, მათ გადმოგვცეს სიტყვა–სიტყვით ამერიკელების მეშვეობით. ეს იყო 8 აგვისტო. ჩვენი მიზანია საქართველოს სრული განადგურება, იქნა ნახსენები... საქართველოს სრული განადგურება. მე იმედი, რომ ამას, ყველა პარტნიორი დაადასტურებს, რომ ისინი ასეთ მუქარებს აგზავნიდნენ. თქვენ იცით, რომ სარკოზიმ გააგრძელა კიდევ სხვა უფრო კოლორიტული დეტალები, პირადად ჩემს მიმართ რას აპირებდა რუსეთის ხელმძღვანელობა. მე არ შევალ ეხლა ამის ამ ყველაფრის ფიზიოლოგიურ დეტალებში, მაგრამ ნუ, ამ ტერმინებით გამოხატავდნენ ისინი თავის აზრებს და ნამდვილად არც თავს იზღუდავდნენ მუქარებში და არც დეტალებში, როგორ უნდა განეხორციელებიათ ეს მუქარები.

ასე რომ, შემდეგ, რამდენიმე დღის შემდეგ, შეიძლება ადრეც შეიძლებოდა სწორი რეაგირება, უფრო ჩქარი რეაგირება, მაგრამ მე ვფიქრობ, ჩვენი პარტნიორების ძალიან სერიოზულმა ჩარევამ მკვეთრად შეზღუდა ის მანევრი, რომელიც ბოლოს დარჩა რუსეთის აგრესიას საქართველოსთან მიმართებაში.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება, რომელიც გაისმის საქართველოს და პირადად თქვენს გადაწყვეტილების მისამართით არის ის, რომ თქვენ განახორციელეთ მძინარე ქალაქზე თავდასხმა. საუბარი არის ცხინვალზე. თქვენ თვლით თუ არა, რომ ის შეტევა, რომელიც იქნა განხორციელებული, იყო თუ არა ის და რატომ განხორციელდა ის ღამით. იყო სწორი გადაწყვეტილება თუ როგორ ფიქრობთ, რა პირობები იყო, იქ არის შემოვლითი გზები და რა ბრძანებები გაეცით თქვენ კონკრეტულად აი ამ მოქმედებების დაწყებისთანავე, საუბარი არის თქვენს ბრძანებებზე, გენერალური შტაბის უფროსმა ჩვენ მოგვაწოდა ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია. ჩვენ გვინდა თქვენგან მოვისმინოთ, რა ბრძანებები გაეცით კონკრეტულად და რატომ გადაწყდა ამ ღონისძიების გატარება ღამის საათებში. ბატონ გოკას უნდა დამატება, მე მგონი.

გ.გაბაშვილი. ვინაიდან ჩვენ უკვე კონკრეტულად 7 აგვისტოს ეპიზოდთან მივედით საუბრის ლოგიკით. ასეთი შეკითხვაა მნიშვნელოვანი. რა მონაცემების საფუძველზე და რა მომენტში ჩათვალეთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უკვე, რომ ეს არ არის პროვოკაცია, რომელიც ტრადიციულად ხდებოდა ყოველთვის საქართველოში, არამედ არის უკვე ფართომასშტაბიანი შემოჭრა. რა მომენტში ჩათვალეთ ეს და რა მომენტში მიიღეთ უკვე გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ჩაბმულიყო სამხედრო მოქმედებებში.

თავმჯდომარე. ქალბატონ ხათუნას და მერე ბატონ მინაშვილს.

ხ.გოგორიშვილი. ამ თემასთან დაკავშირებით, ბატონო პრეზიდენტო, ერთი შეკითხვა მაქვს. სანამ ისეთი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილება, რატომ არ მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ცხინვალის რეგიონის სოფლებიდან. გმადლობთ.

თავმჯდომარე... მინაშვილი...

ა.მინაშვილი. გამარჯობათ, ბატონო პრეზიდენტო, ისევ ამ თემასთან დაკავშირებით, არის ბევრი საუბარი თუნდაც რუსეთში, თუნდაც საერთაშორისო საზოგადოებაში, განახორციელა თუ არა ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეტევა სამშვიდობო რუს, იმ დროისთვის სამშვიდობო ძალებზე.

თავმჯდომარე. ბატონი გივი თარგამაძე.

გ.თარგამაძე. მე მიდა გკითხვით, რამდენად იყავით საქმის კურსში იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ქართული სამშვიდობო ძალების მამინდელმა მეთაურმა ბატონმა ყურაშვილმა გააკეთა. ეს ერთი და მეორე, ასე ვთქვათ, ეს არის საკმაოდ გავრცელებული ესეთი შეკითხვა, რამდენად გამართლებული იყო ის რამდენიმე მილიარდიანი ხარჯი, რომელიც გაიწია ქართული არმიის ასაშენებლად და ყველა ის ღონისძიება, რომელიც ქართული არმიის ჩამოსაყალიბებლად იყო მოწოდებული და მე მიინდა გკითხვით, რომ არ გვეყოლოდა ჩვენ ისეთი არმია, როგორც გვყავდა ამ მომენტში და რომ არ მიგველო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების წარმოებისა, თქვენი აზრით, რა სურათს მივიღებდით ამ შემთხვევაში? გმადლობთ.

მ.სასაკაშვილი. გმადლობთ. მე ჩავიწერე კითხვები და თუ რამე გამომრჩა შემდეგ გთხოვთ გამისწოროთ, შემახსენეთ.

როგორც გითხარით, რუსეთი ემზადებოდა ამისთვის დიდი ხნის წინ და ჩვენ გვაქვს საქმე, მე მიინდა ვთქვა, ავტორიტარული ქვეყნის პროპაგანდისტულ მანქანასთან. ამ მანქანას აქვს იმხელა გამოცდილება დეზინფორმაციის ჯერ კიდევ დაწყებული საბჭოთა დროიდან, რომ მასთან მარტივი ბრძოლა ნამდვილად არ არის. აი ეხლა მე უკრაინაში ვიყავი უკრაინის შიშხილის, ნამდვილი გენოციდის წლისთავის აღნიშვნაზე და მაშინაც იყვნენ ადამიანები, ჟურნალისტები, უცხოელები, მათ შორის, რომლებმაც მოიარეს უკრაინა, ნახეს ასობით ათასი ადამიანი, რომლებიც კვდებოდა შიშხილით, 7 მილიონი ადამიანი დაიღუპა, რის შედეგადაც ეთნიკური უკრაინელებისაგან დაცალეს უკრაინის უმეტესი ნაწილი. ეს იყო ძაან გათვლილი პოლიტიკა მაშინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის. იყვნენ ხალხი, ვინც ეს ნახა და აღწერა. მაგრამ რუსული საბჭოთა პროპაგანდა მაშინ ისე მუშაობდა, რომ ძალიან ბევრი დასავლელი ჟურნალისტი იპოვეს. მაგალითად, მაშინდელი „ნიუ-იორკ თაიმსი“ იძახოდა, რომ ეს არის სრული სისულელე, რასაც წერენ უკრაინაზე. არავინ იქ არ შიშხილობს, ყველაფერი კარგად არის და საბჭოთა მოქალაქეები არიან ძალიან ბედნიერები. ამათ აქვთ ძალიან დიდი გამოცდილება ასეთი ტყუილის სიმართლედ გასაღების. ასე რომ, და როცა დემოკრატასთან გვაქვს საქმე, აი, ჩვენ აქ ვსხედვართ, უკვე რამდენიმე კვირაა თქვენ სხედხართ და სხვადასხვა პასუხებს ისმენთ, კითხვებს სვამთ, სხვადასხვა ვერსიებს ისმენთ, ზოგი ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა, სურათი კომპლექსურია. მარტო დღეს იმდენი ინფორმაცია მოგაწოდეთ მე, რომ შეიძლება ამის გაანალიზებას დასჭირდეს, კიდევ და კიდევ მოგაწოდებთ, ალბათ, რამდენიმე დღე.

დემოკრატიული ქვეყნები ასე იქცევიან, დემოკრატიულ ქვეყნებში ყველაფერი არის, არ არის შავი და თეთრი არაფერი, ყველაფერი არის კომპლექსური, ყველაფერი არის რთული, ყველაფერი არის დეტალიზირებული და ხშირად ეს დეტალები შეიძლება შეთანხმებულ იქნას არ იყოს ერთმანეთთან და არ ეთანაბრებოდეს.

ავტორიტარულ ქვეყნებში ყველაფერი არის მარტივი. მძინარე ქალაქ ცხინვალს დაესხნენ საზიზღარი ქართველები თავს, დაცხრილეს ყველა იარაღიდან, გაანადგურეს მძინარე მოსახლეობა, ჩაიდინეს ბევრი დანაშაული და რუსები შევიდნენ და გადაარჩინეს მშვიდობიანი მოსახლეობა ამ ბარბაროსების და ფაშისტების შემოტევისგან. მარტივია, ხომ? ტყუილია თავიდან ბოლომდე. როგორც გებელსი ამბობდა – „რაც უფრო დიდია ტყუილი მით უფრო კარგად სადდება ის.“ კლასიკური გებელსური სამხედრო პროპაგანდა. სამწუხაროდ დღესაც არიან, მსოფლიოში მათ შორის, ჟურნალისტები დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგრამ დემოკრატის მთელი ხიბლი ის არის, რომ ასეთებიც არიან და სხვანაირებიც, რომლებიც ამას სიამოვნებით, ამ დაყრილ საკენკს კენკავენ და დიდი სიამოვნებით ამას ყველაფერს იჯერებენ.

ქალაქი ცხინვალი უკვე დიდი ხანია აღარ არის ჩვეულებრივი ქალაქი და ნამდვილად, 7 აგვისტოს არ ყოფილა ჩვეულებრივი ქალაქი. 2004 წლის ზაფხულიდან, მანამდე, რა თქმა უნდა, იყო რუსეთის სამხედრო . . . , რუსეთმა მიიღო შეგნებული გადაწყვეტილება ცხინვალზე გადაეცემა სამხედრო ბაზად. პრაქტიკულად, ყველა ზრდასრული მამაკაცი, რომელიც ცხოვრობდა ცხინვალში, შშ რომელიც მანამდე თავს ირჩენდა კონტრაბანდით, მას შემდეგ რაც ჩვენ ყველა კონტრაბანდს გადავკეტეთ ყველა ისინი ხელფასს იღებდნენ რუსეთის არმიისგან ან რუსეთის უშიშროების სამსახურიდან. პრაქტიკულად, ყველა ზრდასრულ მამაკაცს ეჭირა ხელში იარაღი და მათ ერთადერთ სამუშაო ადგილად იქცა ის სანგრები, რომელიც იყო ცხინვალის გარშემო ან ცხინვალის შიგნით. უზარმაზარი სამხედრო ბაზა აშენდა ცხინვალში, ძალიან დიდი ბაზა აშენდა. ამ ადგილისთვის, რა თქმა უნდა, ადგილი პატარაა, ამ ადგილისთვის შედარებით დიდი ბაზა აშენდა ჯავაში. ამიტომ, მოდი, ვთქვათ ლიად, იმ პერიოდისთვის, როცა ჩვენ ცხინვალში შევედით, ცხინვალი იყო კარგად გამაგრებული, მოსახლეობისგან ძირითადად დაცლილი, სამხედრო შეტევის რეჟიმში მცხოვრები, პრაქტიკულად, მილიტარიზირებული დასახლებული პუნქტი, ან პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ სამხედრო ბაზა. საინტერესო იყო, დაიწყო რამდენიმე დღით ევაკუაცია, რამდენიმე დღით ადრე დაიწყო ევაკუაცია

თავმჯდომარე. 2 აგვისტოს, 2 აგვისტოს დაიწყო.

მსაკავშილი. 2 აგვისტოს ცხინვალის მოსახლეობას. პირველად, მე მინდა გითხრათ, არ ვიცი, ეხლა აღიარა თუ არა ეს მერაბიშვილმა გუშინ, მაგრამ როცა მე ვკითხე რომ ჩამოვედი იტალიიდან და ვუთხარი, რომ არ მომწონს ეს ამბები. სხვათა შორის, რამდენჯერმე დავრეკე იტალიიდან და ვთქვი, რომ, ყველას ვურეკავდი, რომ რაღაც არ მომწონს ეს რუსების რიტორიკა, მეუბნებოდნენ, რომ „პრინციპში, ადგილზე ბევრი არაფერი არ ხდება. მაგრამ მე ვუთხარი, რომ რაღაც არ მომწონს ეს პროპაგანდისტული მზადება მაინცდამაინც. მეც მქონდა ეს აგვისტოს კომლექსი, რომ აგვისტოში რაღაც მაინც უსიამოვნებებს უნდა ველოდოთ. მაგრამ რომ ჩამოვედი, უკვე სიტუაცია იყო გართულებული, მოხდა პირველი აფეთქებები პირველში სწორედ ჩემი ჩამოსვლის წინ. მაგრამ როცა ვკითხე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რას ნიშნავს ევაკუაციის გამოცხადება, მათ თქვეს, რომ ჩვენი დასკვნით ეს შეიძლება იყოს ცოტა პროპაგანდისტული ტრიუკი, ისედაც გაჰყავდათ ზაფხულში ბავშვები ბანაკებში და უნდათ მათ მცდელობა იმისა, რომ შექმნან თითქოს ომი იწყება და ამას ასაღებენ როგორც მოსახლეობის ევაკუაციას. მაგრამ როცა მათაც გადაამოწმეს ინფორმაცია რამდენიმე საათში და მეც ჩემი არხებით დავიწყე გადამოწმება კიდევ სხვა, მე ყოველთვის სხვადასხვა წყაროებს ვეყრდნობი. აღმოჩნდა, რომ მართლაც მიდის უპრეცედენტოდ მასშტაბური ევაკუაცია ცხინვალის მოსახლეობის, თან როგორი სახის. გაჰყავდათ, ეუბნებოდნენ კაცებს გაიყვანეთ თქვენი ოჯახები. შემოიარეს ოჯახები და შემდეგ საზღვრამდე აცილებდნენ ეს კაცები და მერე ეუბნებოდნენ თქვენ არ გაგიშვებთ, თქვენ დაბრუნდით უკან, ქალები, ბავშვები, მოხუცები გავიდნენ. გავიდა თუ არა მთელი მოსახლეობა, მათ გამოაცხადეს, რომ ძირითადად ევაკუირებულია, რა თქმა უნდა, რაღაც ნაწილი შედარებით და აი, მათ შორის, ისინი ვისაც არ ჰყავდა მებრძოლები ოჯახის წევრებად, ისინი არ გაიყვანეს. რატომ? ამას ჰქონდა არა ის საფუძველი, რომ რუსეთს ძალიან შეუყვარდა ცხინვალის მოსახლეობა. ისინი, მათ რაც გააკეთეს, ის ნამდვილად არ არის მათ მიმართ სიყვარულის გამოხატულება. უბრალოდ, სამხედრო თვალსაზრისით, ეს იყო აბსოლუტურად გარდაუვალი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თუ შენ აპირებდი შეიარაღებული მოქმედებების დაწყებას, რატომ? იმიტომ, რომ ცხინვალი და შემოგარენი ჩვენ კონტროლარქვეშ მყოფი სოფლები დაკავშირებულია აი, რუსეთთან ვიწრო გზით და ვიწრო გვირგვინით. დაიწყო სამხედრო ტექნიკის შემოსვლა. როგორც კი წავიდა მოსახლეობა, იმ წუთშივე დაიწყო, სადაც 5-ში, 6-ში დაიწყო სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამატება. ამას ვგულისხმობ, მე როცა ვიძახი, რომ ჩვენ შეიძლება დაგვაგვიანდა. იმიტომ, რომ ერთი-ორი დღით ადრე რომ ჩავგვეკეტა, მიგვესწრო იქ, შეიძლება, ამ რაოდენობით ტექნიკა ვერ შემოსულიყო, თუმცა, რადგან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, მაინც შემოვიდოდნენ ბევრი სხვა ადგილიდან, მაგრამ იმ მომენტში შეიძლება კიდევ მეტი ტაქტიკური უპირატესობა მოგვეპოვებინა. თუმცა, მინდა აქ ხაზი გავუსვა, რომ ეგრევე ყველა დაიწყებდა, მაშინ ნამდვილად უკვე ყველა დაიწყებდა ლაპარაკს, რომ საქართველომ დაიწყო პირველმა ომი. თუმცა, სამხედრო თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ ვამბობ, შეიძლება, ეს უფრო სწორი ყოფილიყო. მაგრამ როცა მათ გაიყვანეს მოსახლეობა, ამითი გაუთავისუფლეს გზა ჯავშანტექნიკას იმიტომ, რომ საბრძოლო ვითარების პირობებში ერთმანეთის მოპირისპირე მოძრავი დიდი რაოდენობით სამოქალაქო პირი და ჯავშანტექნიკა ნამდვილად შეაფერხებდა ჯავშანტექნიკის და ჯარის შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე.

და მეორე, მებრძოლები, რომლებიც დარჩნენ ცხინვალში, ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მსახურობდნენ რუსეთის ჯარში და შეიარაღებულ სტრუქტურებში ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჯარში, რაც რეალურად ასევე რუსეთის სტრუქტურების ფილიალს წარმოადგენდა. თუ ისინი იფიქრებდნენ იმაზე, რომ მათი ოჯახისთვის მოველოთ, მაშინ მათ ბრძოლისთვის საშუალება აღარ დარჩებოდათ. მნიშვნელოვანი იყო, რომ ისინი გათავისუფლებულიყვნენ ოჯახებზე ზრუნვისგან. აი ეს იყო სამხედრო რაციონალური მოსაზრება ამ ევაკუაციის უკან. ამიტომ ...ეს ნიშანი.

მეორე ნიშანი იყო, რუსეთში საგსე იყო, 50-მდე რუსი ჟურნალისტი იყო ჩამოსული, მათ შორის, უმეტესობა სამხედრო, თავდაცვის სამინისტროდან, ე.ი. ომის გასაშუქებლად ჩამოსული ხალხი. სანამ მსოფლიოს ეძინა, რუსები ომის გასაშუქებლად ემზადებოდნენ. და ესეც თავისთავად იყო ძალიან საგანაგაშო სიმპტომი. შემდეგ 6-ში ჩვენ მივიღეთ უტყუარი ინფორმაცია, რომ, სხვათა შორის, ყველანი ერთდ ვიმყოფებოდით, უშიშროების საბჭოს წევრები, როდესაც დავგირეკეს და გვითხრეს, რომ როკის გვირაბში გადმოვიდნენ რუსი მესაზღვრეები და გაუშვეს იქედან ადგილობრივი სეპარატისტების წარმომადგენლები, და მე მინდა ხაზი გავუსვა:

არასოდეს ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ოსები გაუშვეს, ქართული სოფლები, იმიტომ, რომ რეალურად ეთნიკური ოსების დიდი ნაწილი იყო აქეთ მხარეს და ისინი დაზარალდნენ ყველაზე მეტად. ესენი ოსები არ არიან, ესენი იყვნენ სეპარატისტების წარმომადგენლები, რუსეთის, და ახლა დღეს უკვე არიან საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლები. გაუშვეს იქიდან და უთხრეს, ჩვენ ვიღებთ კონტროლქვემ გვირახს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი დიდი ხანია აწყობდა იქ პროვოკაციებს, პირდაპირ ალბა აქეთა მხარის, საქართველო – რუსეთის საზღვრის, ეს იყო პირველი და უპრეცედენტო ნაბიჯი. ეს იყო უკიდურესად შემამოფოთებელი ჩვენთვის. შემდეგ მივიღეთ ინფორმაცია, რომ გვირახში მოძრაობს დიდი რაოდენობით ტექნიკა და მათ გადმოკვეთეს საქართველო – რუსეთის საზღვარი. მივიღეთ ინფორმაცია, რომ სიმაღლეებზე ცხინვალის გარშემო დაამატეს რუსეთიდან შემოსული ჯარისკაცები. მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთში მომზადდა საყოველთაო მობილიზაცია, მათ შორის, გაიწვიეს საბრძოლო მფრინავები, რაც ადრე არასდროს არ მომხდარა და მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ყველაფერი არ ატარებდა ეპიზოდურ ხასიათს, არამედ ყველაფერი ჯდებოდა ერთ სისტემაში და მართლა ჰგავდა სამხედრო ინტერვენციის დაწყებას, მაგრამ უკვე 7–ში, ჯერ ერთი, 2 საათზე მოხდა ავნივის მიმართ ხელახლა თავდასხმა. მე დილას, თუ გახსოვთ, 7–ში ვნახე, მოვიხახულე ჩვენი ჯარისკაცები გორის ჰოსპიტალში წინა დღეების შეტევის შედეგად იყვნენ დაჭრილი. 5–ში ჩავიყვანეთ ყველა ევროპელი ელჩი სანახავად, როგორ დაიბოძა ჩვენს კონტროლქვემ მყოფი სოფლები. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ჩვენ წინასწარ არავინ არ გავაფრთხილეთ. ყველამ საკუთარი თვლით ნახა და იმედა, ინფორმაცია გაუგზავნეს თავის მთავრობებში და ამას კიდევ ერთხელ ხმამაღლა იტყვიან. ჩვენ წინასწარ ვანახეთ ყველას ყველაფერი, რომ ეს ხდება. 6–ში დაგვიჭრეს და მოგვიკლეს ხალხი ავნივში და 6–ში, ასეთ სიტუაციაში ვართ, რომ 2 საათზე მოხდა, განხორციელდა ეს შეტევა ავნივზე. ჩვენი ორი სამშვიდობო იქნა მოკლული. რამდენიმე იქნა დაჭრილი და იცლებოდა სისხლისგან. მოვიდა დავით კეხერაშვილი და მემუდარა, უბრალოდ, რომ მივცეთ უფლება გენერალურ შტაბს, გამოიყენოს არტილერია იმისათვის, რომ ჩაახშოს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები, საიდანაც ესროდნენ ამ სოფელს და გზას შემოვლით იმისათვის, რომ დაჭრილები გამოვიყვანოთ. სხვანაირად ისინი დაგვებოცებინ. მე მინდა ვაღიარო, სამწუხაროდ, რომ მე ვუთხარი, რომ რაც არ უნდა მოხდეს და მესმოდა, რას ვუბნებოდი, რეალურად, რომც დაგვებოცოს ეს ბიჭები, ჩვენ ახალ ცეცხლს არ გავხსნივთ იმიტომ, რომ შევდივართ, პრაქტიკულად, ესკალაციის წარმოუდგენელ სპირალში და სამწუხაროდ, მე ჩემს თავზე ავიღე . . . პასუხისმგებლობა, მაგრამ შემდეგ კულახმეტოვთან ჰქონდა იაკობაშვილს საუბარი. იაკობაშვილი გავუშვით იქ და ვუთხარით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს თემურ, ტელეფონით გავუმიერე ორჯერ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, შევაჩეროთ ეხლა კონფრონტაცია. კულახმეტოვმა, რომელმაც წინა დღეებში წერილობით დაგვიდასტურა, რომ იყო თავდასხმები ჩვენს კონტროლქვემ მყოფ სოფლებზე, უთხრა კეხერაშვილს, რა ვქნა, ესენი სულ თავს გავიდნენ, ჩვენი პოზიციების უკნიდან გვესვრიან და ნუ, რა თქნა უნდა, ეს არავის არ დაუჯერებია, მაგრამ ის ამას, გასაგები იყო რომ, პრაქტიკულად, პასუხისმგებლობას იხსნიდა შემდგომ მოქმედებებზე ესენი, და კულახმეტოვის რჩევა იყო, რომ იქნებ, სიტუაციას უშველოს იმან, თუ თქვენ გამოაცხადებთ ცალმხრივ ცეცხლის შეწყვეტას. და მინდა ვთქვა, რომ პირველად ჩემს ცხოვრებაში რუსი გენერლის რჩევის მიხედვით მივიღე ჩემი გადაწყვეტილება. და გამოვედი ტელეფონით და ვთქვი, რომ ვაცხადებთ ამნისტიას, ვაცხადებთ საყოველთაო განიარაღებას,

თავმჯდომარე. თუ დააზუსტებთ, მერე თუ თქვენ შემდგომ კიდევ გაეცით ბრძანება, რომ სამშვიდობო კორიდორის შექმნაზე და ამიტომ რა

მ.საკაშვილი. ეს დაახლოებით 7- საათზეა საუბარი თუ არ ვცდები. ანუ, საღამოს. შემდეგ, ამის შემდეგ მივიღეთ კიდევ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, რომ ტექნიკის მოძრაობა გრძელდებოდა, საღამოს 10 საათზე განახლდა სერიოზული დაბომბვა ჩვენს კონტროლქვემ მყოფი ტერიტორიის, და ყველა ანალიზის, გაანალიზების საფუძველზე სრულიად ნათელი იყო, რომ ის ტექნიკა, რომელიც შემოვიდა რუსეთიდან გამოსცდა ჯავას და მოდიოდა იმ სოფლებისგან, რომლებიც, როგორც მოგახსენეთ, სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად იყო დაუცველი საკმაოდ და იქ ჩვენ არ გვყავდა მძიმე ტექნიკა და რუსეთმაც დაარღვია ესეც და წამოვიდა იქეთ მძიმე ტექნიკისკენ. ადრე როგორ იყო, ადრე ძირითადად მძიმე ტექნიკას ისინი ინახავდნენ ჯავაში ცხინვალელი სეპარატისტებიც კი, იმიტომ რომ სამშვიდობო ხელშეკრულებით მათი აქეთ გადმოსვლა იყო ისე მათ თავისი ინიციატივით ცალმხრივად დაარღვიეს უხეშად სამშვიდობო ხელშეკრულება. აი ამ სიტუაციაში წინასწარ მე მქონდა კონსულტაცია გავლილი, რა საშუალება არსებობს რუსების შეჩერების. ერთადერთი საშუალება იყო გრძელი მანძილის არტილერია, რომელიც წვდებოდა იმ გზას, რომელიც მოდიოდა ამ სოფლებისკენ. ამიტომ, როდესაც ჩვენ ყველამ შევაფასეთ სიტუაცია, მე გავეცი ბრძანება, მივეცი გენერალურ შტაბს ბრძანება ჩაეხშოთ საცეცხლე წერტილები, შეეჩერებინათ რუსული ტექნიკის შემოსვლა, და ასევე მკაცრად გავაფრთხილე იმ წუთში და შემდეგ არაერთხელ შემდგომ დღის განმავლობაში, რომ ყველაფერი გავაკეთოთ მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად. იმიტომ, რომ ეს ხალხი ცხინვალის მოსახლეობა, ესენი არიან ჩვენი ოსები, ესენი არიან ჩვენი მოქალაქეები, ესენი არიან ხალხი ჩვენი სისხლი და ხორცი და ჩვენ გვინდოდა არა ქალაქის დაკავება, ჩვენ გვინდოდა ამ ხალხის შევლა, მათ შორის, და ამ ხალხისთვის საქმის გაკეთება, მაგრამ ამ.... ამ ეტაპზე ამოცანა იყო ძალიან კონკრეტული. შეგვეჩერებინა მძიმე ტექნიკა და გადაგვეჩინა რამდენიმე ათეული ათასი ჩვენი თანამოქალაქე, რომელიც პრაქტიკულად აღმოჩნდა სამხედრო იზოლაციაში, იმიტომ, რომ შემოვლითი გზა იყო დაუცველი, და იბომბებოდა რეგულარულად, სოფლები იბომბებოდნენ, იქიდან მძიმე ტექნიკა შემოდიოდა. კოკოთმა განაცხადა წინა დღეებში, რომ მისი ამოცანა ამ სოფლების გაწმენდა, ესე იგი, ჩვენ გაწმენდა კარგად გვესმის მან თქვა, რომ ზანდიტებისგან მარა მათ მთელი მოსახლეობაც, რომ იგულისხმებოდა ამაზე ეჭვი

საერთოდ არავის არ გვეპარებოდა რეალურად იწყებოდა ეთნოპოლიტიკური წმენდა ამ სოფლების , რატომ ვამბობ, რატომ ეთნიკური თუ იმ სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი ასევე იყო ეთნიკურად ოსი, არ არის ეხლა ეს დასამალი, ბევრი , უმეტესობა ეთნიკურად ქართველები, მაგრამ ეს იყო ჩვენი სისხლი და ხორცი ყველა . ამიტომ რეალურად ჩვენ ამ ეტაპზე გვექონდა არჩევანი ცუდს და უარეს შორის, ეს იყო ყველაზე მძიმე არჩევანი ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა

_____ ბოდიში, ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ, იქნებ, დავაზუსტოდ ის გარემოება უფრო დეტალურად, როგორ მოხდა ბრძანების გაცემა ანუ იმ მომენტში, სად იყვნენ ძალოვანი მინისტრები დავუშვათ , თქვენთან ერთად ვინ იყო . . .

მ.საკაშვილი. ჩემთან ერთად თუ არ ვცდები , ამაზე , მე მგონი, დეტალურად თქვენ გესაუბრეთ, ჩვენი სამხედრო

_____ და რა საშუალებებით იქნა გაცემული.

მ.საკაშვილი. მე ამაზე დეტალური კითხვები , პასუხი ყველა გაიცა ამაზე, თუ გინდათ დამატებით ანგარიშს გამოგიჩვენებთ ესენი არ იმყოფებოდნენ უკვე ჩემთან , ჩემთან ერთად იყო, თუ არ ვცდები , მხოლოდ თემურ იაკობაშვილი და ისინი იმყოფებოდნენ თავის ადგილზე იმიტომ, რომ მაშინ . . . 2-ზე მოხდა აენვეთან დაბომბვა , ჩვენ მივიწვიეთ ბრიგადები, თბილისიდან და გორიდან მოვიყვანეთ სამხედრო მზადყოფნაში, დასავლეთიდან არ გამომიყვანია ამ პერიოდში ბრიგადები და, იმიტომ იმედი მქონდა, რომ ეს მაინც იყო დროებითი დამაბვა და მით უმეტეს, რომ იმ ძალებს, რომელიც იქ იყო ესეც ეყოფოდათ , თუ რამე დაიწყებოდა და ყველა, ჩვენი სამხედრო მეთაური იყო ადგილზე. რა თქმა უნდა, ბრძანება გაიცა გენერალური შტაბის მიმართ, ამ ბრძანების საქმის კურსში იყო თავდაცვის მინისტრი, მაგრამ ჩვენ მანამდე ბევრი ეს სიტუაცია გვექონდა მოთელილი, ჩვენ შუადღისას , თუ არ ვცდები უშიშროების საბჭოს ბევრი წევრის შეკრება იყო. მინდა ისიც ვითხრათ , რომ უშიშროების საბჭოს ბევრი წევრი იმყოფებოდა შვებულებაში . გელა ბეჟუაშვილი იყო ამერიკაში, სადაც დათო ბაქრაძე იყო ესპანეთში, ესპანეთში თუ თურქეთში, და მოუხდა 3 თვითმფრინავის გამოცვლა, სანამ ჩამოვიდა. აგერ დაიბარეთ თქვენ ზოგიერთი ჩვენგანი , მაგალითად, გიგა ბოკერია, იყო სადაც შორს , გადაკარგულში, იმიტომ, რომ იქიდან მის ჩამოყვანას რამდენიმე დღე დასჭირდა და ბევრი სხვა, ბევრი სხვა. მრჩეველი მთავრობის წევრი, მაგალითად , მეორე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე, იყო ამერიკაში, ექსკურსიაზე, ტყეშელაშვილი, მე მგონი ადგილზე იყო. ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკულად ძალიან ბევრი ჰყავდა არა მხოლოდ ესენი , ბევრი სამხედრო მეთაური იყო შვებულებაში . ჩვენ ვიყავით ძალიან დამაბულ რეჟიმში, სამხედრო თვალსაზრისით მისში , აპრილში, იმიტომ, რომ რუსებმა დაიწყეს ეს ესკალაცია, როგორც კი ივლისში, ცოტა ჩაწყნარდა სიტუაცია, ეხლა ესენი ხომ რობოტები არ არიან , სამხედროები , ჩვენ მივეცი, მე საშუალება თავდაცვის მინისტრს, ბევრი მათგანი გაეშვა შვებულებაში იმ სურვილით, რომ ისინი აგვისტოს, პირველი დეკადის შემდეგ დაბრუნებულიყვნენ. მე მართალი ვითხრათ, ამას ვუკავშირებდი იმას, რომ იქნებ, მართლა ოლიმპიადის წინ და ოლიმპიადის გარშემო რუსებს თავზე ხელი არ აეღოთ. მე ბევრი სხვა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როდესაც ეს ხალხი უნდა გაგვეშვა შვებულებაში და ეს როდესაც რაღაც პერიოდი მაინც უნდა გვეპოვა, ამიტომ აი ამ სიტუაციაში ხდებოდა ამ ბრძანებების გაცემა...

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, ბოდიში, შეგაწყვეტინებთ, დავამატებ მერე რომ ამ საკითხს არ დავუბრუნდეთ, იმ ბრძანებებში რომელიც თქვენ გაცევით, იყო თუ არა ბრძანება ქალაქ ცხინვალში შესვლასთან დაკავშირებით და თუ ასეთი ბრძანება იყო , რითი იყო ეს განპიროვნებული.

მ.საკაშვილი. მე მინდა ვითხრათ, რომ ჯერ ერთი საერთოდ გამოყოფა ქალაქ ცხინვალის და ყველა სხვა დასახლებულ პუნქტების ეს არის აბსოლუტურად ხელოვნური და ეს სპეციალურად არის გაკეთებული ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ მსოფლიო აზრის შოკის, რათა შოკი მოჰგვარონ მსოფლიო თანამეგობრობას, რომ აი ცხინვალი დაუცველი ქალაქი, შევარდნენ, გადაუარეს. იმ მომენტში კონცენტრაცია მოსახლეობის ხეობის სოფლებში , სამწუხაროდ, იყო ბევრად მაღალი, ვიდრე ქალაქ ცხინვალში, დაცვის საშუალებები , მაგალითად, სამხედრო შეტევისგან ბევრად მეტია ქალაქში, ვიდრე ჰქონდა ამ სოფლებს. ასე , რომ იქ უკვე ეს იყო ერთი თეატრი სამხედრო მოქმედების, ეს იყო სამხედროების შეხედულების მიხედვით გადაწყვეტა. მაგრამ ერთი რამ მკაცრად იყო მითითებული, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი, ჩვენი ჯარი არის გაწვრთნილი ისე და ამით ძალიან ვამაყობ მე, მშვიდობიან მოსახლეობას მაქსიმალურად მოუხსნას პრობლემები და მაქსიმალურად დაიცვან ისინი. რაღაც მომენტში როგორც მე მივხვდი სამხედროებს შეექმნათ განცდა და ამას მე , ამაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიზიარებ, რომ ცხინვალის გავლის გარეშე იმ პირობებში, როცა მძიმე ტექნიკა უკვე მომდგარი იყო იქით მეორე მხრიდან დიდი ლიახვის ხეობას, პრაქტიკულად იმ ხეობის მოსახლეობის გამოყვანა საცეცხლე წერტილების ჩახშობის გარეშე ცხინვალის გარშემო სიმაღლეებზე და, მათ შორის, ცხინვალის შიგნით რამდენიმე ადგილზე, ამ მოსახლეობის გამოყვანა იყო პრაქტიკულად შეუძლებელი.

თავმჯდომარე. ერთადერთი გზა „პრინციპში, გამოდის, რომ იყო ცხინვალიდან მოსახლეობის გამოყვანა.

მ.საკაშვილი. არა, მე ვფიქრობ, რომ მთავარი მოსახლეობის გამოყვანა განხორციელდა რამდენადაც მე ამას ვადევნებდი ძალიან ყურადღებით თვალ-ყურს შემოვლითი გზიდან, მაგრამ შემოვლითი გზა იყო ძალიან ადვილად დასარტყმელი სოფელ დმენისიდან რამდენიმე სხვა წერტილიდან, მათ შორის, ქალაქ ცხინვალიდან თამარაშენის მიმართლებით ადვილი იყო ცეცხლის წარმოება და ამ საცეცხლე წერტილების ჩახშობის გარეშე მოსახლეობის გამოყვანა იქნებოდა შეუძლებელი, თუ არა ჩვენი არმიის მოქმედება, რეალურად მსხვერპლი ჩვენ გვეყოლებოდა დღეს ათი ათასობით ან ათასობით, ჩვენ მივიღებდით ახალ სრებრენიცას, იმიტომ რომ ხალხი რომელიც შემოვიდა, მოექცა დარჩენილ მოსახლეობას, როგორც კარაჩიჩი და ვლადიჩი ექვეოდნენ სრებრენიცაში დარჩენილ მოსახლეობას. რეალურად, ჩვენ ეს ხალხი მათ გამოვაცალეთ პირიდან.

რა თქმა უნდა, თქვენ დამისვით კითხვა, რომ რატომ უფრო ადრე არ გავაკეთეთ. ალბათ, ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან. რატომ? იმიტომ, რომ ეს ესკალაცია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმდენად ქრონიკულ ხასიათს ატარებდა მთელი ამ წლების და თვეების განმავლობაში, რომ ის მომენტი, ის დაჭერა, რომ აი, ეხლა უნდა გამოვიყვანოთ მოსახლეობა ეს ჩვენი, ჩვენი ხეობის მოსახლეობა, იქ იყო გმირული მოსახლეობა. იყო ხალხი, რომელიც უძლებდა იმას, რასაც, ალბათ, ბევრი სხვა ადამიანი ძალიან ბევრ ქვეყანაში ვერ გაუძლებდა. თამარაშენის სკოლას ხვდებოდა ჭურვი. მეორე დილას სკოლაში მიდიოდნენ ბავშვები და აგრძელებდნენ სწავლას თავის მასწავლებლებთან ერთად. ... ხვდებოდა, კი, ნაღმი სახლს და ის ქალი მეორე დღეს გამოდიოდა, კაცი და იცით, მე, ერთი ქალბატონი ლოგინიდან ადგა, გამოვიდა გარეთ და სწორედ მაგ დროს, დამე მოხვდა ჭურვი, მისი საწოლი გაქრა, უცხად, დაბრუნდა უკან, ეს ხალხი მეორე დილას გადიოდა, ჩვეულებრივად ამუშავებდა მიწას, კრეფდა ვაშლს, წველიდა ძროხებს და ა.შ. იცი, ეს იყო ხალხი, რომელიც, დღეგამოშვებით ეს ხალხი უნდა გამოგვეყვანა ყოველი გართულების გამო, ეს უკვე, პრაქტიკულად, ასე არ იყო იქ ჩამოყალიბებული და, სამწუხაროდ, მართლა ამ გმირობამ შეაგუა ჩვენი საზოგადოება ამ ძალადობის რაღაც დონეს, რომელიც იქ მუდმივად ხდებოდა.

მე იცით, გახსოვთ, რომ წლები იყო როცა სნაიპერები ნადირობდნენ პირდაპირ ეზოში გამოსულან და მე ეს მე მახსოვს ერთხელ 72 წლის ადამიანი მოკლა სნაიპერმა მხოლოდ იმიტომ, რომ ზადის, ზოსტნის მოსაველეად გამოვიდა. აი, ასეთი რაღაცეები სულ ხდებოდა. ტერორი ამ მოსახლეობაზე ხორციელდებოდა ისევე, როგორც თავის დროზე სხვათა შორის სარაევოს სნაიპერები ბომბავდნენ მუდმივად. უბრალოდ, სარაევოზე მაშინ გაიგო მთელმა მსოფლიომ და სოფელ ნულის, ავენეის და სხვა მოსახლეობაზე ეს ვიცოდით მხოლოდ ჩვენ და ეხლა გვიხდება ამის თქმა, როცა გუშინ მერაბიშვილმა მოგასმენინათ თქვენ ეს ჩანაწერები, რომ უხეში ვულგარული რუსულით ნათქვამი, რომ დასახლებული პუნქტი ... გაქრეს საერთოდ რუკიდან. ეს არის ზუსტად, რასაც აკეთებდა სრებრენიცაში. რა არის განსხვავებული აქ, რომელ ქართველ მეთაურს გაუცია როდესმე ან მოიფიქრება თავში რაიმე მსგავსის ან გამოთქმა, ან მითუმეტეს განხორციელება.

რაც შეეხება, რომ დავუბრუნდეთ ქართველ მეთაურებს, ყურაშვილის განცხადებას – სრული სიბრძნე. ამ კაცს არ ჰქონია არც მანდატი, არც საბრძოლო ბრძანება, იმიტომ, რომ ის არ იყო შეიარაღებული ძალების ... ნაწილი, ის იყო სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი რამდენიმე ათეულ ადამიანს ხელმძღვანელობს წმინდა სამშვიდობო მანდატის მქონეს და როცა ატყდა ეს ყველაფერი, მისმა, მის პირაპირ ვთქვათ, ალბათ, თავის მოწონების და თავის გამოჩენის დაუოკებელმა წყურვილმა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას ზოგიერთს ახასიათებს და გაპრანჭვის სურვილმა, ალბათ, ტელეკამერების წინაშე ან თვითონ ამბობს „კონტუზია“, მე არ ვიცი ან ერთმა, ან მეორემ, ან ორივემ ერთდ, გადაწყვიტა, რომ ეთქვა, ყველა ჩაენაცვლებინა, პრეზიდენტიც, უმაღლესი მთავარსარდალი, მინისტრი, ყველა და ყველას მაგივრად ყველაზე ჭკვიანური რამე თქვა. რა თქმა უნდა, ეს იქნა გამოყენებული ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ ჩვენს წინააღმდეგ პროპაგანდის საწარმოებლად და ამიტომ ეს იყო, რა თქმა უნდა, უხეში შეცდომა, ეს განცხადება კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის შესახებ. ეს არის ჩეჩნური ტერმინი, ამას იყენებდა რუსეთი. ჩვენ არა ვართ რუსეთი და ცხინვალი არ არის ჩეჩნეთი.

რაც შეეხება სხვა კითხვებს, სამხედრო ხარჯებს. ჩვენს არმიას რომ არ გაეწია წინააღმდეგობა, დღეს არა მხოლოდ პაატა დავითია არ იჯდებოდა ამ კომისიის სათავეში და არ გამოჰკითხავდა დეტალურად ყველაფერს პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელსაც შარშან ტრიბუნალს აპირებდა გადაცემას, ოღონდ ამის არანაირი ბერკეტები არ ჰქონდა და ახლა ყველა ბერკეტები თქვენს ხელშია, არამედ ამ პარლამენტში არავინ არ ვიქნებოდით. აქ იქნებოდა ვინმე, იგორ გიორგაძის მსგავსი სუბიექტი და აქ იქნებოდა გენერალი ბორისოვი. და გენერალი ბორისოვი, ეს კაცი, ტელევიზორში გამოიყვანდნენ, ალბათ, იმას, ქართველს, მაგრამ ტექსტებს დაუწერდა გენერალი ბორისოვი.

ქართულმა არმიამ გადაარჩინა ჩვენი საზოგადოების საერთო გმირობასთან ერთად, იმ ასობით ათას ადამიანთან ერთად, რომლებიც გამოვიდნენ თბილისის ქუჩებში დაბომბვის საფრთხის პირობებში, ქართულმა არმიამ გადაარჩინა დღეს ქართული სახელმწიფოებრიობა. რომ არ ჰქონოდათ რუსებს განცდა იმისა, რომ ჯარი გადაარჩა, სიტუაცია, თბილისი იქნებოდა სრულიად დაუცველი და რა შეაკავებდა მათ იმისგან, რომ შემოსულიყვნენ ქალაქ თბილისში. თქვა ეს პუტინმა კარგად – ჩვენ გვინდოდა 20 წუთი თბილისამდე რომ მოგვეღწია. არმიის არქონის პირობებში ისინი 20 წუთში შემოვიდოდნენ დიდმის გზაზე, იქნებოდნენ დაახლოებით კახა ბენდუქიძის სახლთან და ნახევარ საათში იქნებოდნენ პარლამენტში, აქ, ამ შენობასთან. მაგრამ მათ იცოდნენ, რომ თბილისის გარშემო იყო განლაგებული ჩვენი არტილერია, მათ იცოდნენ, რომ ჩვენ დავიწყეთ ხიდების დანადგარ, მათ იცოდნენ, რომ პრაქტიკულად ყველა ბრიგადა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, იყო

ბრძოლისუნარიანი და მათ იცოდნენ, რომ საქართველოს მთავრობა არ ჩამოიშალა, არ გაიქცა და ქართული საზოგადოება დადგა მედგრად.

აი ამ ყველაფრის კომბინაციამ და პრეზიდენტ ბუშის ძალიან მკაცრმა განცხადებამ გადააფიქრებინა მათ თბილისში შემოსვლა. ეს არ იყო მათი კეთილი ნება. რუსეთის სტრატეგიული მიზნები და ამაზე, ალბათ, შემდგომ ვილაპარაკებთ, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა: იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა და არის, იყო საქართველოს მთავრობის დამხობა ძალადობრივი გზით, იყო ნავთობსადენების და გაზსადენების კონტროლი შუააზიიდან, კასპიის ზღვის ქვეყნებიდან. არც ერთი ეს მიზანი დრესდელით, საბედნიეროდ, მიღწეული არ არის. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ. საუბედუროდ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მათ უბიძგებს, რომ რაღაც პროვოკაციაზე წავიდნენ და აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ჩემ . . . მოგწევიტე ის 4 მილიარდი, რომელიც დავხარჯე ჯარზე, იმიტომ, რომ გამიხარდებოდა 4 მილიარდად კიდევ რამდენი ავტობანის აშენება, ყველა სკოლის ისე გაკეთება, როგორც არის ტირმისის სკოლა, კონფლიქტის ზონაში, რომელიც მასწავლებლებმა გადაარჩინეს იმიტომ, რომ მასაც უპირებდნენ ოკუპანტები დაწვას. ყველა საავადმყოფოში ყოფილყო უფასო მკურნალობა ყველასი და საავადმყოფოები ყოფილყო ისეთი, როგორც არის დღეს, ყველა საავადმყოფო, როგორც არის დღეს ქუთაისის ან გორის, ან თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო და პენსიები ყოფილიყო საქართველოში 3-ჯერ, 4-ჯერ მეტი.

რა თქმა უნდა, ეს იყო მძიმე გადაწყვეტილება, შეიარაღებაზე ამ ფულის დახარჯვა, მაგრამ მე მქონდა მუდმივად საფრთხის განცდა და ეს საფრთხის განცდა, როგორც არასდროს, გამაფრებელი მაქვს ახლაც, თუმცა შეიძლება ეს არ უნდა იყოს პანიკის საფუძველი, რომ საქართველოს სჭირდება დაცვა. საქართველოს ვერავინ ვერ დაიცავს თუ ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია საკუთარი ინტერესების დაცვა და ბრძოლა ამ ინტერესებისთვის. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, ეხლა არის ეკონომიკური კრიზისი და ჩვენი გარკვეულწილად გვიწევს ყველა ხარჯების შემცირება, მათ შორის, თავდაცვის ხარჯების.

ჩვენ, გუშინ, ალბათ, ნახეთ, მეც მქონდა საშუალება მენახა ტელევიზიით ჩვენი ჯარის წვრთნა . . . პოლიგონზე. მიდის შევსება ჩქარი ტემპებით პირადი შემადგენლობის, შეიარაღებული ძალების, მიდის მათი ინტენსიური წვრთნა, მომზადება. რა თქმა უნდა, საჭიროა შემდგომი სამხედრო რეფორმები, რათა დაუზახლოვდეთ ნატოს სტანდარტებს, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა იქნებოდა ყველა დიპლომატიური მექანიზმების კვალდაკვალ და იმის კვალდაკვალ, რომ ჩვენ ვართ მყარად მოწოდებული, რომ ყველა კონფლიქტი გადაეწყვიტოს მხოლოდ მშვიდობიანად, როგორც ამ მწარე გამოცდილებამ გვაჩვენა ეს მხოლოდ ჩვენი არჩევანი არ არის ხოლმე. თუ ქვეყანას დასჭირდა ჩვენ უნდა ვიყოთ მზად მისთვის საბრძოლველად და თავის გასაწირად კი. ამისთვის ვართ მზად ჩვენ, საქართველოს მთავრობის წევრები და ამისთვის მზად არის ჩვენი ჯარის პირადი შემადგენლობა.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, ეხლა სიტყვას მივცემ ბატონ ლევანს, მერე ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, მაგრამ მანამდე მინდა გითხრათ, რომ ის პროპაგანდისტული მანქანა რაც არის, მუშაობს, ჩვენ ეხლა გვაცნობს, რომ რუსეთის ყველა საინფორმაციო საშუალება ეტყობა ადევნებს თვალ-ყურს, უკვე გადასცემს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აღიარა ომის დაწყება ცხინვალის რეგიონში. ამ პროპაგანდისტული მანქანით ხდება გადაცემა ეხლა ყველა ეთერში. ვთხოვ, ბატონ ლევანს და ბატონ დიმიტრის.

მ.საკაშვილი. აი, სულ ამ სიმართლით ატაროს ღმერთმა ეს საინფორმაციო საშუალებები. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ჩვენ არ დავნებდით მათ და გავუწიეთ წინააღმდეგობა. ჩვენ ვაღიარებთ და დავადასტურებთ ის, რასაც ყოველთვის ვაღიარებდით და ვადასტურებდით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა საბრძოლო ოპერაცია, რათა გაეწია წინააღმდეგობა ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენციისთვის და ფართომასშტაბიანი თავდასხმებისთვის საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობაზე. მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ და კიდევ ერთხელ მკვეთრად ვუსვამ ამას ხაზს. ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ და უნდა ითქვას, რომ რამდენადაც მძიმე არ იყო ეს გადაწყვეტილება, რამდენადაც რთული არ იქნებოდა ნებისმიერი ადამიანისთვის მსოფლიოში და საქართველოში ამ გადაწყვეტილების მიღება, ეს იყო დემოკრატიულად არჩეული ლიდერის უპირველესი პასუხისმგებლობა – დაეცვა თავისი ქვეყანა, ამ ქვეყნის საზღვრები და ქვეყნის ყველა ეთნიკური წარმომავლობის მშვიდობიანი მოსახლეობა. თქვენის ნებართვით, თუ შეიძლება, რომ 10 წუთი შევისვენოთ და მერე სიამოვნებით, ახალი ენერგიით გავაგრძელებთ თქვენ კითხვებზე პასუხს.

თავმჯდომარე. კი, ბატონო. კი, ბატონო. 10 წუთი მაშინ შესვენება.

შესვენების შემდეგ

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის
თავმჯდომარე პ. დავითაია.

მ.საკაშვილი. სად გავჩერთ?

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, აქ არის ერთი შეკითხვა, რომელიც ბატონ მინაშვილის გამორჩა დააზუსტებს. მერე ორი დაზუსტებაა, დამატებაა, ბატონი ვფეხვაძე და ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძე და მერე თქვენ შეგიძლიათ უკვე დაიწყეთ საუბარი.

მ.საკაკაშვილი. ბატონი აკაკის შეკითხვა რომელია?

ა.მინაშვილი. შეგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, როცა საუბარი იყო ე.წ. „მძინარე ქალაქზე“. ასევე არიან ადამიანები, ვინც სპეულირებს, რომ თითქოს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა წინასწარ შეუტყის იმ დროისათვის არსებულ სამშვიდობო ძალებს ცხინვალს რეგიონში, ცხინვალში.

მ.საკაკაშვილი. მინდა გითხრათ, რომ მკაცრი ინსტრუქციები იყო წინასწარ ბევრჯერ გაცემული, რომ არ მიგვეცა საბაზი, ვიცოდით, რა, რომ ეს იყო ... თემა რუსეთის სამშვიდობო ჯარების შეტევის. თუმცა გარჩევა იმისა, რომ ვინ იყო სამშვიდობო ცხინვალში და ვინ იყო ოფიციალური, ვინ იყო არაოფიციალური რუსეთში იყო ძალიან რთული. იმიტომ, რომ ცხინვალის თაობაზე, და ამაზე ყველა ხუჭავს თვალს, ეს იყვნენ რამდენიმე რუსი გენერალი: ბარანკევიჩი, პოლკოვნიკი და რამდენიმე გენერალი. აი ყველაზე მეტად, ვინც იბრძოდა ცხინვალში, ეს იყო ბარანკევიჩი. ბარანკევიჩი არის რუსეთის შეიარაღებული ძალების საკადრო მოქმედი ოფიცერი. ასე, რომ თქმა იმისა, რომ დღეს ეს სამშვიდობოა და ხვალ ეს არის მებრძოლი, არის პრაქტიკულად, შეუძლებელი. ეს ერთი მეორე. როგორც დადასტურა თავად კულახმეტოვმა არაერთხელ, ის აბრალებდა ამას ოს სეპარატისტებს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იქ გარჩევა ძნელი იყო და ძირითადად ეს ძალები იყვნენ რუსეთიდან შემოსული მაინც, რომ ისინი ... ნინძავე რომელიც არის ჩვეულებრივი რუსი, რუსეთიდან შემოსული ადამიანი, რომ ესენი მათი პოზიციების გამოყენებით, მათი პოზიციების აფარებით ესროდნენ ჩვენს ძალებს და ჩვენს ძალებს კი არა მხოლოდ, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას. ახლა, მე ვადასტურებ, რაც გვაქვს ინფორმაცია ყველანაირს სადაზვერვო და არასადაზვერვო, რომ იმ დღეებში ცხინვალისა და ყველაზე მეტად საცეცხლე წერტილებად გამოიყენებოდა სწორედ, ის პოზიციები, რომლებიც იყო სამშვიდობო ჯარების პოზიციასთან მახლობლად. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიყავით ვალდებული გვეპასუხა მათზე და, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი იყო გარკვეული რისკის შემცველი, მათ შორის, ე.წ. სამშვიდობოებისთვის. ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ გვყავდა გაფრთხილებული სამშვიდობოები, ჩვენ არაერთხელ გვექონდა მათთან საუბარი იმის თაობაზე, რომ მათ უნდა მაქსიმალურად შეესრულებინათ თავისი მანდატი და არ ჩართულიყვნენ ამ ტიპის პროვოკაციებში. ასევე მე მინდა ვთქვა, რომ როდესაც რამდენჯერმე წარსულში რუსეთმა განაცხადა, რომ სამშვიდობო იქნა იქ მოკლული, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ისინი ამას აცხადებენ. როგორც წესი, რაღაც შეტაკებების შედეგად დაღუპული ადგილობრივი ი.წ. „აპალჩენის“ წევრები სიკვდილის შემდეგ იღებდნენ ხოლმე ფურცელს, რომ ისინი იყვნენ სამშვიდობოები. რატომ? იმიტომ, რომ სამშვიდობოები რუსული კანონის თანახმად იღებენ შემდეგ პენსიას, დაღუპული სამშვიდობო ოღებს კომპენსაციას და ესეთი მექანიზმი იყო აწყობილი ცხინვალში. მე მაქვს ძალიან ბევრი ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ ჩვეულებრივი ადგილობრივი გასამხედროებული, უკანონო, ბანდიტური ფორმირების წევრი, მისი დაჭრის ან დაღუპვის შემთხვევაში გამოცხადებულა შემდგომ ოფიციალური რუსული სამშვიდობო განაცხადის მებრძოლად და ეს იყო პოლიტიკურადაც და ასევე ეკონომიკური მოტივაციით განპირობებული. რა კითხვებია კიდევ.

თავმჯდომარე. ბატონ ლევანს და შემდეგ ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო მიხეილ, თქვენ ისაუბრეთ 4 მილიარდზე, რომელიც დაიხარჯა ქართული არმიის მშენებლობაზე. თქვენი პოზიცია გასაგებია, რომ არა ეს 4 მილიარდი, ჩვენ დღეს ქართული სახელმწიფო აღარ გვექნებოდა, თუმცა მე 4 მილიარდიდან მინდა კონკრეტულ 50 მილიონზე ვიკითხო. გუშინ ბატონ კეზერაშვილს ვკითხე, რა დაჯდა 2 წლის განმავლობაში რეზერვის სამსახურის შექმნა. მან მიპასუხა, რომ დაჯდა 50 მილიონი, თქვენ გიყვართ ტერმინი მილიონი, ბოდიში, თქვენ გიყვართ ტერმინი „ჩამოშლა“, რომ ჩვენი მთავრობა არ ჩამოშლილა ამ კონფლიქტის და ამ პირობებში, მაგრამ ფაქტია, რომ რეზერვის სამსახური ზუსტად ჩამოიშალა, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა მათი, ასე ვთქვათ, გამოყენება იყო იმ დროს აუცილებელი. აქედან გამომდინარე მიჩნდება ასეთი კითხვა, ზოგადად ძალიან ბევრი, საკმაოდ დაბალი რანგის სამხედრო თუ თანამდებობის პირი იქნა დასჯილი, როგორც მოვისმინეთ ჩვენ ბატონი კეზერაშვილისგან, თუმცა მაღალი თანამდებობის პირების დასჯაზე საუბარი ჯერჯერობით არ არის. თქვენ ყველას კმაყოფილი ხართ, ყველა, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილების კმაყოფილი ხართ, თუნდაც ამ 50 მილიონიდან და ამ რეზერვის სამსახურიდან გამომდინარე? (ხმები ადგილიდან).

მ.საკაკაშვილი. ... კითხვაზე გავცემ პასუხს და შემდეგ იმასაც გავცემ პასუხს. ჯერ ერთი, მინდა ვთქვა, რომ მთლიანობაში მე ვარ ძალიან კმაყოფილი ჩვენი შეიარაღებული ძალების მოქმედებით. რატომ? თუ არა ჩვენი შეიარაღებული ძალების მოქმედება, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიძახი, ვერ გადავარჩენდით ქართულ სახელმწიფოებრიობას. როცა მე ვლაპარაკობ, რომ პრეზიდენტი ბუშის განცხადება იყო შემობრუნებითი ფაქტორი, აი, პირდაპირ ეთერში დაემთხვა ზუსტად მათი ტანკების მოძრაობა „სიენენ“-ის პირდაპირ ეთერში თბილისისკენ და არანაირი სურვილი მათ გაჩერების სახეზე არ ეტყობოდათ და არც ვერბალურად ამას არ ამჟღავნებდნენ. მათი გენერლები გვეუბნებოდნენ ჩვენ, მათ შორის, ბატონი კახა იყო აქ, რომ ისინი ელოდებოდნენ

ბრძანებას თბილისზე შეტევის. გორში მას ჰქონდა ინტენსიური ურთიერთობა ოკუპანტების წარმომადგენლებთან, მაგრამ ეს განცხადება იყო, რომელ რიცხვში? ბუშის განცხადება, 13 რიცხვში, სანამ პრეზიდენტი ბუში დაბრუნდა ვაშინგტონში, სანამ მოისმინა მოხსენებები თავისი სამსახურების და სანამ სარკოზი ჩამოვიდა, 12-ში, თბილისში, თუ არა საქართველოს შეიარაღებული ძალების აბსოლუტურად გამორჩეული წინააღმდეგობა, ათასობით ზარალი მიაღდა, ათასობით ადამიანიში გამოხატული, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, მოკლულებით და დაჭრილებით. 17-მდე საფრენ აპარატამდე არის ჩამოვარდნილი. ეს დადასტურებულად, არადადასტურებულად, უფრო სწორად, ჩვენი მონაცემებით, მათ შორის, სტრატეგიული ბომბდამშენი, რამდენიმე ვერტმფრენი. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ, მოდი, ვთქვათ, 58-ე არმია, რუსეთის, მე-4 ბრიგადამ, საქართველოსი, პრაქტიკულად, გაანადგურა, მე-4 ბრიგადამ, ჩვენი შეიარაღებული ძალების. მათ მოუხდათ შეტაკება შემოვლით გზით, უფრო სწორად, ძარის გზასთან და გენერალი ხრულოვი, რომელიც, მინდა ხაზი გავუსვა, და რატომღაც ძალიან უცნაურია, რომ არც ერთმა მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა ამას არ მიაქცია ყურადღება, რამდენიმე ხნით ადრე, მანამდე, მსახურობდა სამხრეთ ოსეთის სუვერენული ე.წ. რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად, საკადრო რუსი გენერალი, ხალხო. გენერალი ხრულოვი დაჭრილი, მძიმედ დაჭრილი, თავისი მძღოლის მეშვეობით გაიქცა, მიატოვა თავისი დემორალიზებული, განადგურებული არმია, რომლის ჯავშანტექნიკის უმეტესი ნაწილი იქნა გამოყვანილი მწყობრიდან. ეს არის სახელოვანი 58-ე არმია ბრწყალბებში რუსეთის, მთავარი ჩრდილო-კავკასიური არმია და ის გაიქცა და შემდეგ როგორც გმირს ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაქცეულ წაგებულ, დამარცხებულ გენერალს, გადასცეს მაინც სახის შესანარჩუნებლად მაინც ორდენი და ეს აჩვენებს დიდის ამბით რუსეთის ტელევიზიით. ბოლო რუსი გენერალი ბრძოლის ველიდან დაჭრილი გაიქცა მეორე მსოფლიო ომის დროს, და ეს გააკეთეს ჩვენმა ჯარისკაცებმა და შემდეგ უკვე ჩამოვიდა პუტინი, იცით, და ჩამოიყვანა საუკეთესო სადესანტო რაზმები ფსკოვიდან და მე მინდა ვთქვა, სრული პასუხისმგებლობით საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა არა ცალკე აღებული არმია, რომელიც ჩვენ გაგანადგურეთ, არა ცალკე აღებული სპეცნაზები, რომელიც გაგანადგურეთ, მათ შორის, „გრუს“ საელიტო სპეცნაზი „ვიმპელი“ წვერიახლოს მთაზე, რომელიც გადმოსვეს პარაშუტებიდან. საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთის ბრძოლისუნარიანი სამხედრო ძალების 95 %-ი, პატარა საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა ყოფილი ზესახელმწიფო, ბირთვული ზესახელმწიფოს რუსეთის შეიარაღებული ძალების 95 %-ი. დაუფიქრდით ამ ციფრს. ასეთი მასშტაბით მათ არ გამოუყენებიათ შეიარაღებული ძალები არც ჩეხოსლოვაკიაში, არც უნგრეთში, არც ავღანეთში. რაოდენობრივად პირველი შემოსული კონტინგენტი იყო ის რაც ავღანეთში შევიდა, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ საბჭოთა კავშირი იყო, ბევრად მეტი ჯარი ჰყავდა, ბევრად მეტი ტანკი ჰქონდა და ბევრად მეტად იყო მომზადებული ასეთ რადაცემაზე. ეს არის რუსეთი, მთელი თავისი ტიტანური ძალების მობილიზაციის შექმნა და ვისაც ჰქონდა დასავლეთში მიამიტურად, რომ რუსული ტანკები მთებზე დაფრინავენ, ის, მე ვფიქრობ, ძალიან ცდება და არ იცნობს აეროდინამიკის კანონებს. თუ იცით, რომ იყო საუბარი, რომ აი საქართველომ დაიწყო და მერე რუსეთმა რეაგირება მოახდინა. მაგრამ ჩვენ საქართველოს და რუსეთს ღმერთმა უბოძა, რომელმაც, ალბათ, ბევრი იფიქრა ამ სიტუაციაზე, როცა ანაწილებდა მიწებს, მშვენიერი საზღვარი, ეს არის კავკასიის მაღალი მთები. როგორც იცით, კავკასიის მთების დიდი ნაწილი არის 4 ათას და 5 ათას მეტრზე უფრო მაღალი, შემდეგ საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ გათხარა მთებში პატარა გვირაბი, ვიწრო გვირაბი, როკის გვირაბი და ამითი დავეუკავშირდით ჩვენ ჩვენს ციურ მეზობელს, მაგრამ ეს მთები, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა საკმარისად მაღალი იმისათვის რომ რუსული თვითმფრინავების გადმოფრენა შეეკავებინა. გერმანულ თვითმფრინავებს მათი გადმოლახვა უჭირდათ მეორე მსოფლიო ომის დროს. რუსული თვითმფრინავები არ არის ყველაზე თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ ამ სიმაღლეზე ნამდვილად დაფრინავს და როკის გვირაბიც ამ მიზნით იქნა გამოყენებული. მაგრამ მე მინდა ყველას ასევე შევახსენო, რომ ამხელა ჯარი შემოვიდა და ამხელა ჯარის მობილიზაციას და ეხლაც, სხვათა შორის, ძალიან საინტერესო გამოკვლევა გააკეთა რამდენიმე სერიოზულმა ამერიკელმა სამხედრომ. სჭირდება ამერიკის პირობებში მინიმუმ რამდენიმე კვირა და რუსეთის პირობებში მინიმუმ რამდენიმე თვე. მე მინდა ყველას შევახსენო, რა მიუძღვოდა ამ ინტერვენციის მომზადებას წინ. იყო პოლიტიკური ფაქტორები მომზადების, იცით, რომ ნატოს სამიტის შემდეგ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პუტინმა 20 წუთში მას შემდეგ, რაც გამოვიდა ბუქარესტის კომუნიკე, რომ მან თქვა რომ საქართველო -უკრაინა გახდება ნატოს წევრი, 20 წუთში თქვა, მე ძალიან კარგად მახსოვს ბუქარესტში ვიყავი და ჟურნალისტებმა მომიტანეს ეს ფურცელი და მკითხეს კომენტარი –“ ჩვენ აღმოვუჩენთ ქმედით დახმარებას სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს ნატოს ამ გადაწყვეტილების სანაცვლოდ.“ მე მოგახსენებთ, რომ მათი გენშტაბის უფროსმა მეორე დღესვე თქვა: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო არ შევიდეს ნატოში“. პუტინმა კოსოვოს სანაცვლოდ თქვა „ჩვენ გვაქვს ჩვენი საშინაო სპეციალური გეგმა მომზადებული რა უნდა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში“, თქვა იმ კაცმა. 2007 წელს დაღესტანში სამხედრო ნაწილის გახსნისას, მან ჰკითხა, სად მიდის ეს სამხედრო გზა, რომელიც აქ გადის. საქართველოში - უთხრეს, და ტელევიზიით გაუშვეს ეს, ტელევიზიას ისინი აკონტროლებენ, და ტელევიზიით გაუშვეს რამდენჯერმე და მან თქვა მსოფლიოს გასაგონად: „რა კარგია, ჩვენ გვექნება კიდევ ერთი სამხედრო გზა საქართველოში გადასასვლელად“. ეს იმ პირობებში, როცა ყველა სახმელეთო გზა ჰქონდათ გამოქალაქო პირობისთვის მათ დაკეტილი, და წინასწარ ისინი ამბობდნენ ამას, ამბობდნენ, რომ ჩვენ მოვაწყობთ შუა კვიპროსს, ჩვენ მოვაწყობთ, ეს მე მითხრეს და უთხრეს, მათ შორის, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს დასავლეთში, რომელთაც მე მომიყვეს იგივე, მაგრამ რატომღაც თვითონ „ალბათ, სათანადო რეაგირება ამაზე შეიძლება მოახდინეს, მაგრამ მე არ ვიცი, ამის შესახებ, და ეს თქვეს, არის პოლიტიკური მომზადება. მეორე არის სამხედრო მომზადება. გასული წლის ნოემბერში, ჩვენი აქ ცნობილი მოვლენების შემდეგ, მე დაენიშნე არჩევნები და ამ დროს მოიტანეს ინფორმაცია, რომ ოჩაძირის პორტის

გაწმენდა დაიწყო, დაცარიელებულ ოჩამჩირის პორტის, აკვატორიის გაწმენდა სხვადასხვა იქ ლექისგან რაც არის და ეს ნათელი იყო კეთდებოდა სამხედრო მიზნებისთვის. მე მაჩვენეს სურათები აფხაზეთში სამხედრო ბაზების შენობის, სადაც ჯერ კიდევ ტექნიკა არ ჰყავდათ შეყვანილი, და ეს იყო ბევრად მეტი ბაზა, ვიდრე სეპარატისტების ხელში არსებულ ან სამშვიდობოების ხელში არსებულ სამხედრო ტექნიკას სჭირდებოდა. ამ ყველაფრის შედეგად მე გამოვედი ტელევიზიაში და ვთქვი, ჩვენ დასავლელ პარტნიორებსაც ვუთხარი ამის შესახებ და ბევრმა ჩვენმა უცხოელმა პარტნიორმა თქვა, რომ ეხლა სააკაშვილი ცდილობს შიდა პრობლემებიდან გადაიტანოს თავისი ყურადღება სხვაგან, და გარე მტერს იგონებს იმისათვის, რომ შიდა წნეხი მოეხსნას. მაგრამ, ეს იყო სამხედრო მომზადება. აპრილში მათ შემოიყვანეს დამატებით სადესანტო ჯარები აფხაზეთში და შემოიყვანეს სარკინიგზო ჯარები, სადესანტო ჯარებმა დაიწყეს მასობრივადტერიტორიის კოდორის ხეობის გარშემო. სრულიად ნათელი იყო, რომ ეს იყო სამხედრო მომზადება, კოდორის ხეობაში შემოჭრის. მე მიინდა შეგახსენოთ, გასული წლის ოქტომბერში ჩვენმა სპეციალური დანიშნულების რაზმმა გაანადგურა, აფხაზეთის სპეცნაზმა, თქვენთან ბოდიში, სამეგრელოს სპეცნაზმა გაანადგურა აფხაზეთის სპეცნაზი და გაანადგურა ორი რუსი პოლკოვნიკი, რომელიც აფხაზეთის სპეცნაზთან ერთად ატარებდა სადაზვერვო ოპერაციას სვანეთის მთებში. ხომ სრულიად ნათელი იყო, რომ იყო სამხედრო მზადყოფნა. ეხლა ვნახოთ როგორ უშუალოდ . . . ახლოს რა ვითარება განვითარდა. რამდენიმე დღით ადრე, როგორც მოგახსენეთ, შავი ზღვის ფლოტმა მიატოვა სევასტოპოლი და წამოვიდა მთელი თავისი შემადგენლობით საქართველოს ნაპირებისკენ. რამდენიმე დღით, კვირით ადრე იყო ძალიან საეჭვო ვითარებაში ნავთობსადენის აფეთქება თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. რატომ იყო ეს ჩემთვის საეჭვო ვითარება, იმიტომ, რომ ომის პირობებში თუ უცებ მოიმატებდა ნავთობის ფასი იმის გამო, რომ ნავთობსადენი აფეთქდა, იცით, რომ ამ ნავთობსადენს მსოფლიო ნავთობის ფასზე აქვს დიდი მნიშვნელობა, ეს იქნებოდა საბაზი შესაძლებელია ზოგიერთი რუსის სტრატეგის თვალსაზრისით, ვთქვათ, დასავლეთისთვის ეთქვათ, რომ ნავთობი ჩაგვიკეტეს და ამიტომ ჩვენ უნდა რაღაც სახის რეაგირება ხმელეთზე ამაზე მოვახდინოთ. ეს არ არის, ჩემი სპეკულაცია, ეს არის ჩვენი სკრუპულოზური ანალიზის შედეგი. ადრე მსგავსი აფეთქებები მე არ მახსოვს ქურთი სეპარატისტების მხრიდან. ფაქტია, რომ ეს არ განხორციელდა სტრატეგია ნავთობსადენზე ძალიან საეჭვო დროს და ფაქტია, რომ ეს საოცრად დაემთხვა შემდგომი გავითარების მოვლენების ფონზე, მაშინ რუსეთის ინტერესებს.

მოხდა სრული მობილიზაცია სამხედრო ძალების ჩრდილო კავკასიაში. გაიწვიეს ბევრი სამხედრო. ჩვენ ჩამოვაგდეთ მფრინავები, მათ შორის, 53 წლის მფრინავი. პირველი მფრინავი, როგორც ვანომ მოგიყვით მერაბიშვილმა, ჩამოაგდეს ადგილობრივმა სეპარატისტებმა, სანამ იმან პირის გარეზა მოასწრო და რუსულად ხმის ამოღება ჩაქოლეს. ჩვენ ეს მფრინავი მოვათავსეთ საავადმყოფოში. ჩემი მეუღლე მივიდა მათ სანახავად. აბა ვინ იწვა ღულღუშურში, რომელიც სასვე იყო მაშინ ათასობით დაჭრილი და ხალხი იწვა პალატაში 10-10 და 20-20, ისინი იწვნენ ცალკე მოწყობილ ლუქსში, და სანდრამ ჰკითხა, რამე საჩივარი ხომ არა აქვთ, იქ ბევრი საჭმელიც, სასმელიც, ყველაფერი, წითელი ჯვრის და კონსულის ვიზიტები, და მათ თქვეს, რომ ჩვენ არაფერი პრობლემა არა გვაქვს, თქვენ გაქვთ პრობლემა. ჩვენ რა პრობლემა გვაქვს, ჩემი ცოლი ეკითხება, თქვენო ცუდად ეპყრობით თქვენს ხალხსო, ესე იგი, პირდაპირ ჰქონდათ ინსტრუქცია, იცით, წინასწარ გავრცელებული. მე ამას ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ მთელი მათი სამხედრო მანქანა და მთელი მათი პოლიტიკური სამხედრო სადაზვერვო რესურსები იქნა მობილიზებული საქართველოში. ეს იყო რუსეთისთვის ეგზისტენციური ბრძოლა, ეს იყო დიდი ხნის წინ მომზადებული და გაკეთებული. რა ქნა ამ დროს ჩვენმა ჯარმა, ჩვენი ჯარი, მთელმა ჯარმა შეძლო რამდენიმე დღე გმირული წინააღმდეგობის შედეგად მინიმალური დანაკარგებით, მე ყველა ჩვენი ჯარისკაცის სიკვდილს და ყველა ადამიანის, ყველა ეთნიკური წარმომავლობისა და განვიცი და სულაც არ მახარებს, როცა ვლაპარაკობ მრავალრიცხოვან მსხვერპლზე რუსეთის ჯარებში. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ თითქოს ის, მეორე მხარე მუდმივად ამას მალავდა, მაგრამ იქიდანაც ინფორმაცია გამოდის, რომ მათი მსხვერპლი იყო 15-ჯერ, 16-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე საქართველოს შეიარაღებული ჯარების დანაკარგები. მოახერხა მათი შეტევის პირველი ეტაპის შეჩერება სანამ ამოქმედდა საერთაშორისო დიპლომატია. მაგრამ რა ხდებოდა ამ დროს, ჩვენ, რატომ გამოვიდა ეს ჯარი აქეთ. ამავე დროს ჩრდილოეთიდან შემოსვლის პარალელურად, როცა 58-ე არმია დამარცხდა და როცა სრულიად ნათელი იყო, რომ კამერული ოპერაციის ჩატარება აქ ვეღარ მოხერხდებოდა, რუსეთმა ამოქმედა ის, რაც წინასწარ ჰქონდა ყოველი შემთხვევისთვის მომზადებული, მთელი მათი სახმელეთო და საჰაერო ძალები და საზღვაო ძალები, მათი მთავარი ფლოტი, შავი ზღვის ფლოტი, ყველა სამხედრო მფრინავი იყო მობილიზებული, მათ შორის, სტრატეგიული ავიაცია. ყველა სარაკეტო ჯარი იყო მომზადებული და, მე ვფიქრობ, რომ მათ გაისროლეს თავისი „ისკანდერის“ მარაგის ნახევარზე მეტი, 60-ზე მეტი ტაქტიკური რაკეტა და „ისკანდერი“ იქნა საქართველოში გამოყენებული და გასროლილი. ჩვენ ვიპოვეთ მხოლოდ 7 თუ 8, დანარჩენები სადღაც მთებშია გაბნეული, მაგრამ ვიდუოკადრები გვაქვს, როგორ ისვრიან და მათ მოახდინეს, პრაქტიკულად, აი იმ ყველაფრის შემოტანა და ისინი მოდიოდნენ ლარსიდან, როცა გაუჭირდათ უკვე მათ ცხინვალში. ლარსზე მოყენებული იყო 500-დან 700-მდე ჯავშანტექნიკა. მე მერაბიშვილმა მითხრა ამის შესახებ და თქვა, რომ, პრაქტიკულად, ისინი შეეცდებიან ამის გაჩერებას, მაგრამ დიდხანს ეს ვერ მოხერხდება. ისინი შემოვიდნენ დასავლეთ საქართველოში და მერე ჩვენ ვიყავით ზუგდიდში, ჩვენი თვალთ ვნახეთ და ისინი შემოდიოდნენ და აი იმ ცნობილი გზიდან, რომელზეც პუტინი საუბრობდა შარშან 2007 წელს, დაღესტნიდან შემოდიოდნენ კახეთის ტერიტორიაზე. იქ იდგა 100-ზე მეტი რუსული ჯავშანტექნიკა. ე.ი. რა ხდებოდა, ისინი აიღებდნენ ლარსიდან და რიკოთიდან გამოსვლის შემთხვევაში გორთან განლაგებულ ჩვენს ჯარს, გაანადგურებდნენ მთლიანად საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. იმიტომ, რომ საუბარი იყო 40 000 ჯარისკაცზე და 40 000 მეორე მხარეს იყო საზღვრის და ნებისმიერ მომენტისთვის მზად

როტაციისთვის. 3 000–ზე მეტი ჯავშანტექნიკა შემოვიდა ასობით დანადგარი „გრადი“ და სხვა საარტილერიო დანადგარი, „ურაგანები“ და ეს რაკეტები, რომელსაც ისინი ისროდნენ. აი ამ სიტუაციაში, და 200–მდე თვითმფრინავი მონაწილეობდა ამ ოპერაციაში. ამიტომ სიტუაცია ჩვენ უნდა რეალისტურად შევაფასოთ ჩვენი ჯარის შესაძლებლობები. ჩვენი ჯარი, რომელზეც ჩვენ აქ დავხარჯეთ რამდენი ფული, იყო გათვლილი იმაზე, რომ, ვთქვათ, იმ ტიპის ოპერაციას, რომელსაც რუსეთი ატარებდა 90–იან წლებში აფხაზეთში, როცა თან ბომბავდა, თან გვესროდა და თან მშვიდობისმყოფელს და გამშველებელს თამაშობდა. ამ პირობებში მათ ამის შანსი, ამ პირობებში ჩვენი ჯარი ამას ადვილად გაანეიტრალებდა. სხვადასხვა ე. წ. მოხალისეებს, ჩრდილოკავკასიელებს ჩვენი ჯარი ადვილად გაანეიტრალებდა. ადგილობრივ, ამ ბანდიტურ ფორმირებებზე მე არც არაფერს არ ვამბობ და მე, მარტო ისინი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენ მათთან შეიარაღებული ბრძოლა არ დაგვჭირდებოდა. ამიტომ, ამ ეტაპზე ეს ჯარი იყო გამზადებული შესაკავებლად, სტრატეგიულად დედაქალაქის დასაცავად ჯარი მაშინაც და ახლაც იყო გამზადებული. ეხლა, თქვენ თუ მკითხავთ, რამდენიმე დასახლებული პუნქტის დასაცავად, რომელსაც ბომბავს 100–ზე მეტი გრადი და მე მინდა ხაზი გავეუსვა, როცა ამბობენ, რომ ქართველები ბომბავდნენ, 100–ზე მეტი გრადი და ეს არის ვიდეოზე გადაღებული რუსების მიერ, ბომბავს ქალაქ ცხინვალს, როცა ჩვენ ვიყავით იქ და ამათაც ვერ დაანგრის ბოლომდე ცხინვალი, მაგრამ ძალიან დააზარალეს. როდესაც ბომბავს ისკანდერები, როდესაც, ერთდროულად იყო მომენტი, როცა ჰაერში იყო 50–ზე მეტი თვითმფრინავი. აი ამ პირობებში, რამდენიმე დასახლებული პუნქტის შენარჩუნება არც ერთ ამ რაოდენობის ჯარს, როგორი ალჭურვილი, როგორი გაწვრთნილი და როგორი მომზადებულიც არ უნდა იყოს ის, აი ამ შემოტევის პირობებში, შეუძლებელია ან შესაძლებელია მხოლოდ პირადი, საკუთარი თავის განადგურების პირობებში, რაღაც პერიოდი გაძლება. ჩვენი მიზანი არ ყოფილა ჩვენი ჯარის განადგურება. ჩვენი მიზანი, სხვათა შორის, ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, იყო ჩვენი ჯარის ძირითადი ბირთვის გადარჩენა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჯარისკაცი არ უნდა ყოფილიყო მზად თავგანწირვისთვის. რა თქმა უნდა, ჯარისკაცი იმიტომ არის ჯარში, რომ მან საჭირო მომენტში, საქმეს როცა სჭირდება, მართლა თავი გაწიროს თავის ქვეყნისთვის. აი ეს იყო ჩვენი სიტუაცია. ახლა რაც შეეხება რეზერვისტთა სამსახურს. მე ვფიქრობ, რეზერვისტთა სამსახურის ამოცანა იყო ძალიან სპეციფიკური. ეს იყო არმიის მიერ გაკონტროლებული და შემდეგ გადაინაცვლა არმიამ საბრძოლო ვითარებაში დასახლებული პუნქტების გაკონტროლება ისე, რომ მშვიდობიან მოსახლეობას არ შექმნოდა პრობლემები, ყოფილიყო წესრიგი, ყოფილიყო სიმშვიდე.

ეხლა, როცა რუსეთი წამოვიდა ამ მასშტაბის შემოტევაზე, ჩვენ რეზერვისტთა მომზადება იმ ეტაპისთვის არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ეომათ რეგულარულ ჯართან. ეს ერთი და მეორე. ვთქვათ პირდაპირ, მათი ოფიცრების რაოდენობა არ იყო ისეთი, რომ ამდენი რაოდენობის რეზერვისტებისთვის ეხელმძღვანელათ და ასევე, ალბათ, მათი მომზადების დონე არ იყო ისეთი, როგორც ჩვენ ვისურვებდით. მართალია, მაგრამ ეს არის ბევრი გულანთებული ახალგაზრდა. ეს არის მართლა თავდადებული ხალხი. კახა იყო იქ, ვაზიანის ბაზაზე, როცა ეს . . . და იმახოდნენ, დროზე მივიდეთ! ხომ ახლა არ გამოვიქცევით? ხომ უკან დახვევის ბრძანებას არ მოგვეცემთ? ეს მართლა არიან სამშობლოსთვის თავგანწირული, გულანთებული ადამიანები და, რა თქმა უნდა, მე განვიცდი თითოეულ მსხვერპლს, მათ შორის, რეზერვისტთა შორის, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სამშობლო, ასეთი ისტორია გვაქვს სამწუხაროდ, ჩვენ გადავრჩით მხოლოდ იმის გამო, რომ მთელმა თაობებმა ქართველების, გაწირეს თავი საქართველოსთვის, მრავალენიკური ქართველების.

და მინდა ვთქვა, რომ ბოლო რაზმი . . . გმირულად ებრძოდა რუსების შემოსვლას XIX საუკუნეში საქართველოში იყო ყაზბეგთან ოსური რაზმი, რომელმაც სცადა მაშინ დატყვევებული ქართველი დედოფლის, რომელიც მიყავდათ რუსეთში ხელბორკილებით, გამოხნა და თუ კარგად წაიკითხავთ ოსი კლასიკოსების ნაწარმოებს, მათი დიდი ნაწილი ეძღვნება ეთნიკური ოსების და ეთნიკური ქართველების ერთობლივ ბრძოლას უცხოელ დამპყრობლებთან, მათ შორის, სხვათა შორის, ჩრდილოეთიდან შემოსულთ. ასე რომ, ჩვენ ასეთი ისტორია გვაქვს, ჩვენ მუდმივად უნდა ვიყოთ მზად თავგანწირვისთვის, მუდმივად უნდა ვიყოთ მზად თავდაცვისთვის, ბრძოლისთვის, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი, სამწუხაროდ, არსებობის არსი.

რა თქმა უნდა, საქართველო მისიწრავის ისეთი ალიანსებისკენ, ისეთი კავშირებისკენ, სადაც ომი და უბედურება აღარ იქნება საჭირო. სადაც ყველა საკითხი მოგვარდება მშვიდობიანად და ევროპულად. მაგრამ ის ხალხი, ვინც შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, მე არ ვაყენებ შეურაცხყოფას რუს ერს ნამდვილად, მაგრამ ის კონტიგენტი, რომელიც შემოვიდა, ის არ პასუხობს ცივილიზებულ ქმედებებს, არც ერთ, არც ერთ კრიტიკულს და ძალიან გავდა იგივე ხალხს, რომელიც შემოდიოდა საქართველოში საუკუნეების განმავლობაში. მონღოლებს გავდნენ ძალიან, ვინაც იცის, მსგავსება შეამჩნია, ძალიან გავდნენ იმ ჯარისკაცებს, რომელიც აღწერილია ალექსანდრე ყაზბეგის წიგნებში XIX საუკუნესთან მიმართებაში და ძალიან გავდნენ, გავდნენ მე–11 არმიის და შემდგომ შემოსეულ ბოლშევიკურ ურდოებს.

ამიტომ მე, რა თქმა უნდა, არა ვარ ყველაფრით კმაყოფილი, შეუძლებელია ვიყო ყველაფრით კმაყოფილი. მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება გენერალურ შტაბში სერიოზული განახლების. მე როცა მივედი, ვუთხარი გოგავას მადლობა იმისთვის, რაც გააკეთა, თვითონ გოგავაც არ თვლის, რომ ნამდვილად მაქსიმუმის გაკეთება შეეძლო, ეს შეუძლებელია, რომ ასე თვლიდეს. ჩვენ ახლა დავნიშნეთ ბატონი ჩაჩბაია შტაბის უფროსად, რომელმაც განათლება მიიღო, უმაღლესი სამხედრო განათლება საუკეთესო სამხედრო აკადემიაში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენ ახლა ძალიან ბევრ ჩვენ სამხედროს გავაგზავნით სასწავლებლად მთელ მსოფლიოში საუკეთესო სასწავლებლებში, ამაზე შეთანხმებული ვართ. ჩვენ გვჭირდება, ჩვენ მასობრივად ვასწავლით მათ უცხო ენებს რათა აითვისონ ლიტერატურა. ეხლა ჯარში პირდაპირ კურსებია გახსნილი ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის სურვილის მიხედვით ეს არის მოწინავე ქვეყნები, რომელსაც შეუძლია, ამ ენებზე არის მოწინავე

სამხედრო ლიტერატურა. ჩვენ გვჭირდება ინტელექტუალური ხალხი. ჩვენ რაოდენობით ჩვენ ქვეყანას ... ჩვენ ყოველთვის ვიმარჯვებდით გონიერებით, მოქნილობით და განსაკუთრებული თავგანწირვით.

ჩვენ თითქმის არ გვყოლია მოწინააღმდეგე, რომელიც ჩვენზე ბევრად მეტი არ იყო რაოდენობრივად, მაგრამ ასეთია საქართველოს ბედი. ყველა შემთხვევაში ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზია იმის შესახებ, რომ ძალიან დალბენილი ცხოვრება გველის წინ. ჩვენ დაგვჭირდება, ყოველთვის დაგვჭირდება შეიარაღებული ძალები, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ეს იყოს დიდი სამხედრო ალიანსის წევრი და ამაში სურვილიც არავის არ გაუჩნდება, რომ აქ პრობლემები გადაწყვიტოს სამხედრო ძალით ან რაიმე სახის ძალადობით. ჩვენს ინტერესებში ძალადობა ნამდვილად არ შედის. ჩვენ ვართ მთავრობა, რომლის მთვარი ინსტინქტი არის აღმშენებლობა. ყველაზე დიდი ჩემი ტრაგედია, გარდა იმისა, რომ ათობით ათასი საქართველოს უდანაშაულო მოქალაქე და ასობით ათასი იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, საქართველოში აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გვყავს 500 000 დევნილი ადამიანი.

მაგრამ ჩემი ასევე პირადი ტრაგედია არის ის, რომ ასეთი რუდუნებით აშენებული სკოლები, საავადმყოფოები, ადმინისტრაციული შენობები, ქსელი, უბრალოდ, ბიზნესები, რომელიც გაიხსნა, მაგალითად, დიდი ლიახვის ხეობაში, დისკოთეკა, რომელიც იქ ავაშენეთ, გასართობი პარკი, რომელიც ავაშენეთ, მე თვითონ ვისეირნე იმ თამარაშენის ბავშვებთან ერთად ავტოდრომზე, ჩვენ ერთად ვუსმენდით იმ კონცერტებს, როცა ჩაგვყავდა შემსრულებლები. ეს ყველაფერი ამ ურდომ, რომელიც შემოვიდა, გაანადგურა, მიწასთან გაასწორა.

ზემო აფხაზეთში ჩვენ შარშან გახსენით, მე გახსენი პირადად ადგილობრივ, კოდორის და ჩხალთის ხეობის ბავშვებთან ერთად სამთო-სათხილამურო კურორტი. ეს იყო საოცრება, ეს არის ყველაზე თბილი მოგონება ჩემი ცხოვრების. ეს ბავშვები ამ კარგ სპორტულ სამოსელში აი ნამდვილი ევროპელები, უმაღლესი კლასის აი, როგორ იქცეოდნენ. ყველაფერი იცვლება, როცა პირობებს ცვლი. ან როგორი დისციპლინირებულები იყვნენ ან როგორი მწვრთნელები ჰყავდათ ადგილობრივები. პირველი ვაკუუმური ბომბები სწორედ იმათ კურორტს მოხვდა. აი ამ ხალხთან გვაქვს ჩვენ საქმე, რომლისთვისაც ჩვენი პროგრესი, აღმშენებლობა, განათლება, ეს ყველაფერი არის ორგანულად მიუღებელი და ამიტომ გადაკეტეს გზა ცხინვალში, ამიტომ ჩაგვიკეტეს განვითარების საშუალებები.

ჩვენ თუ ომისთვის ვემზადებოდით, მაშინ რისთვის ვაშენებდით? მინდა დავსვა კითხვა! რისთვის ვაშენებდით ამდენს? რატომ ვდებდით ამხელა რესურსებს იმისათვის, რომ ყველაფერი ყოფილიყო ნათელი? ყველა დამცინის, რომ ვდებავ შენობებს. ყველაზე ლაზად შედებილი შენობები ჰქონდათ ზემოთ, კოდორში და ზემო აფხაზეთში და დიდი ლიახვის ხეობაში და, სხვათა შორის, ძაან კარგი სამიზნე აღმოჩნდა კოდორში ჩვენი გაკეთებული, გარემონტებული, ახლა, შედევას ისე, ვუტირებ, გაკეთებული, ახლად აშენებული პრაქტიკულად ადმინისტრაციის შენობა და სკოლა რუსული ავიაციისთვის შარშან მარტში და ახლა უკვე ავგისტოში.

ასე რომ, ჩვენი კურსი იყო ძალიან ნათელი იქ, ჩვენ ახალი შესაძლებლობებით, აღმშენებლობით, ჩვენი რიტორიკით და, თუ შეამჩნიეთ, მე ჩემი რიტორიკა მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში იყო ერთი: საქართველო ეკუთვნის ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს, ეს არ არის ქართველების სახელმწიფო მხოლოდ. ეს არის ქართველების, ქართველი ოსების, ქართველი აფხაზების, ქართველი სომხების, ქართველი აზერბაიჯანელების, ქართველი ებრაელების სახელმწიფო.

მე ყოველთვის ვამბობდი და პირველი ჩემი თეზისი იყო ჯერ კიდევ როცა ოპოზიციაში ვიყავი და სხვა თანამდებობებზე ვმუშაობდი: თუ ვინმეს ეზიზღება საქართველოში აზერბაიჯანელი, იმიტომ, რომ, იცით, რომ იყო აქ თეზისები, ერთი და იგივე დროს, შევარდნადის მთავრობის დროს, როცა მე ოპოზიციაში ვიყავი ამბობდა ხალხი სააკაშვილი არის უფრო სწორად სომეხი და ამიტომ ხმა არ უნდა მივცეთ და გაავრცელეს ახალქალაქში ბროშურები, რომ სააკაშვილს სინამდვილეში დედა ჰყავს აზერბაიჯანელი და თქვენ ამიტომ არ უნდა მისცეთ ხმა და სწორედ მაშინ ვთქვი, რომ ვისაც ეზიზღება სომეხი, იმისთვის ვიქნები სომეხი დიდი სიამოვნებით, ვისაც ეზიზღება აზერბაიჯანელი ვიქნები აზერბაიჯანელი, ვისაც ოსი, სულ ვიძახოდი, რომ ვარ ოსი და არსებობენ ოსი სააკაშვილებიც, ვისაც ეზიზღება ებრაელი, ვიქნები ებრაელი და მაგრამ დავრჩები ყველაზე მეტად ქართველად ამ ყველა ადამიანზე მეტად და ეს არის ჩემი მრწამსი და ეს არის ის, რაზეც ჩვენ ყველანი ვდგევართ ჩვენი სახელმწიფო ეს არის, რასაც ბატონი პატას უკან ... გამოსახული. ჩვენი ყველაზე დიდი მეფე მუდმივად ქადაგებდა საქართველოსთვის და მრავლეთნიკური ქართველი ერისთვის. ასე რომ ეს არის ჩვენი ფილოსოფია და მინდა გითხრათ ვინ იყვნენ ჩვენ ჯარში ეს მებრძოლები? დაგველუპა ერაყში, სანამ ომი დაიწყებოდა სერჟანტი მაგდიევი, ეთნიკური ოსი, ჩვენი გამწვანებელი ჯგუფის უფროსი აი, რომელიც ახლა გმირულად აკეთებდა ამ განაღმებებს, არის ეთნიკური ოსი, ჩვენი ერთერთი ყველაზე გამოცდილი მფრინავი ნამდვილი გმირი აფხაზეთის ომის ანალ ლაკოვეი არის ეთნიკური და უამრავი სხვა მეთაური, მე ვერ ჩამოგივლით, ჩვენ გვყავს აფხაზი მეთაურები და ა.შ. ჩვენ გვყავს.

ყველაზე საოცარი, რაც მოხდა ჩემთვის იყო, როცა გახარებული რუსული ტანკების ბრიგადა მიდიოდა ახალქალაქისკენ, რათა კონტროლქვემ აეყვანა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი, მათ გადაუდგა, ამის შესახებ ადრე ვთქვი, ადგილობრივი ჯავახეთის სპეცნაზი კაპიტანი თუ მაიორია უკვე არ ვიცი, ოდოიანის მეთაურობით და უთხრა რომ, მათ უთხრეს, რომ ჩვენ უნდა გაგვატაროთ, მივიღვართ ჯავახეთში, ახალქალაქში, მან უთხრა რომ მხოლოდ ჩემი მკვდარი სხეულით შეგიძლიათ გავლაო, მე ვარ მანდ, ნახეს, ეს არის ეთნიკურად სომხებით დაკომპლექტებული სპეცნაზი, ძალიან სერიოზულად დაყოყმანდნენ და შემდეგ გადმოვიდნენ უკან.

აი, ეს არის ახალი საქართველო. როცა მე გახვდები საქართველოს პრეზიდენტი, ყველა კონფლიქტის გადაწყვეტის ორგანიზაცია იქნება ახალქალაქში, ყველა დასავლური ორგანიზაცია, როგორც ყვა-ყორნები მოდიან ხოლმე მომაკვდავის ნახვაზე, ისე ფიქრობდნენ რომ აი, დღე-დღეზე ახალქალაქში დაიწყება ახალი

ეთნიკური დიდი კონფლიქტი. ყველანი წავიდნენ დღეს იქიდან, იმიტომ რომ ეს არის ყველაზე სწრაფად და დინამიურად განვითარებადი ყველაზე უფრო ლოიალური, ყველაზე უფრო მშვიდი მხარე დღეს საქართველოში.

აი, ეს არის პოლიტიკის შედეგი, როცა ახალქალაქში შევიდნენ, სადაც ბევრი ეთნიკური ოსი ცხოვრობს, რუსი ოკუპანტები და გამოუცხადეს, გამარჯობათ, ჩვენ მოვედით ადგილობრივი ოსების გასათავისუფლებლად. ამ ეთნიკური ოსების უმრავლესობამ აიღო და წამოვიდნენ ახალქალაქიდან და ახლა, ახალგორიდან და ახლა ჩვენ ვუშენებთ სახლებს იმისათვის, რომ გადმოსახლდნენ, იმიტომ, რომ ესენი არიან ჩვენი მოქალაქეები. მათ თქვეს, რომ ჩვენ ამ უკანონობას ვერ შევეგუებით, რაც ხდება ჩვენს საცხოვრებელ ადგილებში იმიტომ, რომ ჩვენ ვართ საქართველოს ლოიალური მოქალაქეები. აი, ამითი მე ძალიან ვამაყობ. არავის არ შეუძლია თქმა, რომ საქართველო ცუდად ეპყრობა ჩვენ ეროვნებებს

სადაც გვქონდა კონტროლი, ყველგან ეს პრობლემა მოიხსნა.

ნამდვილი სეპარატიზმი დღეს არის რუსეთში და რუსეთმა მოიკითხოს თავისთან. აი, სად არის ნამდვილი სეპარატიზმი, აი, სად არის ნამდვილი ბრუტალურობა, თორემ სადაც ჩვენ კონტროლი გვქონდა, ახალგორში – სადაც ცხოვრობდნენ ოსები, ახმეტაში – სადაც ცხოვრობენ ოსები, ახალქალაქში – სადაც ცხოვრობენ სომხები, მარნეულში – სადაც ცხოვრობენ აზერბაიჯანელები – ჩვენ პრობლემა არ გვაქვს და როდესაც საუბარია პრობლემატურ ადგილებზე ეს არის ადგილები, სადაც რუსი სამხედროები ე.წ. სამშვიდობოები, რეალურად ახორციელებდნენ სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს.

აფხაზეთზე, სადაც ქართველებსა და აფხაზებს შორის შექმნეს მათ 100კმ-იანი ბუფერული ზოლი, საუბარი არის ცხინვალზე, სადაც რეალურად მათ შექმნეს საოკუპაციო ადმინისტრაცია, ბოლოს ყველა ოსი იქიდან მოიშორეს, თითქმის ყველა.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ ცხინვალის ციხიდან ჩვენ გავათავისუფლეთ ალან ფარასტაევი. ალან ფარასტაევი არასდროს არ ყოფილა დიდი ქომაგი ქართული სახელმწიფოებრიობის, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სეპარატისტი 80-იან, 90-იან წლებში დიმიტრი სანაკოვეთან ერთად. დიმიტრი სანაკოვე იყო თავდაცვის მინისტრი და იარაღით ხელში გვებრძოდა. ქარქუსოვი ანადგურებდა ჩემი მეთაურობის ქვეშ მყოფ ჯარისკაცებს 2004 წელს, არ ვიცი თუ ეწყინება, ამას ვამბობ, მაგრამ ასეა, დღეს არის ძალიან წარმატებული საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე. ალან ფარასტაევი დღეს არის ქართული დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჟენევის მოლაპარაკებებზე. ჩვენ ის გავათავისუფლეთ ცხინვალის ციხიდან, სადაც მას ერთი თირკმელი ცემით პრაქტიკულად გაუჩერეს და სადაც ის იყო რაღაც მომენტებში სიკვდილის პირას მისული. მე საერთოდ წარმოდგენა არ მქონდა ეს კაცი იყო სიმპათიით გამსჭვალული საქართველოს მიმართ თუ არა, ჩვენ ის გავათავისუფლეთ, ჩავეხუტეთ, დავეახლოვდით და მე ამ კაცს დღეს სრულიად ვენდობი. აი ეს არის საქართველოს სიძლიერე. „ფეესბეს“ კადრები ცხინვალში ოსებს არ ენდობოდნენ, იმიტომ ჩამოიყვანეს ბარანკევიჩი, იმიტომ ჩამოიყვანეს მინძაევი, იმიტომ ჩამოიყვანეს მაროზოვი და ჩვენ ავირჩიეთ ადმინისტრაცია იმ ადგილებში, სადაც ჩვენ ვაკონტროლებდით, რომლის მეთაურად ხალხმა აირჩია ადამიანი, რომელიც მათ ესროდათ ცოტა ხნის წინ. შევიყვანეთ სპეცნაზი, რომელიც დაკომპლექტებული იყო იმ ხალხით, ვინც გვესროდა ჩვენ რამდენიმე წლის წინ და მივეცი მათ იარაღი ქართული სახელმწიფოს სახელით ხელში და ბევრი მათგანი დაიღუპა დამპყრობლებთან ბრძოლაში. აი, ეს არის ახალი საქართველო!

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ჩვენ ჯარზე, მე ამით თემა განვავრცე, ბოდიში, გამიგრძელება, მაგრამ არ შემიძლია ამაზე არ ვთქვა, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქართველომ მოახერხა ეროვნული კონსოლიდაცია ურთულეს პირობებში და ამიტომ იყო, რომ არ გამოუვიდათ არაფერი, თორემ ყველანაირი მცდელობა იყო, რომ აფეთქდეს ხიდი აზერბაიჯანისკენ მიმავალი კასპში და ააფეთქეს მარტივი მიზეზის გამო აზერბაიჯანთან დაემაბათ ჩვენი ურთიერთობები. ძალიან დიდი დაწოლა იყო სომხეთის რესპუბლიკაზე. ჩავიდა რამდენიმე მაღალჩინოსანი რუსეთის და უშიშროების ხელმძღვანელი, რათა ყველანაირად მოეხდინათ ინსპირირება ახალქალაქში არეულობები ომის დღეებში. არაფერი არ განძრეულა საერთოდ და ვერაფერი ვერ დამრეს, იმიტომ, რომ არსებობს უფრო მარალი ინტერესები, როგორც არ უნდა იყოს ჩვენი გეოპოლიტიკური ორიენტაცია სხვადასხვა ქვეყნის, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვაქვს, ჩვენ ვართ ერთმანეთზე დამოკიდებული. ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობა არის ყველაზე დიდი ფასეულობა, ჩვენ ვიცით, რომ ერთხელ ამ მშვიდობის დარღვევა იწვევს კატასტროფიულ შედეგებს კავკასიისთვის. აი ეს არის, რაც ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ.

ამიტომ რა თქმა უნდა ჩვენ გვაქვს ხარვეზებიც, რა თქმა უნდა თავის მოწონების საფუძველი ჩვენ აქ დღეს ნაკლებად გაგვაჩნია, საქართველოს დიდი ნაწილი არის ოკუპირებული. საქართველო იმყოფება მძიმე დაწოლის და დარტყმის ქვეშ, მაგრამ საქართველო, როგორც სახელმწიფო ნამდვილად შედგა, მათ შორის, ეთნიკურობის კუთხით. მრავალეთნიკური საზოგადოება, რომელიც არის ნიმუში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანაცხოვრობის, მეგობრობის, თანამშრომლობის და ერთობლივი ინტერესების ერთიანი დაცვით.

მე მინდა ასევე შეგახსენოთ, ბევრს არ ახსოვს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართველებმა და სომხებმა ერთად აიღეს იარაღი ხელში ჯავახეთში მაშინ და გადაარჩინეს საქართველოს დამოუკიდებლობა და გადაარჩინეს ეს მხარე, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი და ეს მაშინდელი გაკვეთილი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი დღევანდელი პოლიციელის ოგოიანის, ოგოიანი უფრო სწორია, საოცარი გამირობა ახლაც და ეს არის ის, რაზეც აიგება ჩვენი ერთობლივი მომავალი.

თავმჯდომარე. ბატონი დიმიტრის რიგია.

მ.საკაშვილი. მე თავს შევიკავებ შემდეგში ასეთი მონოლოგებისგან.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო პრეზიდენტო. ჩვენი შეხვედრის დასაწყისში თქვენ აღნიშნეთ, უფრო სწორად გამოთქვით ერთგვარი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ხომ არ იყო დაგვიანებული რეაქცია რუსეთის მხრიდან განხორციელებულ აგრესიაზე ჩვენი საპასუხო მოქმედებები.

მე ვფიქრობ, რომ კომისიის მუშაობისთვის ამას ექნება პრინციპული მნიშვნელობა. რამდენად დადასტურებულია ეს ვარაუდი, ვინაიდან შეიძლება თუ არა დადგეს იგივე თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი, ამაზე უნდა იმსჯელოს მომავალში კომისიამ, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს უწყებაში შედის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი. აქვე შეიძლება ვიმსჯელოთ სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბატონი გელა ბეჟუაშვილის პასუხისმგებლობაზეც. მე გამოვთქვამ ჩემს ღრმა რწმენას, რომ ამას მნიშვნელობა ექნება კომისიის მუშაობისთვის და თუ შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ აღნიშნული ...

მ.საკაშვილი. ბატონო დიმიტრი, მე ვიზიარებ,

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო.ბოდში. მე შეგაწყვეტინებთ ამ საკითხთან დაკავშირებით დავამატებ. მე პირდაპირ დაგისვამდით ამ შეკითხვას ეგეთი თვალსაზრისით, რომ ის, რაც თქვენ მოყვით, ის ცვლილებები, რაც თქვენ განახორციელეთ ამ სიტუაციაში, საუბარია გენშტაბზე, რატომ არ გაანთავისუფლეთ თქვენ თავდაცვის მინისტრი? როდესაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ აი, ასეთი საბრძოლო მოქმედებების შემდგომ მხოლოდ და მხოლოდ ორმა მინისტრმა ეკონომიკის, კულტურის მინისტრმა და გარემოს დაცვის მინისტრმა აიღო პასუხისმგებლობა ...

მ.საკაშვილი. მე მინდა გითხრათ, რომ ამ ბოლო ორი მინისტრის შეცვლა, აქედან დავიწყებ უკვე პასუხს ნამდვილად არ უკავშირდებოდა ომისთვის პასუხისმგებლობას. მე ძალიან დიდი პატივისცემელი ვარ, მაგალითად, ბატონი ნიკა ვაჩიშვილის და ჩვენ ეხლა იქ დიდი ცენტრი იქნება ძეგლთა დაცვის, ის ჩაუდგება სათავეში. მე მიმაჩნდა რომ ძალიან კარგი ახალი კულტურის მინისტრი შევიძინეთ. რაც შეეხება შემდგომ ცვლილებებს მთავრობაში, მე ვფიქრობ, რომ ეს არის მუდმივი პროცესი და ჩვენ გვყავს ახალი პრემიერ-მინისტრი. მე არ ვიკატუნებ თავს, რომ თითქოს მე ეს არ მეხება, მე ეს მეხება. მე ვარ პირველ რიგში პასუხისმგებელი, მაგრამ მე ვფიქრობ და ეთიკური იყო და გამართლებული, რომ გვეთქვა ახალი პრემიერ-მინისტრისთვის, რომ მიეცი ყველას გამოსაცდელი ვადა, საქმის მიხედვით შეაფასე. მაგრამ მე მინდა ერთი რამე ვთქვა: კიდევაც მიგზრუნდები და ეს ბატონი ლევანის კითხვის გაგრძელებაა, რასაც თქვენ ამბობთ – მთლიანობაში, მაქსიმუმის, თითქმის, თითქმის, მაქსიმუმი გაკეთდა იმ ხარვეზების გათვალისწინებით, როგორც ჩვენ გვქონდა ამ მოკლე დროში, საქართველოს შეიარაღებული ძალები რომ შემდგარიყვნენ. იყო ეს იდეალური? რა თქმა უნდა არა. ვარ მე ამ საბოლოო შედეგით კმაყოფილი? რა თქმა უნდა არა. საბოლოო შედეგი ჩვენი იქნება, როცა ჩვენ ქვეყანას მშვიდობიანად გავაერთიანებთ და არც მიმდინარე შედეგებით მე რა თქმა უნდა არა ვარ კმაყოფილი.

მაგრამ, მე ვნახე, მე ვიყავი რამდენჯერმე ცხინვალში, ცხინვალთან, ცხინვალის გარშემო ამ საბრძოლოდროს, და ვნახე რომ ყველა ტყვია-წამალი მიდიოდა დროზე. მთელი ლოჯისტიკა აწყობილი იყო სწორად. ყველა ტრანსპორტი მოძრაობდა დროზე. ჩვენი კავშირგაბმულობა ჩავიხსენებ და იყო პრობლემები იცით, მაგრამ, ბევრი სხვა, რაც ეხებოდა ორგანიზებას და რაც სამოქალაქო პირს შეუძლია გააკეთოს, მოდით, ვთქვათ, დათო კუჩერაშვილმა ამას ჩინებულად გაართვა თავი. ახლა მხედართმთავარი ის არ არის და ამის პრეტენზია მას ნამდვილად არა აქვს. გუშინ მან თქვენ გაგცათ კითხვებზე პასუხი. არ ვიცი, კმაყოფილი ხართ თუ არა, მე პირადად რაც ვნახე შთაბეჭქდავი იყო, მაგრამ ჩვენ ვართ დემოკრატიული და თქვენ გაქვთ საშუალება, რომ თქვენ აზრი ყოველთვის გამოთქვათ.

ახლა რაც შეეხება დაზვერვის დეპარტამენტს, მე მინდა ვთქვა, ბატონიდავზრუნდე, ეხლა ჯერ ერთი ის, რომ ჩვენ მოვახდინეთ რეაგირება სწორად თუ არა დროზე, მინდა ვთქვა, რომ ვეთანხმები ნაწილობრივ სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ უფრო ადრე, ალბათ, უნდა გვემოქმედა. მაგრამ, დღეს გვიჭირს დარწმუნება დანარჩენი მსოფლიოსი, რომ ჩვენ პირველებს არ დაგვიწყია და სამხრეთ ოსეთს, როგორ იქნება იცით სწორი, 1, 2, 3 რიცხვში, როცა დავინახეთ რომ რუსები კონცენტრირებული არიან და არის საფრთხე მათი შემოსვლის, ...პრევენტიულად მთელი ძალებით აგველო კონტროლქვემ როკის გვირაბი.

მაგრამ აი, მაშინ ნახეთ გამართლება რუსული ინტერვენციის და მაშინ საქართველოს დაგმობა. მაშინ გენახათ საქართველოს დაგმობა, ეს იყო პრობლემა, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და გვიხდება ამორჩევა დიპლომატიურ და სამხედრო პრიორიტეტებს შორის და ჩვენი ამოცანა იყო მაქსიმალურად ბოლომდე კონფლიქტების თავიდან აცილება დიპლომატიური, მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებით. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში, ადრეც რომ გვემოქმედა თუ მაინც შემოიყვანდა 80000 ჯარისკაცს, 3000 ჯავშანტექნიკას და 200 თვითმფრინავს ყველა მხრიდან, რაც დაგეგმილი იყო, უეჭველად აიღებდა, და თუ არა, კონტროლქვემ ადებული ეს, პრინციპში, ბევრს უკვე არაფერს შეცვლიდა.

აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ვალდებული ვიყავით გვემოქმედა, რომ არ გვემოქმედა, მაშინ ვერ შევაჩერებდით მათ წინსვლას და, რეალურად, შეიძლება ისიც კი ყოფილიყო რუსეთს ეთქვა, რომ ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ. იქ რაღაც კოკოთიმა და ქართველებმა იჩხუბეს, იქ რაღაც სოფლები გაანადგურეს ნუ, მოსახლეობა შემოაკვდათ, მთლიანად დააცარიელეს, გაანადგურეს, ხდება ხოლმე ომის დროს. ჩვენ მშვიდობისმოყვარეები ვართ, მშვიდობისმყოფელები ვართ, ჩვენ მხოლოდ ნეიტრალიტეტს ვიცავთ, როგორც ეს იყო 90-იან წლებში აფხაზეთში და საერთოდ, მსოფლიოში ამაზე რეაქცია არ იქნებოდა.

გარწმუნებთ, სამწუხაროა ეს ტრაგედია, მაგრამ იმდენი სხვა ტრაგედია ხდება მსოფლიოში, რომ იტყოდნენ, ნუ, ისევ, რაღაცა, სადღაც გაუგებრად, აგვისტოში რაღაცა მოხდა. და ამის შედეგი იქნებოდა ძალიან მძიმე. იქნებოდა იგივე, ყველა ეს დასახლებული პუნქტები იქნებოდა გაწმენდილი, კოკოითი გამოაცხადებდა თავის თავს და ბაღაბში გამოაცხადებდნენ ერთპიროვნულ გამარჯვებულებად სახელოვანი აფხაზური და ცხინვალური არმიის გამარჯვებულ მრავალრიცხოვან ქართულ ოკუპანტებს და რუსეთი დაიბანდა ხელებს და იტყოდა ჩვენ არაფერ შუაში ვართ. აი, ეს იყო და შემდეგ შეიძლება, რა ვიცი, ზოგიერთი თქვენგანი ამას, ალბათ, არ იზამდა, შეიძლება ექნათ კიდევაც, მოგვიბრუნდებოდა და გვეტყოდა, – აი, უნაიათო, უუნარო საქართველოს მთავრობა, რომელმაც ვერ დაიცვა თავისი მოქალაქეები.

ამიტომ, მოდით, ვთქვათ, არ იყო ეს ყველაზე კარგი გამოსავალი, რაც მოხდა, მაგრამ თუ თქვენ კარგად გავანალოზებთ მთელ სიტუაციას, კაცმა რომ თქვას, დიდი არჩევანი ჩვენ არც გვქონდა. რა კითხვებია?

თავმჯდომარე. ბატონ ნიკა ლალიაშვილს. მას შემდგომ ქალბატონ ხათუნა გოგორიშვილს.

ნ.ლალიაშვილი. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ საკმაოდ ვრცლად მიმოიხილეთ აგვისტოს მოვლენები და ჩვენ უკვე, როგორც ვხედავ შეფასებების, ასე ვთქვათ, ბლოკში გადავიდვართ და მაინტერესებს, თქვენ როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, როგორ შეფასებას აძლევთ აგვისტოს ომის შედეგებს. არის თუ არა ეს საქართველოს ისტორიაში მორიგი მარცხი? არის თუ არა ეს უთანასწორო, გამირული, მაგრამ წაგებული ბრძოლა ჩვენი ქვეყნისთვის. გმადლობთ.

მ.საკაშვილი. გმადლობთ, ბატონო ნიკა. მე მინდა გითხრათ, რომ ჯერ ერთი, მარცხი და გამარჯვება ფასდება იმით ბრძოლის ბოლოს. საქართველოს ბრძოლა არ დამთავრებულა, საქართველოს ბრძოლა გრძელდება და საქართველოს ბრძოლა გაგრძელდება გამარჯვებამდე, მანამ, სანამ იარსებებს საქართველო, მანამ, სანამ საქართველოს ექნება დემოკრატიული სისტემა, ეყოლება ჯარი და ისეთი საზოგადოება, როგორც ჩვენ გვყავს, ექნება ეკონომიკა და ჩვენ ვიქნებით წარმატებული საზოგადოება, წარმატებული ქვეყანა, რომელიც მიაღწევს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას. ამიტომ ჩვენი ისტორიული ინსტიტუტი აი ასეთი დამპყრობლების შემოსვლის შედეგად ყოველთვის იყო ერთი: საქართველოს სახელმწიფოებრიობა წყვეტდა ხოლმე დიდი ხნით არსებობას. მე არ ვიცი, რამდენი მაგალითია საქართველოს ისტორიაში, როცა 80 000 ჯარი იყო ჩვენს საზღვრებთან მობილიზებული, ათობით ათასი - შემოსული, მე არ ვიცი, ჯავშანტექნიკა რას გავუტოლო იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში ეს არ არსებობდა, თვითმფრინავები არ არსებობდა. რა თქმა უნდა, რომ წარმოვიდგინოთ, დაახლოებით, ახლა ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენიმე ასეული ათასი მონღოლი რომ შემოსეოდა საქართველოს. და რა თქმა უნდა, ყოველ ამ ჯერზე საქართველოს სახელმწიფოებრიობა წყვეტდა არსებობას. ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ ჩვენ გადავარჩინეთ მთავარი რამ: ჩვენი საზოგადოებრივი ერთიანობა, ჩვენი დემოკრატიული წყობა, ჩვენი სახელმწიფოებრიობა. მთავარი სტრატეგიული მიზნები ჩვენი მოწინააღმდეგის, ეს არის საქართველოს მთავრობის დამხობა, საქართველოს ტერიტორიის სრული გაკონტროლება, საქართველოს დემოკრატიული სისტემის მოშლა, ნავთობსადენების კონტროლი და არმიის განადგურება. ეს მიზნები არ არის მიღწეული. და ამას ისინიც ამბობენ, რომ არ არის მიღწეული, ეს არ არის ჩემი სპეკულაცია. კარგად მოუსმინეთ, რას ლაპარაკობენ რუსეთის დღეში, როგორ აფასებენ ისინი უარყოფითად, მათ შორის, თავისი ჯარების ეფექტურობას და, მე მგონი, ისინი თვითონ, მათი კომენტარები ყველაფერზე მეტყველებს. ახლა, მე მინდა ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ეს არის სიტუაცია, როცა დამშვიდების საფუძველი ნაკლებად არსებობს. ამიტომ ჩვენი პასუხი აქ არის მაქსიმალური ურთიერთქმედება ყველა ჩვენს პარტნიორთან, მაქსიმალური გამლიერება ყველა ჩვენი დემოკრატიული სისტემის, გადარჩენა ქართული ეკონომიკის და მომზადება საქართველოსთან მშვიდობიანი გაერთიანების. მინდა ვთქვა, რომ საქართველოს მთავრობა არა მხოლოდ არ ჩამოიშალა, როგორც, სწორად თქვით, მე ამ ტერმინს ვხმარობ, მე შევერიებ მთავრობა 12 რიცხვში და ვუთხარი: ვისაც სურს წასვლა, შეუძლია წავიდეს, ვისაც უნდა ოჯახების გაყვანა, არ გირჩევთ, მაგრამ შეგიძლიათ, ამაზეც მე, მე აქ ვრჩები ნამდვილად. და მერე მოიტანეს ის, აქ სია ცირკულირებდა, ვინ სად წავიდა. არავინ არსად არ წავიდა. თქვენ კარგად გადაამოწმეთ, მე მგონი, და ეს ნახეთ, გარდა იმ ხალხისა, ვინც მივლინებაში გავაგზავნეთ მეზობელ ქვეყნებში სხვადასხვა სამეურნეო საკითხებზე და სრულიად კონკრეტული ეკონომიკური ან სხვა ადმინისტრაციული ამოცანებით. ყველა ხელფასი, პენსია გაიცა დროზე. საბანკო სისტემა შევინარჩუნეთ. მომარაგება საქართველოსი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შუაზე იყო გაჭრილი შევინარჩუნეთ. აი, ძალიან საინტერესო ფაქტი მოხდა, მე წელან ახალქალაქზე გიყვებოდით, როგორც წესი, ჩვენ პრობლემა გვქონდა საქართველო-სომხეთის საზღვრის კონტროლის ახალქალაქის მონაკვეთში და ეხლა ჩვენ ინდივიდუალურად ვაგზავნიდით საწვავს იქ, რომელიც შემოგვქონდა ფოთიდან, რომ მოსახლეობას არ მოკლებოდა საწვავი და გადაადგილების საშუალება. მაგრამ ვხედავთ, რომ ეს საწვავი ჩქარა ქრება და მერე, ადგილობრივმა, და ვერ ვხვდებოდით რა ხდება. მერე ადგილობრივი მოსახლეობა გამოვიდა, გადაკეტა საზღვარი და თქვა: „ნუ გააგაქვთ ჩვენი კუთვნილი საწვავი საზღვარგარეთ!“ და საზღვარგარეთი იყო სომხეთი, რომელსაც ასე უჭირდა და მე ნამდვილად ეს სულაც არ მიხაროდა. მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ მკაცრად თქვა, ეს არის ჩვენი იდენტურობა, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზღვარი და საზღვარი უნდა იყოს გაკონტროლებული. აი ასეთი პატარა დეტალები, რომლის შესახებ ადრე არ თქმულა, მაგრამ ძალიან ბევრს მეტყველებს. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, მე გითხარით ასე, რომ სექტემბერში... ნუ დაუჯერებთ იმას, რომ ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ გამარჯვებული. იმიტომ, რომ ყველა ჩემი დღე იწყება მძიმე ფიქრებით იმის თაობაზე, რომ და მე არაფერს არ ვაზვიადებ, და თავს არ გაცოდებთ, ჯოჯოხეთური განცდებით იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩემთვის ყველაზე

საყვარელი ნაწილი, ყველაზე საყვარელი ნაწილი არის ოკუპირებული უცხო ქვეყნის დამპყრობლების მიერ. მე, იცით კარგად, ბატონი პაატა იქ ესწრებოდა და ეს მან ნახა, ჩავედი ზუგდიდში 9-ში, ჩავედი არა იმიტომ, რომ, ხალხი გამემხნეებინა, თუმცა ამ დროს უკვე სერიოზული შემფოთება იყო იქ. ჩემი პირველი ინსტიქტი იყო, პირველი ინსტიქტი და გადაწყვეტილება ავსულიყავი ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობაში იმ გზით, რომელიც გავიყვანეთ და მეხელმძღვანელა ხეობის დაცვისათვის. სამწუხაროდ, მე დამავიანდა. სამწუხაროდ, რუსები უკვე ლახავდნენ მდინარე ენგურს და სამწუხაროდ, ეს გზა უკვე ჩემთვის იყო მოჭრილი და მე იძულებული ვიყავი დავბრუნებულიყავი თბილისში ჩვეულებრივი მანქანით. იმიტომ, რომ ესკორტით გამოვლა იქ უკვე შეუძლებელი იყო და მე მახსოვს კარგად გზაში ეს განცდა, როცა მოვდიოდით და ... პატრული როგორ. იმიტომ, რომ ყველა ზღვიდან მოდიოდა, მათ შორის, აზერბაიჯანელები, სომხები მოდიოდნენ, ვინც იმ ქვეყნებში მიდიოდნენ და ნუ, ჩვენი ასევე მოქალაქეები, რომლებიც მოდიოდნენ ზღვიდან თბილისში. ყველაზე დიდი საფრთხე იყო ამ გზაზე. იმიტომ, რომ ამ გზას ბომბავდა რუსი ბომბდამშენები. მაგრამ ეს იყო საოცარი შესახედაობა, რომ იდგა პოლიცია, იყო საცობები რამდენიმე ადგილზე, რიკოთზე, შრომასთან, რიკოთის გვირაბთან რამდენიმე სხვა ადგილზე და ისინი და თვითმფრინავები ყრიდნენ ბომბებს და საბედნიეროდ ბევრი მათგანი ვარდებოდა ხრამში, მაგრამ მე მახსოვს, ერთის მხრივ, აი ეს გამომეტყველება მოქალაქეების, ისინი მანქანიდან იყვნენ გადმოსულნი, ჩვენ გაჭედდნენ ვიყავით ამ მოძრაობაში სხვა მანქანებთან ერთად და ისინი უყურებდნენ ცას, არა შიშით, არამედ განცვიფრებით და მე მახსოვს ამ პატრულის წარბმუხრელობა, როგორ არ იმჩნევდნენ აი ამ ბომბებს და აგრძელებდნენ მოძრაობის რეგულირებას, აი ასეთი ქვეყანა დამარცხებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ეს განცდა უმწეობის, რომ მე ამ ხალხის არჩეული პრეზიდენტი ვიდექი იქ მანქანით ამ საცობში და არაფრის გაკეთება არ შემეძლო იმისათვის რომ ეს ხალხი დამეცვა იმ საფრთხისგან. ეს არის ძალიან დიდი დამცირების, ძალიან დიდი ტრაგედიის განცდა და სანამ ეს საფრთხე არსებობს, სანამ ეს შედეგები არ არის გამოსწორებული, მე ვთვლი რომ რაიმე წარმატებაზე რომელიმე სფეროში ლაპარაკი სერიოზულ დიდ გადამწყვეტ წარმატებაზე იქნება შეუძლებელი. მაგრამ ამავე დროს კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სანამ საქართველოს გული ფეთქავს, სანამ საქართველოს დედაქალაქში ფრიალებს საქართველოს დროშა, სანამ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები ფუნქციონირებს და სანამ საზოგადოება არის ერთიანი და კონსოლიდირებული, საქართველო დამარცხებული ვერ იქნება და საქართველოს ვერავინ ვერ გაანადგურებს. მე მინდა ისიც გითხრათ, რომ სტრატეგიული მიზანი „ალბათ, ამ ეტაპზე ერთი ნაწილის ჩვენი მოწინააღმდეგის ... არის ის, რაც მათ უთხრეს ამერიკის სახელმწიფო მდივანს აგვისტოს დღეებში. საქართველოს სრული განადგურება. რას ნიშნავს საქართველოს სრული განადგურება, ეს ნიშნავს იმას რომ საქართველოს დედაქალაქში თბილისში უნდა იჯდეს მარიონეტული მთავრობა, საქართველო უნდა დაყონ სხვადასხვა სეპარატისტულ რეგიონებად ან მოიხონონ ეს რეგიონები თუ არ არსებობს. საქართველოში რამდენიმე კიდევ სხვა ვითომ, სახელმწიფო წარმოიქმნას იმისათვის, რომ არასდროს ევროპიზაციის დასავლეთის დემოკრატიის ახალი წყობის ვირუსი ახალი ტიპის მთავრობის ვირუსის საქართველოდან არ გავრცელდეს მათი მიმართულებით. ჩვენ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რა პრობლემები გვაქვს და რა ტიპის კონკურენცია შეგვექმნა ჩვენ რუსეთთან და ამაზე შემდგომ უფრო ვისაუბრებთ. ჩვენ შეგვექმნა იდეოლოგიური პრობლემა, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ იდეოლოგია გვაქვს, ჩვენ ცხოვრებას ვაშენებთ, მაგრამ ის, რომ ჩვენ ვაშენებთ არაკორუმპირებულ, დემოკრატიულ, გამჭვირვალე საზოგადოებას, ის, რომ ამ საზოგადოებაში შესაძლებელია აი ასეთი განხილვა, მათში იწვევს, რაღაც ნაწილში ამ ისტებლიშმენტის, იწვევს უზრალოდ, სასიკვდილო ალერგიას, იმიტომ, რომ ისინი მიიჩნევენ, რომ თუ აქ ამან მიაღწია წარმატებას, მაშინ ხვალ ჩვეულებრივი რუსი მოქალაქეები დასვამენ კითხვას, რუსეთში რატომ არ შეიძლება ასევე იყოს, რუსეთში რატომ არ შეიძლება რომ „გაი“ არ იღებდეს ქრთამებს, რუსეთში რატომ არ შეიძლება, რომ ბიზნესი აკეთო თავისუფლად, წნეხის გარეშე, რუსეთში რატომ არ შეიძლება, რომ თავისუფლად, აი ესე იყოს განხილვები, დებატები, რუსეთში რატომ არ შეიძლება, რომ იყოს სერიოზული გახსნილობა საზოგადოების, რუსეთი რატომ არ შეიძლება წავიდეს ევროპაში. სანამ ესტონეთი იყო ეს მარტო, ეხლა რუსები ამბობდნენ, ეს უცნაური ხალხია ჩრდილოეთის, თავისი პროტესტანტული რელიგიით, თავისი წესებით, ნუ, ესენი დიდი არაფერი არ არის. როცა მათ საყვარელ, მაგრამ მაინც დანამატში, საქართველოში, მათ ერთმორწმუნე საქართველოში აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ევროპული ტიპის ნამდვილი თანამედროვე საზოგადოების დაფუძნება, დაფუძნებული ტრადიციულ ღირებულებებზე, მაგრამ ასევე ჩვენი ... დაბრუნებით, ჩვენი ტრადიციული ევროპული ფუძემდებლისკენ, ეს იყო სასიკვდილო გამოწვევა. ამიტომ სანამ ეს იდეა ცოცხლობს და სანამ ეს იდეა წარმატებული იქნება, თუ ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს აღმშენებლობას, თუ ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს განვითარებას. ისინი იქნებიან დამარცხებული და ჩვენ გავვერთიანდებით და ჩვენ ვიქნებით გამარჯვებული. აი ეს არის ჩემი ფართო პასუხი ამ კითხვაზე. დღეს საქართველო იმყოფება აი ამ ეგზისტენციულ ბრძოლაში და შედეგი, საბოლოო შედეგზე მსჯელობა არის ჯერ კიდევ ნაადრევი.

თავმჯდომარე. ქალბატონ ხათუნას ვთხოვ.

ხ. გოგორიშვილი. ბატონო პრეზიდენტო, ესეთი შეკითხვა მაქვს, ამ ომმა გადაწია თუ არა ვადაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ანუ აფხაზეთის და ოსეთის დაბრუნება და ინტეგრაცია არის თუ არა ვადაში უფრო გადაწეული და ერთი კონკრეტული შეკითხვა, რომელიც დღეს პრესაში მუსირებს და არის ეს თქვენს მიმართ დასმული, ახალგორი, დღევანდელი ახალგორის მდგომარეობა, ხომ არ არის ეს ე. წ. სარკოზის შეთანხმების რაღაც საიდუმლო ნაწილი, რომელიც არ იყო საზოგადოებისთვის ცნობილი. გმადლობთ.

მ.საკაშვილი. პირველი, რაც შეეხება პირველ საკითხს, საკითხი ესე მარტივად არ დგას. დღეს სიტუაცია არის ფუნდამენტურად შეცვლილი. თუ ადრე რუსეთი თამაშობდა მშვიდობისმოყვარე და ფორმალურად ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ არასოდეს არ საუბრობდა ამაზე კონკრეტულად, რომ ცნობს, უბრალოდ, არც იმას არ ამბობდა, რომ ცალკე ტერიტორიებად განიხილავს იმათ, ფაქტი იყო, რომ ამ სამშვიდობო-საკუპაციო რეჟიმის პირობებში ტერიტორიები ეს მოწყვეტილიყო საქართველოს და მსოფლიო მათ აღიარებდა მშვიდობისმოყვარეებად და არავინ არ აღიარებდა, რომ ეს არის მართლა საერთაშორისო პრობლემა და სიტუაცია სულ უფრო უარესდებოდა და სულ უფრო უკან და უკან მიდიოდა. დღეს ყველამ აღიარა ამოსავალი წერტილი. საქართველოს ტერიტორიები არის ოკუპირებული, ოკუპანტები არიან რუსები და რამდენადაც არ უნდა იყოს ეს არაკომფორტული სიმართლე მსოფლიო თანამეგობრობის, ეს არის ის სიმართლე, რომელიც არსებობს. დღეს სწორედ, ამის გამო, ყველა ევროპული ინსტიტუტი არის ჩართული ამ პრობლემის გადაწყვეტაში. მე ბევრად მეტი მინდოდა, რომ ეს მხარდაჭერა ყოფილიყო. ვისურვებდი, რომ არ იყოს აქ სხვადასხვა კერები ხოლმე, რომელიც არის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მხარდაჭერა არსებობს. ძალიან ბევრი სერიოზული განცხადება და ვალდებულებები ჩვენმა პარტნიორებმა აიღეს. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხი პირველად სერიოზულად დადგა, ნამდვილი ევროპული ინტეგრაციის, მე ვლავარაკობ ევროკავშირთან დაახლოების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ძალიან მყარად არის დაფიქსირებული, ხმამაღლა, ყველა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ჩვენი მეგობარი ქვეყნების და საერთოდ, მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მიერ. ჩინეთმა ითამაშა ძალიან კარგი როლი, მე ევროპაზე და ამერიკაზე ვლავარაკობ, ჩინეთმა, შუა აზიის ქვეყნებმა იმუშავეს, ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი, ძალიან ბევრმა მოულოდნელმა ქვეყანამ, ჩვენივე, გამოიჩინა ჩვენდამი მხარდაჭერა და სოლიდარობა. მე არასდროს არ მინდა ჩვენ დაგვავიწყდეს და ეს, ასეთი რამ უნდა ჩაიწეროს საქართველოს ისტორიაში.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბაიტკაქუნასი, ჩამოვიდა საქართველოში, მოვიდა ჩვენთან და თქვა, გთხოვთ, როცა ვიცოდით, რომ იბომბებოდა აეროპორტები, გთხოვთ, გამოაცხადოთ, რომ მე ვბანაკდები თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე, გამიშალეთ იქ კარავი და გამოაცხადეთ მთელი მსოფლიოს გასაგონად, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ცხოვრობს თბილისის აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე და თუ ისინი დაბომბავენ ამ ბილიკს ისინი მომკლავენ მე.

ლიტვაში 200 000 ქართული დროშა გაიყიდა 5 დღეში, როგორც ჩვენმა მომღერლებმა, რომლებმაც, ძან ვაფასებ, დაწერეს ბევრი სიმღერა იქ ასევე, ძან მომხიბლავმა პატარა ზავშვმა, გოგონამ, 14 თუ 15 წლის, დაწერა საოცრად ამაღლებული სიმღერა საქართველოზე და რამდენიმე სხვა ჯგუფმა. სისხლი გროვდებოდა ესტონეთში და პოლონეთში დიდი რაოდენობით. მე, პოლონეთის პრესამ დაგმო და ნაწილობრივ სხვა პარტიის წარმომადგენლებმა პოლონეთის პრეზიდენტი, მაგრამ მე ვნახე ის 4 დღის წინ ახალგორში, და უფრო მეტსაც გეტყვით. გეტყვით იმას, რაც ადრე არ გაჟღერებულა, შეიძლება. როცა ის მოფრინავდა თბილისში თვითმფრინავით და აჟინებულად ითხოვდა, რომ, იმიტომ, რომ რუსებმა უთხრეს, რომ საჭაერო სივრცეში არ შემოვიშვებთ და დაჟინებულად სთხოვა თავის მფრინავს, რომ დამჯდარიყვნენ სწორედ თბილისის აეროპორტში, მიუხედავად რუსების მხრიდან სარაკეტო შეტევის საფრთხისა და ეს იყო ძალიან, ძალიან რეალური საფრთხე. ეს მე დეტალებში ვიცი იმიტომ, რომ სანდრაც იყო ამ თვითმფრინავში, ამ თვითმფრინავით ბრუნდებოდა საქართველოში პეკინიდან, შემოვლითი გზით. ასე, რომ რეალურად და მე ვუყურე რამდენიმე დღის წინ მას ახალგორში, წარბი არ შეუხრია როცა ისროდნენ. ეხლა, სიბნელე იყო და ვის ესროდნენ ძალიან ძნელი გასაგები იყო. იყო ბევრი, პროვოკაციულად განწყობილი რუსი ჯარისკაცი იქ. ამიტომ, ესეთი საკითხები ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ჩვენ ეს მხარდაჭერა რეალურად გვაქვს. შეიძლება ვიღაც ქვეყნები ნაკლებად გვიჭერენ მხარს, მაგრამ დღეს იყო დანიის პრემიერ-მინისტრი ჩამოსული, მან მკაცრად დაგმო რუსული აგრესია, ილავარაკა საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის მკაცრ მხარდაჭერაზე, ილავარაკა ჩვენი ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერაზე. აი, ეს არის ჩვენი, აი ეს არიან ჩვენი პარტნიორები და ჩვენი მეგობრები. ეხლა აი, ეს არის, ეს არის ახალი რეალობა ჩვენივე და დღეს უკვე ეგზისტენციალური ბრძოლა მიდის საქართველოსთვის. საქართველო მსოფლიო რუკაზე არსებობს ამ ფორმით ათასწლეულების განმავლობაში. ამ ათასწლეულების განმავლობაში ჩვენ გვიტევდა ბევრი ძალიან დიდი იმპერია. დღევანდელ რუსეთზე შედარებით ბევრად უფრო ძლიერი იმ დროისთვის. და ჩვენ გადავრჩით ამ საზღვრებში და ზოგიერთი მათგანის სახელი ისტორიკოსების გარდა უკვე აღარავინ აღარ იცის. ამიტომ ეს არის ჩვენი უახლოესი და შორეული ისტორიული პერსპექტივა. თუ საქართველოს სახელმწიფოებრიობა ამ პირობებში ჩვენ გადავარჩინეთ, ჩვენ ტერიტორიას გავამთლიანებთ. თუ საქართველოს სახელმწიფო მოშალეს და აი, მათ იციან, რომ თუ მოშლიან, მაშინ ვეღარ გაერთიანდება. ამიტომ ისინი იზრუნებენ, რომ ჩვენ მოვიშალოთ და ჩამოვიშალოთ და მოვისპოთ, ამიტომ ჩვენ უნდა შევწარმოვადოთ იმისათვის, რომ გავვერთიანდეთ. აი, ეს არის ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტი დღეს. და ყველაფერი დანარჩენი ვაი-ვიშვიში, თავზე ნაცრის დაყრა, მითქმა-მოთქმა აი, რა გვეშველება, რომ გართულდა. ერთის მხრივ, გართულდა, მეორეს მხრივ, ბევრად უფრო გაადვილდა და გარკვეული გახდა ჩვენი დღევანდელი ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანებიც. კიდევ რა კითხვა იყო?

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო....

მ.საკაშვილი. ახალგორს რაც შეეხება, მე მინდა გითხრათ, რომ სარკოზის შეთანხმება არ იყო იდეალური, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთი სისულელე იქ არ იქნება. აქ როცა სარკოზი ჩამოვიდა, მან ჩამოიტანა 6 პუნქტი შეთანხმება. მე-6 პუნქტში იყო ნათქვამი, რომ ჩვენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, უფრო სწორად, საქართველოს ამ ტერიტორიების საერთაშორისო სტატუსი უნდა გაირკვეს მომავალი მოლაპარაკების შედეგად.

და ნუ აი, ეს იყო ჩემთვის სრულიად მიუღებელი. ესე იგი, ჩვენ ღიად უნდა დაგვეტოვებინა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ამ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შედეგად. ... თბილისისკენ მოდიოდნენ ტანკები, მე ვუთხარი, რომ მე ამას ვერ მივიღებ. დათო ბაქრაძე ესწრებოდა ამ საუბარს. მათ თქვეს, რომ ჩვენ გვესმის თქვენი შემფოთება, მაგრამ თბილისში მოდის ტანკები, მათი მიზანია შენი პირადად მოკვლა და განადგურება და როგორც გაირკვა, კიდევ რაღაც რაღაცები და აბა რა გამოსავალია. მე ვუთხარი კი, ბატონო, თუ ვაჟკაცები არიან მოვიდნენ და დაგვამონ და მოგვკლან. მაგრამ მე საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც ავალა კონსტიტუციით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ვერ მოვაწერ ნამდვილად ხელს იმას, რაც ამ ტერიტორიულ მთლიანობას ეჭვქვეშ დააყენებს. პრეზიდენტმა სარკოზიმ სცადა პრეზიდენტ მედვედევთან დაკავშირება და მას უთხრეს, რომ მედვედევს არ სცალია და შესთავაზეს მეორე დღეს გადმორეკვა. ეს იყო აი, ჩვეულებრივ რაღაცა დიპლომატიური მანევრები. ნუ, ჩვენ ვუთხარით, ჩვენ ამას ვერ მოვაწერთ ხელს და მაშინ ამაზე დავიშალოთ იმიტომ, რომ ახლა, ეს არის წარმოდგენილი, მიუღებელი პირობები. ნუ, როცა მიხვდნენ რუსები, რომ სარკოზი არ მიდის და არ ეშვება და ჩვენც არ ვნებდებით, 1 საათის შემდეგ თუ საათ-ნახევრის შემდეგ პატივი დაგვდეს და აიღეს საფრანგეთის პრეზიდენტის დარეკილი ზარი და დათანხმდნენ, რომ ეს პუნქტი იქედან ყოფილიყო ამოღებული. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს იყო ერთადერთი შეთანხმება, რომელსაც მე პირადად მოვაწერე ხელი, ეს არის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება და ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს, როგორც პირველ ეტაპზე ჯარების გაყვანას კოდორიდან, ლიახვის ხეობებიდან და ახალგორიდან. რატომ, იმიტომ, რომ ეს არის 7 აგვისტომდე არსებული სტატუს-კვო. ეს, რა თქმა უნდა, ბაზების შექმნა იქ არის ხელშეკრულების დარღვევა, რა თქმა უნდა, ე.წ. ცნობა არის ხელშეკრულების დარღვევა, უხეშე უხეში. მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ ესეც კი, სტატუს-კვომდე, ეს არის პირველი ეტაპი. შემდგომი ეტაპი, რა თქმა უნდა, არის მათი მოშორება საქართველოდან იმიტომ, რომ ისინი არიან ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ, მე ვფიქრობ, მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ჩარევა იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ძალიან. მინდა ვთქვა, რომ მათი ჩარევის მეორე დღესვე მათ დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება და გადმოვიდნენ შეტევაზე და დაიწყეს მასშტაბური დაბომბვები საქართველოსი. სწორედ მეორე დღესვე დაიწყეს მათ მასშტაბური შეტევა ზემო აფხაზეთზე და განავითრეს შეტევა გორის და შემდგომ თბილისის მიმართულებით. ასე, რომ შესრულდა ზუსტად ის, რაც თქვა თავის დროზე გერმანიის კანცლერმა ბისმარკმა, რომ ხშირად, სამწუხაროდ, რუსეთის მიერ დადებული ხელშეკრულება ღირს ზუსტად იმ ქაღალადის ფასი, რომელზეც ის არის დადებული. მათ შორის, ეს ხომ არ იყო ჩვენთან შეთანხმება, ეს იყო მათ და ევროკავშირის შორის შეთანხმება, რომელსაც ისინი უხეშად თელავენ დღესაც ფეხქვეშ.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, ბატონი ლევანი და მერე რამოდენიმე შეკითხვა მაქვს მე.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო მიხეილ, მე ახალგორის თემას განვაგრძობ და ორ კითხვას დაგისმევთ, თქვენის ნებართვით. პირველი შეეხება ახალგორში დღევანდელი რუსული საოკუპაციო ჯარის ყოფნას. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ 2 წლის წინ, როცა ახალგორში ჩატარდა ე.წ. ადმინისტრაციის, სანაკოვეის ადმინისტრაციის არჩევნები, ამით ქართულმა მხარემ თვითონ მოახდინა, გარკვეული ლეგიტიმური საფუძველი მისცა იმას, რომ დღეს ახალგორში დგანან რუსები ანუ, პრაქტიკულად, ჩვენ თვითონ მოვახდინეთ სამხრეთ ოსეთის ყოფილ საზღვრებში აღდგენა. თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით .

და მეორე კითხვა, რომელიც ასევე ექსპერტებს, ასე ვთქვათ, მედიაში ჟღერს, ეს არის ჩვენი კონსტიტუციის 69-ე მუხლი, თავი არის „საქართველოს პრეზიდენტი“, სადაც წერია, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტი წარმართვს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას. ახალგორიდან და კოდორიდან გამომდინარე, ანუ ზემო აფხაზეთიდან გამომდინარე ექსპერტების ნაწილი სვამს კითხვას, რატომ არ დგება პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი. იმიტომ, რადგანაც დაირღვა კონსტიტუცია.

მ.სააკაშვილი. მე მინდა გითხრათ, რომ პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, დგას და იდგება ყოველთვის. მე ვიღებ პასუხისმგებლობას სრულიად ყველაფერ იმაზე, რაც მოხდა საქართველოში აქამდე და რაც მოხდება ჩემი მეორე საბოლოო ვადის განმავლობაში. ეს ერთი, და ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და მათ შორის, პარლამენტის, როგორ შეაფასებს ამ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ლეგიტიმური საფუძველის მონახვას. არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი ლეგიტიმური საფუძველი ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ოკუპაციისა. ეს არის რუსეთის, რუსი პროპაგანდისტების და რა ვიცი, სამხედრო იურისტების, იმიტომ, ალბათ, ჩვეულებრივი იურისტი ამგვარ სისულელეს ვერ დაწერდა. მგონი, სრული ბოდვაა. რა დოკუმენტი უნდა შეგვექმნა ჩვენ ისეთი, რომელიც საშუალებას მისცემდა რუსეთს ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციის. ეხლა ისიც ვთქვათ, რომ აი ეს არის გაორმაგება, ზოგიერთი უცხოელიც იმეორებს ამ ტყუილს, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს აჩუქა სტალინმა, თორემ ისინი არასოდეს არ იყვნენ საქართველოში. სტალინმა შექმნა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი სწორედ, იმის გამო და მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ არ ენდობოდა ქართველებს. სტალინი შემოუძღვა აქ ორჯონიკიძესთან ერთად მე-11 არმიას, დაიპყრო საქართველო და 2 წელიწადში ქართველმა ბოლშევიკებმა, ბუდუ მდივანმა და სხვებმა ე.წ. „ნაციონალ-კომუნისტებმა“ გამოუცხადეს, რომ დიდი მადლობა, რომ მოგვიყვანეთ ხელისუფლებაში, მაგრამ საბჭოთა კავშირში შემოსვლაზე, ცოტა არ იყოს, თავს ვიკავებთ და მაშინ მიხვდნენ ისინი, რომ ქართველი ბოლშევიკების ნდობაც კი არ შეიძლება. იმიტომ შექმნეს სრულიად ხელოვნური საბჭოთა წარმონაქმნი ამ ერთეულების სახით. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ავტონომიურობა ეთნიკური უმცირესობის არის მიუღებელი, პირიქით, მე

მიმაჩნია, რომ მაქსიმალურად მათი უფლებების დაცვა, კულტურული, პოლიტიკური, სამართლებრივი უფლებების დაცვა, ეს არის ჩემი მრწამსი. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამის სპეციალისტი ვიყავი. პირველი ჩემი დიდი შრომა ნორვეგიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტში დავწერე იმაზე თუ როგორ აგვეცილება თავიდან მაშინ უკვე ჩასახული კონფლიქტები ცხინვალში და აფხაზეთში. მე ამაზე ვმუშაობდი როგორც სტუდენტი, როგორც იურისტი და ჩემთვის მათი უფლებები, მათი ფართო, მათ შორის, ავტონომიური უფლებები, ეს არის ჩემი არსებობის და ჩემი მრწამსის ძაან დიდი შემადგენელი ნაწილი. მაგრამ საბჭოთა ინტერპრეტაცია ამისი იყო ადგილობრივი ნომენკლატურული ელიტების შექმნა და რეალურად ყველა ეთნიკური ჯგუფის უფლების დარღვევა, მათ შორის, ტიტულოვანი აფხაზებისა და ოსებისა, რომელთა უფლებები იყო, რა თქმა უნდა, ასევე ძალიან უხეშად დარღვეული. ამიტომ ეხლა, ეს იყო ის ნაღმები, რომელიც, არასწორად გაკეთებული ავტონომიები, რომელიც მათ ჩაგვიდეს და რომელიც, სამწუხაროდ, აგვიფეთქდა. ახლა, ჩვენი გეგმა ავტონომიის იყო ბევრად უფრო ფართო, ბევრად უფრო ყოვლისმომცველი, ბევრად უფრო კონკრეტული და ბევრად უფრო მეტად ორიენტირებული იმაზე, რომ მათ ჰქონოდათ მართლა ნამდვილი თვითმმართველობა, ყველა ეთნიკურ ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით, ჰქონოდათ ბევრად მეტი ავტონომია, ვიდრე როდესმე შეიძლება წარმოდგენილ ყოფილიყო საბჭოთა პერიოდში, ბევრად მეტი ეკონომიკური და პოლიტიკური საკუთარი თავის მართვის საშუალებები. აი ეს არის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით. ასე, რომ საფუძველს მოდით ნუ გამოვეციდებით. მე ვფიქრობ, სანაკვეთის პროექტი იყო, პროექტი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შექმნის სწორი და ეს იყო უნიკალური გამოცდილება, იმისა როგორ ხდება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის შერიგება, როგორ ხდება აღმშენებლობის პროცესებით ხალხის მშვიდობისკენ გადმოხრა. ამ პროექტის წინააღმდეგ დასჭირდა რუსებს ჯერ ბარიკადების შექმნა, პროვოკაციების მოწყობა და ბოლოს ამ ომის დაწყება, იმიტომ რომ ეს პროექტი იმარჯვებდა, დრო მუშაობდა ჩვენზე. როცა მე ვთქვი ორი წლის წინ, ჩართულია წამოხომი, ამას ვგულისხმობდი, რომ ყოველდღე ახალი ადამიანი გამოდიოდა, ყოველდღე ახალი მოვლენა ვითარდებოდა, ყოველდღე ახალი იმედი მიეცემოდა ადგილობრივ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავმთლიანდებით, გავერთიანდებით და ისევ ერთმანეთის გვერდზე ვიცხოვრებთ. მე მიინდა გითხრათ, რომ, რა თქმა უნდა, ალბათ, ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული, მათ შორის, სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსის და, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა მთავრობების მიერ, მაგრამ ძირითადად და, მათ შორის, ჩვენი მთავრობის მიერ, მაგრამ ძირითადად ჩვენი პოლიტიკა იყო სწორედ მიმართული შერიგებაზე და კონსოლიდაციაზე და მათი უფლებების დაცვაზე. ჩემთვის პრობლემა ავტონომიურობის, სამხრეთ ოსეთის, არასოდეს არსებობდა, რამდენი ავტონომიაც შეეძლოთ, იმდენი უნდა წაეღოთ. სამხრეთ ოსეთს ვერავინ ვერ მოიკიდებს დღესაც მხარზე და ვერსად ვერ წაიღებს, რა რკინიგზებიც უნდა ააშენონ და ასევე შეუძლიათ კონსოლიდირონ ააშენონ იქ და რა გზებიც არ უნდა ააშენონ, იმიტომ, რომ ეს არის ორგანული შემადგენელი ნაწილი საქართველოსი, ეს არის საზოგადოება, რომელიც ორგანულად გადახლართულია დანარჩენ საქართველოს საზოგადოებაზე. ასე, რომ მე ამისთვის ხშირად მაკრიტიკებდნენ და მგმობდნენ. მე ვარ ფართო ავტონომიის მომხრე და მე ვარ და მე ზუსტად მესმის, ეს რას ნიშნავს და მე მესმის რისკებიც, რომელიც არასწორი განვითარების პირობებში ამას უკავშირდება, მაგრამ ძალიან დიდი პლუსები, რომელიც უკავშირდება მას ჩვენი ეროვნული კონსოლიდაციისთვის.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, მე მიინდა დავუბრუნდე ცხინვალის მოვლენებს. ის ცნობილი განცხადება, რაც გააკეთა ქალაქის მერმა თბილისის, თქვენ მიეცით მას დავალება, რომ ეს განცხადება გაეკეთებინა, რატომ მიეცით ეს დავალება ქალაქის მერს, რომლის კომპეტენციაში ეს არ შედიოდა...

მ.საკაშვილი. რა განცხადებაზეა, ბოდიში.

თავმჯდომარე. საუბარია იმაზე, სამშვიდობო კორიდორის შექმნა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და სამშვიდობო კორიდორის შექმნასთან დაკავშირებით, ბატონმა გიგი უგულავამ თქვა, რომ თქვენგან მიიღო დავალება და მეორე შეკითხვა არის, გეკუთვნით თუ არა თქვენ მართლა სიტყვები, რომ აგვისტოში საქართველოს დედაქალაქს გადაიტანოთ სოხუმში.

მ.საკაშვილი. მე მიინდა გითხრათ, რომ, ჯერ ერთი, ბატონი გიგი იქ იმყოფებოდა სხვა სამოქალაქო სამსახურებთან ერთად, იქ იყო მობილიზებული, მთელი თბილისის ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მობილიზებული. ბევრი სასწრაფო დახმარება, სახანძრო დახმარება, სახანძრო სამსახურები და ამ სამსახურებმა იმუშავეს კარგად, გამართულად და თბილისის მერის დამსახურებაა ეს ყველაფერი. თბილისის მერს რაღაც პოლიტიკური განცხადებები შეეძლო ეკეთებინა იმიტომ, რომ პოლიტიკოსია. სამხედრო გადაწყვეტილებებს არ იღებდა და მე მგონი, ამის პრეტენზია თვითონ არა აქვს და მე ეხლა, შეიძლება, სხვადასხვა ინტერპრეტაცია მივცეთ მოქმედებას, მაგრამ მისი მანდატი იყო მყარად განსაზღვრული.

თავმჯდომარე. თვენ მიეცით დავალება.

მ.საკაშვილი. ჩემი დავალება იყო, რომ ყოფილიყო იქ და სამოქალაქო ინფრასტრუქტურისთვის, მისი ინფრასტრუქტურისთვის, რაც მას აქვს დავალებული ქალაქში, ეხელმძღვანელო და ამაზე ნურავინ ნუ იტყვით, რა უნდოდა იქ უგულავას. უნდოდა ის, რომ უნდა ეკეთებინა საქმე, ეს ერთი.

მეორე, რაც შეეხება საქართველოს დედაქალაქის საკითხს. აი ამ, . . .

სპეკულაციის, ამის თაობაზე. აგვისტოში ჩვენ ვერაფერს ვერ გადაწყვეტით და თქვენ ეს კარგად იცით და ამის პრეტენზია შეუძლებელია, რომ ჩვენ გვექონოდა. მაგრამ ამ თემაზე განხილვა მთლიანობაში მიდიოდა

საზოგადოებაში და ის, რომ თუ ჩვენ მოვაწერდით, ჩვენ აფხაზებს რა შევთავაზებთ, ჩვენ შევთავაზებთ მათ რეალურად ხელისუფლების გაყოფა ცენტრალური მთავრობის დონეზე ეთნიკურ აფხაზებს. მე მინდა ვთქვა, რომ აფხაზეთის ხალხი, ეს არიან ეთნიკური აფხაზები და ეთნიკური ქართველები, ეთნიკური სომხები, ეთნიკური უკრაინელები, ეთნიკური ესტონელები, ეთნიკური ებრაელები, ეთნიკური ბერძნები, ყველა ის ადამიანი, ვინც იქიდან გააძევეს. 460 ათასი ადამიანი იქიდან გაძევებული. ამას წინათ საბერძნეთის ერთმა დეპუტატმა, რომელიც აშკარად თავის ქვეყანაზე მეტად სხვა ქვეყნის ინტერესების წარდგენით იყო დაკავებული ვალენსიაში საპარლამენტო ასამბლეაზე როცა ვიყავი ესპანეთში ამ რამდენიმე დღის წინ მითხრა, რომ აი იქ, რატომ არ სცემთ პატივს უფლებას, ადგილობრივ დარჩენილი აფხაზეთის მოსახლეობის, რომ არ უნდათ თქვენთან ცხოვრება. მე ვუთხარი, ჰკითხეთ 30 ათას ბერძენს, რომელიც საბერძნეთის პორტმა გაიყვანა რუსეთის მიერ დაბომბილი სოხუმიდან. მათ ჰკითხეთ, თუ ისინი რას გეტყვიან თქვენ. ჩემი არ გჯერათ? ჰკითხეთ თქვენს მოქალაქეებს. ჰკითხეთ რამოდენიმე ათეულ ათას სხვა ეთნიკურ ქართველს, რომელიც იქ ცხოვრობს ამ ომის შედეგად და ისინი ყველაზე ნათლად აღუწერენ, რა მოხდა ზუსტად იქ. ასე, რომ, მაგრამ ჩვენ ვთავაზობთ აფხაზებს და ვთავაზობდით, ძალიან შორს მიმავალ წინადადებას იმის შესახებ, რომ ერთად ვმართოთ საქართველო, ერთად ვმართოთ საქართველო. მათ ჰქონდათ საშუალება, ხელისუფლების გაყოფის საშუალება ცენტრალური მთავრობის დონეზე, თუმცა და მათ ჰქონდათ ყველა გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლება, რომელიც ეხება აფხაზეთს და მათ ჰქონდათ ასევე სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, საერთაშორისო გარანტიები მათი ავტონომიის, მათ შორის, რუსეთის მხრიდან, თუ მათ ამის სურვილი ექნებოდათ და თუ ყველაფერი ამის შედეგად, ჩვენ მოველაპარაკებთ იმას, რომ ფედერალურ ცენტრად საქართველოში გამოცხადებულიყო სოხუმი, მაგრამ მოვილაპარაკებდით, ხაზს ვუსვამ, და ამას ცალმხრივად არავინ არ გამოაცხადებდა. ამაზე იყო განხილვა და მეც ამ თემაზე მიფიქრია, არ დაგიმალავთ, თუმცა, ნამდვილად, არ მიჭორავია იმ ხალხთან, ვინც ეხლა ამას, ეს არის ღია განხილვის თემა. ეს იქნებოდა მოლაპარაკების საგანი. ეს, თქვენ იცით, რომ ჩვენ ვაიყვანეთ საკონსტიტუციო სასამართლო ქალაქ ბათუმში, ჩვენ მთელი რიგი სტრუქტურები გადაგვყავს ქუთაისში, დელეგირება ხდება ასევე, საქართველოს ფედერალური მოწყობის პირობებში ერთად უნდა გადაგვეწყვიტა შეთანხმების და მშვიდობიანი მოლაპარაკების საფუძველზე, სად უნდა ყოფილიყო ამ ფედერალური სახელმწიფოს ფედერალური ცენტრი.

თავმჯდომარე. საუბარი არის კონსტიტუციის ფარგლებში, ხომ? მე ხაზი მინდა გავუსვა.

მ.სააკაშვილი. ახალი ფედერალური მოწყობის ფარგლებში, რომელსაც ჩვენ ვთავაზობდით ეთნიკურ აფხაზებს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ არის ჩვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილების თემა, ამ ეტაპზე არ ყოფილა არასდროს და ამ მიმართულებით ეს იქნებოდა დიდი, გრძელვადიანი ნდობის აღდგენის, მოლაპარაკებების და განსაკუთრებული დაცვის გარანტიების საკითხი. მე ძალიან კარგად მესმის, რა სენსიტივობა აქვთ ეთნიკურ აფხაზებს მათი ეროვნული იდენტურობის მიმართ, ასიმილაციის საფრთხის წინაშე. დღეს რაც მათ დაემართათ რუსეთის ოკუპაციის სახით, ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე რაც შეიძლება როდესმე შექმნოდათ აფხაზებს. იმიტომ, რომ ეხლა მოდი, რაც არ უნდა გააყალბონ ისტორია, მუხაჯირობა მოაწყო რუსულმა საოკუპაციო ჯარმა XIX საუკუნეში. დღეს ისინი რეალურად დადგნენ ახალი მუხაჯირობის და ახალი განადგურების საფრთხის წინაშე და, რა თქმა უნდა, ეს სამწუხაროა, ეს ტრაგედია, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც დღეს არის, არა ზოგადად საქართველოს ტრაგედია, არა მხოლოდ იმ დევნილების და გამოძევებული და დაზარალებული ადამიანების ტრაგედია, ვინც სახლ-კარი დაკარგა, არამედ იმ ხალხის ტრაგედია, ვინც იქ დარჩა. ეთნიკური ოსები დღეს არიან განადგურების პირას მისული იმიტომ, რომ რეალურად ეს თემი, რომელიც იყო კარგად ინტეგრირებული საქართველოში არის გაქრობის პირას მიყვანილი ამ ოკუპაციის შედეგად. ეთნიკურ აფხაზებს შეიძლება შეექმნათ განადგურების საფრთხე ამ ოკუპაციის შედეგად იმიტომ, რომ მათ აფხაზები კი არ სჭირდებათ იქ, მათ სჭირდებათ აგარაკები, სამხედრო ბაზები, სამხედრო აეროპორტები და აფხაზები ამაში, ყველაფერში, უშლიან ხელს, ცოტა არ იყოს და ეს ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით იმიტომ, რომ ჩვენც გვქონია ურთიერთობა ჩვენ რუს პარტნიორებთან და ძალიან კარგად ვიცით მათი გუნება-განწყობა რა არის. და, უფრო მეტიც, მათ სჭირდებათ არა აფხაზები, ისინი საერთოდ არ სჭირდებათ, მათ სჭირდებათ საქართველო. საქართველო სჭირდებათ და ეს ყველაფერი არის გაცვლითი რაღაცა მონეტები, ეს პატარა ერები, ამ დიდ ბრძოლაში, საქართველოში, კავკასიაში, შუა აზიის და კასპიის რეგიონში დომინირებისთვის. ეს არ იწვევს საერთოდ არანაირ ეჭვს.

თავმჯდომარე. ქალბატონ ხათუნას.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო პრეზიდენტო, ერთი კონკრეტული შეკითხვა, თუ შეიძლება. რატომ დაინიშნა ეროსი კიწმარიშვილი ელჩად?

მ.სააკაშვილი. აი, მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ყველას მოგვდის შეცდომები, რა ვქნა. მინდა გითხრათ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით ეს ადამიანი დაინიშნა. მაგრამ ამავე დროს მინდა გითხრათ, აგერ არის ბატონი გია ვაშაძე საგარეო მინისტრის ყოფილი მოადგილე, ყოველ 100 კარგ დანიშვნაზე მოგვდის ერთი შეცდომა, ზოგჯერ ერთი მძიმე შეცდომა. მაგრამ ეს სამინისტრო, საგარეო სამინისტრო არასდროს არ დამავიწყდება მე, დღე და ღამე მუშაობდა. უთხრეს ჩემი დავალებით, მინისტრის მოვალეობას, რაღაც მომენტში, შემდეგ ეკამაც უთხრა, რომ შეგიძლიათ წახვიდეთ სახლებში. არავინ არ გასულა შენობიდან საერთოდ.

ქართული სამოქალაქო სამსახური შედგა და ამ სამინისტრომ იმუშავა მართლა გმირულად თავისი მოკრძალებული კადრებით და თავისი მოკრძალებული შესაძლებლობებით. და ეხლა საქართველო ჩამოყალიბების სტადიაშია თავის სახელმწიფოებრიობის, ჩვენ ბევრ წარმატებას მივაღწიეთ, ჩვენ როგორც სახელმწიფო შევდექით. 2 წლის წინ ასეთი შემოტევა რომ ყოფილიყო, მე ვფიქრობ, რომ ჩამოვიშლებოდი, კიდევ ამ ტერმინს ვუბრუნდები, და, მე ვფიქრობ, რომ ბევრად მეტი აღმოჩნდებოდა ესეთი ესეთი, არ მინდა ვუწოდო ეს სიტყვა იმიტომ, რომ რაც არის ყველამ ვიცით, მაგრამ ერთი რამე არის, რომ ყველა, და ეს ეხება ყველას, ეს, მე ვფიქრობ, ზოგიერთ ჩვენ კოლეგასაც ეხება, ეს ეხება ყველა ადამიანს, ეს ეხება ჩვენს მოქმედ თუ გაგდებულ თანამდებობის პირებს, განთავისუფლებულ ხალხს, მოხსნილ ხალხს, მათ შორის. კი, შეიძლება რაღაცა ეწყინათ, კი, შეიძლება არ მოსწონდეთ ეს მთავრობა, მაგრამ არასდროს არ უნდა გადავლახოთ ტყუილების და სიცრუის მეშვეობით ის ზღვარი, სადაც მთავრდება ბრძოლა საკუთარი ქვეყნის მთავრობასთან და იწყება ბრძოლა საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. ეს ეხება ყველას. გთხოვთ.

_____ ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ბრძანეთ, რომ თბილისში იმედი მაქვს ეს იმის გამო, რომ როგორც ჩვენი ჯარის გმირული მოქმედების, ასევე უცხოეთიდან ჩვენი მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერის. და ამაზე ხომ არ იმოქმედა იმანაც, რომ მათ ვერ ნახეს დასაყრდენი თვითონ საქართველოს დედაქალაქში და ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ხვალ-ზეგ ისინი ამ კუთხით გააგრძელებენ და გააქტიურებენ მუშაობას.

მ.სააკაშვილი. მე მინდა გითხრათ, რომ ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე ამ თემას. ეს ოპერაცია მზადდებოდა ცხინვალში ძალიან დიდი ხნის წინ. ჩვენი არა, მათი. იმიტომ, რომ აი, წარმოიდგინეთ ცხინვალში 90-იან წლებში იყო ასეთი უკანონო მმართველი, მაგრამ მმართველი ხალხის მიერ, დარჩენილი მოსახლეობის მიერ არჩეული ბატონი ლუდვიგ ჩიბიროვი, პროფესორი ჩიბიროვი ეხლა არის ვლადიკავკაზში პროფესორი. მე მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან კარგი კაცი და არის ძალიან კარგი კაცი. ეს იყო ადამიანი, დაწერა ვრცელი წიგნი და ეს წიგნი მაქვს წაკითხული დეტალურად და ამ წიგნის მთავარი არსი არის, რომ ოსების ადგილი, სამხრეთ ოსების ადგილი იყო, არის და მუდმივად იქნება მხოლოდ საქართველოში. ის ეხვეწებოდა, ემუდარებოდა შევარდნაძეს, რომ რაღაცაზე მაინც მოგვიწერე ხელი, რაღაც შეთანხმებაზე, მაგრამ ეს არის ის პერიოდი, როცა შევარდნაძე ეუბნებოდა ასლან აბაშიძეს, თუ გახსოვთ, რომ გამოაცხადე დამოუკიდებლობაო და, ახლა, ჩიბიროვთან იმ პირობებში, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრო თვითონ იყო ჩართული ერგუთის ბაზრობაში და იქ კონტრაბანდში, მოლაპარაკების არანაირი სურვილი საქართველოში არავის არ ჰქონდა. არჩევნების წინ ჩიბიროვმა დაინახა, რომ საფრთხე მოდის მოსკოვიდან იმიტომ, რომ მოსკოვი მას არ განიხილავდა ... მისთვის ცენტრი იყო თბილისი და კიდევ ერთხელ სთხოვა შევარდნაძეს, და ამის ბევრი მოწმე არსებობს, რომ გთხოვთ, რაღაცაზე მაინც მოგველეპარაკოთ, რომ არჩევნების წინ ჩემს ხალხს ვუთხრა. ჩამოიყვანა „ეფ-ეს-ბე“-მ კოლოითი, ყოფილი რეკტორი მოსკოვიდან, მთლიანად „ეფ-ეს-ბე“-ს კონტროლქვეშ მყოფი და დანიშნა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად. შემდეგ გასცეს ბრძანება პასპორტების გაცემაზე და შემდეგ მოჰყვა ის მთელი მოვლენები, რომელიც, მთელი ჩართვა აქტიური რუსეთის ამ მოქმედებებში. ასე, რომ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ დაგეგმილი რამ, მაშინ, როცა თითქმის არც ერთი ჩვენგანი ამ თანამდებობებზე არ იყო და არც ამ თემებში აქტიურად ჩართული არ ყოფილა. ეს იყო კარგად გათვლილი სქემა იმისა, რომ მომხდარიყო მცოცავი ანექსია საქართველოს ტერიტორიების და კიდევ მინდა, **რუმ.** ფართო გაგებით, ეს ომი დაიწყო მაშინ. 7 აგვისტოს იყო განზრახვა ამ ომის საბოლოო დამთავრების და ჩვენი საბოლოო დამთავრების. და რა თქმა უნდა, ვინაიდან იყო მცდელობა ჩვენი საბოლოო დამთავრების, ჩვენი, როგორც სახელმწიფოსი, მე მთავრობას არ ვგულისხმობ, ეს საფრთხე, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობს. მე ვფიქრობ, სამხედრო კონფრონტაციის საფრთხე და ეს შედარებით შემცირებულია იმიტომ, რომ არიან ძალიან ობიექტური ევროპელი დამკვირვებლები ადგილზე, მაგრამ სტრატეგიული ამოცანები ჩვენი მეზობლის წინაშე, სამწუხაროდ, კიდევ დგას.

შევედებიან თუ არა ისინი აქ დასაყრდენის პოვნას, ამას ყოველთვის ცდილობენ. მე მინდა გავიხსენო პროვოკაციების მთელი მწკრივი. მე მინდა გავიხსენო 2006 წელს, აი დავიწყეთ, ჩამოვყვეთ სიას. 2004 წელს ცხინვალში პროვოკაციები, შემდეგ დიდძალი იარაღის შემოტანა, შემდეგ მოსკოვიდან მინისტრების დანიშვნა, შემდეგ მოროზოვის ჩამოსვლა, პრემიერ-მინისტრის ცხინვალის მთავრობის, შემდეგ, 2006 წლის იანვარში, მე მოგახსენეთ თურქეთში ნავთობსადენის აფეთქებაზე, მაგრამ ეს არ იყო პირველი აფეთქებული ნავთობსადენი. პირველი, გახსადენი, უფრო სწორად. პირველი და ორი ელექტროგადამცემი ხაზი აფეთქდა 2006 წლის იანვრის ბოლოს და, პრაქტიკულად, საქართველო ჩაეშვა სრულ სიბნელეში და უკუხეთქი ყველაზე ცივ დღეებში მაშინდელი ზამთრის და მრავალი ზამთრის განმავლობაში ყველაზე ცივ დღეებში. ეს იყო ეკონომიკური ემბარგო შემოტანილი 2006 წლის გაზაფხულზე. ეს იყო ღია მცდელობა მთავრობის დამხობის რუსეთის აგენტების მიერ მთელი 2006 წლის განმავლობაში. მე მინდა შეგახსენოთ, რომ პირველად მე ამის შესახებ საჯაროდ ვთქვი, ჩვენ დავაკავეთ რუსი პოლკოვნიკი ბოიკო, რუსი პოლკოვნიკი გორში პოლიციის აფეთქებაში დადასტურებული ბრალდებით, ჩვენ გვქონდა ყველა ნივთმტკიცება, რომ მან ააფეთქა, ის ხელმძღვანელობდა და ააფეთქა ადგილობრივმა ტერორისტულმა ჯგუფმა. რუსებმა აი ამის შესახებ ტელევიზორში არაფერი არ თქვეს, მერე მოვიდნენ ჩვენთან და თქვეს, იქნებ, წყნარად მოვილაპარაკოთ, არ გვინდა ახლა გართულება, ის კაცი გამოუშვით. მე მივიღე, ჩვენ ყველამ მივიღეთ შეიძლება ბოლომდე დაუსაბუთებელი კანონით გადაწყვეტილება და ეს ადამიანი საკუთარი რისკის ფასად გადავეცი მათ. და ამის შემდეგ მათი მოქმედება ამით არ შეწყდა, ამით ბევრად უფრო გაძლიერდა. მერე მოვიხსნა ღიად ამის გაკეთება, ღიად დაკავება „გრუს“ ოფიცერის, ასევე დადასტურებული ბრალდებით, შპიონაჟთა დივერსიის მომზადებაში და უკვე ღიად ტელეკამერების წინ მათთვის გადაცემა. ამიტომ ეს იყო იმხელა სია ამ პროვოკაციების, რომ და არ ვლაპარაკობთ ოპოზიციურ

ლიდერებზე თავდასხმის მცდელობაზე, კობა დავითაშვილის მკვლელობის მცდელობა, დადასტურებული მცდელობა საქართველოს სადაზვერვო სამსახურის უფროსის მოადგილის მკვლელობის ჩვენ გვაქვს ვიდეო-კადრები, რომელიც ჩვენ გადავეცით დიდი შვიდეულის, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე სპეციალურად განიხილეს ეს შემთხვევა, როგორ ცდილობდნენ მოკვლას ჩვენი დაზვერვის სამსახურის უფროსის და როგორ ვლადიკავკაზში ადგილობრივი “ ეფესბეს” უფროსმა ტელეკამერების წინ გადასცა ფული დავალებით, რომ მოკალით სხვა, შენი მეზობელი ქვეყნის მაღალჩინოსანი სადაზვერვო სამსახურის, ოფიციალური სამართალდამცავი ორგანოსი. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს მცდელობები გაგრძელდება, მე არც იმას გამოვიცხავ, რომ როგორც თქვენ ნახეთ, თუნდაც ბევრი სხვა მაგალითის საფუძველი, რომ იყვნენ ჩვენი მოქალაქეები, რომელიც მზად არიან ამასთან ითანამშრომლონ, მაგრამ ჩვენი პასუხია ამაზე არის მეტი დემოკრატია, მეტი თავისუფლება, მეტი დისკუსია, მეტი ეკონომიკური რეფორმები, მეტი გახსნილობა საზოგადოების და ყველაზე მთავარი რეცეპტი არის არა პოლიციის და კონტრდაზვერვის მუშაობა, ყველაზე მთავარი რეცეპტი არის საზოგადოებაში მიდოდეს ჯანსაღი დებატები, ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი და ამ კამათში დაიბადება ჭეშმარიტება და ეს ნამდვილად არ იქნება ჩვენი ქვეყნის მოწინააღმდეგის ინტერესებში.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, აი, ამ ყველაფერი აი, ამ ინფორმაციისაგან, რაც ჩვენ მივიღეთ, განსაკუთრებით, აი, ამ ბოლო თქვენი გამონათქვამიდან, აპირებთ თუ არა აწარმოოთ მოლაპარაკებები რუსეთთან და მზად ხართ თუ არა, რომ ალადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა და დაიწყოს მოლაპარაკებების ფაზა?

მ.საკაშვილი. მე მინდა გითხრათ, მე მინდა მოგვითხროს მოკლე ისტორია ჩვენი რუსეთთან ურთიერთობების. 2004 წელს, პირველი ჩემი ოფიციალური ვიზიტი, როგორც პრეზიდენტის, განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში, გერმანიაში და რუსეთის ფედერაციაში, უფრო სწორედ, ჯერ გერმანიაში.

მაგრამ, ნუ, სპეციალურად წავედი ამერიკის წინ. იმიტომ, რომ იყო სპეკულაციები, რომ ამერიკის პროექტი ვართ ჩვენ, როგორც ეხლა ხშირად გაიგონებთ, მათ შორის, ზოგიერთ მიამიტურ უცხოურ გამოცემაში. შევხვდი პრეზიდენტ პუტინს. ნუ, ზოგადი საუბარი იყო 2 დეტალის გამოკლებით.

მან თქვა, რომ, პირველი, – რომ გთხოვთ, სამხედრო ბაზების გაყვანას მაინცა და მაინც ახლა ნუ მიაწვებით და მეორე, – რომ თქვენი უშიშროების მინისტრი, მოქმედი, ეს არის ჩვენი მეგობარი და გთხოვთ, კარგად გაუფრთხილდით და კარგი ურთიერთობა გქონდეთ მასთან. ნუ, ეხლა, ეს საუბარი იყო ვალერი ხაბურმანიანზე. მე არანაირი პირადი პრეტენზიები ვალერი ხაბურმანიანთან არა მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ პუტინმა, იმ სახელმწიფოს ლიდერმა, რომელიც გვომბავდა, გზას გვირთავდა, უცებ გამომიცხადა, რომ ჩვენი უშიშროების მინისტრი არის მათი მეგობარი, ამის გამო ხელი არ უნდა დავაკაროთ.

ნუ, მე რე მოხდა აქ საკადრო გადასაცვლება. უშიშროების მინისტრი, ჩვენ სამინისტრო საერთოდ გავაუქმეთ, შევეურთეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. მე მიმაჩნდა, ეს იყო სწორი. ჩვენ ვართ ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, გარდა ბალტიის ქვეყნებისა, რომელთაც ეს გააკეთეს და მე რე მეორე თუ მესამე ჩასვლაზე, როცა პუტინმა მკითხა, – აბა როგორ არის ჩვენი მეგობარი, მე ვუთხარი, – თქვენი მეგობარი დავაწინაურეთ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილეა, – ეს რანაირი დაწინაურება არის? ეს ხომ მოხსნა არის. მე ვუთხარი, – ეხლა, – ბოდიში, მაგრამ ეს ძალიან ცუდი საქმე გიქნიათ. მაგრამ მე მინდა გითხრათ, მე ნამდვილად არ ვაყენებ და არ ვაცხადებ ვალერი ხაბურმანიანს რუსეთს აგენტად, მაგრამ ნამდვილად არ დავუშვებდი იმას, რომ თუნდაც მეგობრული რუსეთის პრეზიდენტი და ნამდვილად იმ პირობებში მთლად მეგობრულიც უკვე აღარ იყო ურთიერთობა, ჩვენს ქვეყანაში ნიშნავდეს მინისტრებს, განსაკუთრებით უშიშროების მინისტრებს, რომელმაც უნდა იზრუნოს იმაზე, რომ უცხო ქვეყნის ინტერესები ქვეყანაში არ იყოს მომძლავრებული. ეს ერთი.

მე რე მეორე. ბაზებზე გითხარით. შემდეგ აჭარის მოვლენებზე ჩვენ გვექონდა მათთან კოორდინაცია, ვმუშაობდით, მაგრამ რუსეთის საგარეო სამინისტრომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აჭარაში ასლანი არ დამხობილიყო. რუსეთის ოფიცრები ჩამოვიდნენ დიდი რაოდენობით მივიღინებით და არბენინებდნენ ბათუმის ბაზიდან რამდენიმე თვე N72-ე საზღვართან ვითომ აკეთებდნენ იმიტირებას სამხედრო მოქმედებების და თუ არა თურქეთის ძალიან ბრძნული პოზიცია, რომელმაც მკაცრად დაგმო ყოველგვარი სეპარატიზმი აჭარაში, შეიძლებოდა რუსეთს თვისი საქმე გასვლოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამოიღეთ, აკეთებდა ერთმანეთზე უფრო აგერსიულ განცხადებებს აჭარაზე და მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა საზოგადოებამ აჭარის, გამოიჩინა სრული გამბედაობა და ჩვენ მოვახერხეთ ის სისხლისღვრის თავიდან აცილება და აჭარის გათავისუფლება.

ამის შემდეგ, მეორე დღეს თუ მესამე დღეს, მე ვფიქრობ, მეორე დღეს, მიუხედავად იმისა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ რუსების გამოგზავნილი ნედკაჩოვის მეთაურობით, დუმბაძემ ააფეთქა ხიდები და ეს იყო რუსული სპეცოპერაცია. იცით, რომ დუმბაძე ვინ წაიყვანა, ახლა, ხომ არ იცით შემთხვევით? ჩამოვიდა პატრონი და წაიყვანა. და მე მინდა ვთქვა, რომ რატომ გავცვალეთ დუმბაძე, იმიტომ, რომ გავცვალეთ რამდენიმე ასეულ უდანაშაულო ადგილობრივ მოსახლეობაში, ყველა ეთნიკური წარმომავლობის, რომელიც აქ ჰყავდათ აყვანილი მძევლად. ნამდვილად არ მიღირს ამ ერთი სამშობლოს მოღალატის, მე ამას არ ვხმარებ პოლიტიკურ ტერმინად, ეს იყო სასამართლოს გადაწყვეტილება და ამიტომ შემიძლია თამამად ვიხმარო, ციხეში ჯდომა იმით, რომ ჩვენ ერთ ადამიანს მაინც ჩამოვარდნოდა ან ოსს ან ქართველს ერთი თმა თავიდან და დაფურეკე პუტინს, მაინც დიპლომატიური ეტიკეტის დაცვისთვის და ვუთხარი, რომ ძალიან დიდი მადლობა, ბატონო ვლადიმერ ვლადიმერის ძე, იმისათვის, რომ გაგებით შეხვდა.

ახლა, ის, ნამდვილად თავს არ მოვიტყუებდი, რომ დაგვეხმარეთ, მაგრამ გაგებით შეხვდით აჭარაში მომხდარ მოვლენებს და მე მიმაჩნდა, რომ ისიც დაიცავდა დიპლომატიურ ეტიკეტს და ისიც მიპასუხებდა, რომ

კარგი და მოდი, ვიმეგობროთ, – ჩემდა მოულოდნელად, ძალიან უხეშად შემაწყვეტინა და მითხრა, რომ ახლა ამჯერად ჩვენ დაგეხმარეთ აჭარაში. ეს ნამდვილად არ იყო სიმართლე, მაგრამ, – იცოდეთ, მომავალში სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში არაფერი საჩუქრები თქვენ უკვე აღარ გექნებათ ჩვენგან. ნუ, ცოტა დავიბენი და ვუთხარი, რომ, – რა ვიცი, ცოტა დავილაპარაკოთ, გამოაგზავნეთ ვინმე, იქნებ, რაღაცაზე მოვილაპარაკოთ.

ჩამოვიდა იგორ ივანოვი, არაფერი კონკრეტული არ ჩამოიტანა. აქეთაც ვუტრიალეთ, იქითაც. არა მხოლოდ ჩვენ ვუტრიალეთ, მაგალითად, საგარეო მინისტრ ლავროვს, ლავროვი დაინიშნა მერე და რაღაც მომენტში ჰკითხეს უცხოელმა ჟურნალისტებმა, – აი, საქართველოდან რა გინდათ? ჯერ ივანოვს რომ ეკითხებოდნენ, ივანოვი არ პასუხობდა. ლავროვმა უპასუხა, – საქართველომ თვითონ კარგად იცის, რა გვინდა მისგანო. მაგრამ, მინდა სრული პასუხისმგებლობით დავადასტურო ვერასოდეს კონკრეტული პასუხი ჩვენ მათგან არც ერთ თემაზე არ მიგვიღია.

და შემდეგ მოხდა სერიოზული გართულება. იმიტომ, რომ ჩვენ ჩაკვეტეთ კონტრაბანდა ცხინვალიდან, რუსეთმა შემოიყვანა დიდძალი ტექნიკა. აგვისტოში მოხდა სამხედრო პროვოკაციები და ალაგირში. საზღვრის მეორე მხარეს მინდორში იდგა რამდენიმე ასეული ჯავშანტექნიკა, 25 ცალი „მი–24“, რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. სავსებით საკმარისი იმისათვის, რომ მაშინდელი საქართველოს შეიარაღებული ძალები რამდენიმე საათში გამოეყარათ ცხინვალიდან.

აი, ეს იყო ჩვენი განვრცობა ამ ურთიერთობის, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ბევრი რამე შევთავაზეთ მათ: ჯერ ერთი, ჩვენ გამოვედით მთელი რიგი სამშვიდობო, მაგალითად, ცხინვალთან მიმართებაში, ჩვენ ვუბნებოდა რუსეთს, რომ, – თუ თქვენი ინტერესია, რომ ოსებს ჰქონდეთ ავტონომია, რომ თქვენ გამოცხადდეთ გამარჯვებულად, აი თქვენ ხომ იძახით, რომ აი, ქართველებმა გაუუქმეს ოსებს ავტონომია, – მოდით, თქვენ გვაიძულებთ, – აი, ამ სიტყვებით ვუბნებოდა, – გვაიძულებთ, რომ დაგუბრუნოთ ოსებს ავტონომია, დადექით გარანტებად მათი ავტონომიის, თქვენც გამარჯვებული იქნებით, ჩვენც გამარჯვებული ვიქნებით, ოსებიც აყვავდებიან და ყველანი ვიქნებით ბედნიერები.

————— ბატონო მიხეილ, ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ, აქ, ბატონი ეროსი კიწმარიშვილი იყო ჩვენთან რამოდენიმე დღის წინ.

მ.სააკაშვილი. თქვენ, როგორც კლასიკოსი, ისე იმოწმებთ ამ კაცს უკვე...

————— ხო, არა, იმიტომ, რომ მან გააკეთა განცხადებები და, შესაბამისად, ჩვენი მოვალეობაა, რომ ეს განცხადებები შემდგომში თქვენთან, პირად წყაროსთან გადავამოწმოთ. პირველი, რაც მან ბრძანა თქვენი და პუტინის პირველი შეხვედრის შემდეგ, პუტინმა ამ შეხვედრაზე თქვენ გითხრა, რომ ის აფხაზეთის თემის განხილვისთვის მზად არ არის, მაგრამ მზად არის, დაიწყოს განხილვა სამხრეთ ოსეთის თემასთან დაკავშირებით.

მ.სააკაშვილი. არ ვიცი, ამ ადამიანს სად უნდა გაეგო ეს. ალბათ, „ალიაში“ ამოიკითხა ან „ასავალ–დასავალში“, დიდი ხანია „ასავალ–დასავალი“ არ წამიკითხავს.

————— და მეორეს დავამატებ, რაც მან თქვა. აგვისტო ახსენეთ თქვენ. მან ბრძანა, რომ აგვისტოში საქართველოს ხელისუფლება განიხილავდა, მან დაასახელა კონკრეტული თარიღიც, კონკრეტული პიროვნებები, ვინც ესწრებოდნენ ამ შეხვედრას, განიხილავდა სამხრეთ ოსეთში ძალის ანუ სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობას.

მ.სააკაშვილი. რომელ აგვისტოში?

————— 2004 წლის აგვისტოში.

მ.სააკაშვილი. 2004 წლის აგვისტოში ჩვენ ჩავატარეთ ანტიკონტრაბანდული ოპერაცია. მე მივიღე გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც ვითარება გართულდა ყველა საჯარისო ფორმირების იქიდან გამოყვანის. მე მივიღე ეს გადაწყვეტილება. ნუ, რაც შეეხება, ეხლა, პირველად სპეკულაციებს.

ეხლა, ჩვენ შეგვიძლია ბევრი, გადაშალეთ გაზეთები ბევრი რაღაც წერია, მე გიყვებით იმას, რაც იყო თუ გაინტერესებთ, გავაგრძელებ ამ მიმართულებით მოყოლას. შემდეგ მოხდა ეს პროვოკაციები, რომელიც მე გითხარით, ეს გაზის გადაკეტვა. შემდეგ დენის გათიშვა, სამხედრო, ემბარგო და 2006 წლის ნოემბერში მას შემდეგ, რაც მოხდა პირველი, აი, ის ჯაშუშების გადაცემა რუსეთისთვის.

პუტინი ჩავიდა, რუსეთის ტელევიზია ალაპარაკდა, რომ მოხდებოდა საქართველოს და რუსეთს შორის ომი. ძალიან დიდ სამხედრო რიტორიკა იყო, იყო, აი ეხლა ვჭედავთ საქართველოს, დაიწყეს ქართველების დეპორტირება რუსეთიდან და აი, ამ გარემოებებში პრეზიდენტი პუტინი ჩავიდა ევროკავშირის სამიტზე, ფინურ ქალაქ ლაჰტიში და წაუკითხა ნამდვილი ნოტაცია ევროკავშირის ლიდერებს იმის შესახებ, რომ საქართველო აპირებს პატარა ერების – ოსების და აფხაზების განადგურებას, ომის დაწყებას და დავადანაშაულა გენოციდის მცდელობაში. ზუსტად ის რიტორიკა, რაც იქნა გამოყენებული წელს.

მაგრამ იქ, მე თქვენ გეტყვით როგორ გაიმართა სხდომა. ბევრი ჩვენი მეგობარი ესწრებოდა, წინასწარ იყო შეთანხმებული. პუტინის გამოსვლა იყო ძალიან აგრესიული და შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა, რომელიც იყო მისი მეგობარი და მოკავშირე, თქვა, – რომ კარგი, კარგი, დავანებოთ თავი ამ თემას და გადავიდეთ

სხვა თემებზე. და ერთი წუთით ავსტრიის კანცლერმა აილო სიტყვა, **მისელმა** თქვა, – მოდით, დავილაპარაკოთ ამ თემაზე, გვაინტერესებს, ერთი, ეს თემა ბოლომდე. და მერე სიტყვა აილო უკლებლივ ყველა ლიდერმა, მათ შორის, დღევანდელმა ჩვენმა სტუმარმა დანიის პრემიერ-მინისტრმა და ყველამ მკაცრად გააკრიტიკა ... პუტინი.

და ევროკავშირმა, პრაქტიკულად, სრულიად ... გამოიჩინა მისი აგრესიული რიტორიკის მიმართ. შემდეგ კონდოლოზა რაისი ჩავიდა მოსკოვში, ძალიან მკაცრი საუბარი ჰქონდა პუტინთან იმ დონეზე, რაც მე ვიცი, რომ რაღაც მომენტში თითქმის ჩაიშალა ეს მოლაპარაკებები. მაგრამ მაინც მესიჯი, როგორც იტყვიან, მიიღო და ერთ კვირაში თემა, საქართველო და ომის შესახებ გაქრა რუსული ტელევიზიების ეკრანებიდან.

მაგრამ მე შემდეგ ვიყავი მინსკში დღეს-სამიტზე და იქ მქონდა მასთან, პუტინთან ძალიან უსიამოვნო საუბარი. მან ჯერ დამტუქსა ჯაშუშების გამო, მერე მითხრა, რომ მე ვიცი, რომ ეკონომიკური ემბარგო არ მუშაობს, სამწუხაროდ, მან ეს იცოდა, იქნებ, რომ ჩაეთვალა, რომ დავილუპეთ და დავიკეცივით, მეტი არაფერი არც გაეკეთებინა, მაგრამ, – ვნახავთ, – მე თქვენ მოგიწყობთ ჩრდილოეთ კვიპროსს, – რას ნიშნავს ჩრდილოეთ კვიპროსი? ჩრდილოეთ კვიპროსის სცენარი, მისი გაგებით, ეს არის სამხედრო ინტერვენცია, მეორე სხვა ქვეყანაში და მისი ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოქცევა და მერე მისი ცნობა – სრულიად განსაზღვრული სამხედრო პოლიტიკური სცენარი. მაშინ კოსოვო არ იყო ჰორიზონტზე, მან აიღო ის სცენარი, რაც განახორციელა ოლონდ სხვა ... დაერქვა მაშინ კვიპროსის სცენარი.

სხვათა შორის, იგივე უთხრა რამდენიმე დასავლელ ლიდერს. ჩემს ყველა მცდელობაზე, რომელიც იყო, – კარგით, მოდით, ვილაპარაკოთ, რა გინდათ თქვენ ჩვენგან ზუსტად? – გვინდა, – ესეთი პასუხი იყო ფუნდამენტურად, – შეცვალეთ თქვენი საქციელი და, – მოდით, ვეუბნებით, მოდი, იქნებ, დავილაპარაკოთ, – არა, ჯერ თქვენ შეცვალეთ საქციელი და მერე დავილაპარაკოთ კონკრეტულად, ყველაფერი გამოცვალეთ, რასაც თქვენ აკეთებთ.

მე უნდა გითხრათ, კიდევ ერთხელ, რომ უფრო ეს იყო მცდელობა, რომ ქართული სახელმწიფოს წარმატებული მოდელი, ეკონომიკური რეფორმებით, დემოკრატიით, თავისუფალი სიტყვის გამოხატვით, დასავლეთთან, ევროპასთან ინტეგრაციით, ეს ყველაფერი ფუნდამენტურად, იდეოლოგიურად მიუღებელი იყო იმ ავტორიტარული მოდელისთვის, რომლის დანერგვასაც ეს კონკრეტული ხელმძღვანელობა ცდილობდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე.

ფუნდამენტურად მიუღებელი იყო ის, რომ ჩაითვალა 2004 –ში ჯერ ჩვენ იმდენად დიდ საფრთხედ არ გვთვლიდნენ, 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოხდა რევოლუცია უკრაინაში და უკრაინული რევოლუციის ლიდერი ამბობდა, რომ მათ აიღეს საქართველოს მაგალითი, აი, მაშინ ჩვენ ჩავითვალეთ უკვე სასიკვდილო საფრთხეთ. მაშინ უკვე სიტუაცია ჩვენ ძალიან გაგვირთულდა. ამიტომ და მერე დაიწყო დაგეგმარება. მე მახსოვს უკრაინის რევოლუციის შემდეგ დაიბარეს რუსული ენერგოკორპორაციების წარმომადგენლები კრემლში და ჰკითხეს, – როგორ შეიძლება, რომ საქართველოს გავუთიშოთ დენიც და გაზიც და, მათ თქვეს მაშინ, რომ ეს ტექნიკურად შეუძლებელია და მერე იცით, რომ იფიქრეს დიდხანს და რამდენიმე ხნის შემდეგ განახორციელეს პირდაპირი აფეთქებები ჩრდილო კავკასიის მიმართულებით.

ასე რომ, ჩვენ, სამწუხაროდ, ფუნდამენტურად გვექონდა მთავარ საკითხზე შეთანხმება ამ ტიპის. ჩემი დასკვნა, საბოლოო ჯამში, იყო ეს, ამ ტიპის, ამ პოლიტიკური სისტემის, ამ არჩევანის თავისუფლების პირობებში, საქართველოს არსებობა დღევანდელი ხელმძღვანელობის მოსკოვში, არის, სამწუხაროდ, ფუნდამენტურად მიუღებელი. აქ არ არის არც პიროვნული შეუთავსებლობა. მე დღესაც კი მინდა გითხრათ, რომ არანაირი გაღიზიანება, პიროვნული, არა მაქვს არც პუტინის და არც პრეზიდენტ მედვედევის მიმართ. ეს არის ფუნდამენტური შეუთავსებლობა. ის, რომ ისინი თვლიან, რომ ჩვენი არსებობა ეს არის მათი სერიოზული პრობლემა და მათი სერიოზული მარცხი და ამის გამოსწორება როგორ უნდა მოხდეს, მე მართალი გითხრათ, ბოლომდე არ ვიცი. მე ვფიქრობ, ამის გამოსწორება გრძელვადიანად არის საქართველოს ევროპული ინტეგრაციაში, რუსეთის შემდგომ ცივილიზებულ, იმედია, განვითარებაში, რუსეთის დემოკრატიზაციაში, რუსეთის ცივილიზებულ ურთიერთობებში დანარჩენ ევროპულ და დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან ზოგადად და როგორც დღეს რუსეთს ნაკლები აქვს ფინეთთან ვიდრე, ვთქვათ, ჰქონდა სტალინის დროს 1939 წელს და ჩვენ არ გვინდა ამდენი ხანი ცდა, იმედია, ასევე ნაკლები პრობლემა ექნება ჩვენთან უახლოეს მომავალში. როგორც დღეს რუსეთი აღარ აყენებს ექვქვეშ დამოუკიდებელი ჩეხეთის, დამოუკიდებელი სლოვაკეთის, დამოუკიდებელი უნგრეთის არსებობას, იმედია, ასევე აღარ დააყენებს ის დამოუკიდებელი უკრაინის ან დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას ექვქვეშ.

სამი ფუნდამენტური თეზისი ჰქონდათ ყოველთვის რუსებს ჩვენთან. პირველი, რომ საქართველოში მოგვიწყობდნენ ჩრდილო კვიპროსს და საერთოდ, პრობლემები გვექნება. მეორე, რომ უკრაინა არ არის ნამდვილი ქვეყანა, ეს არის ტერიტორია. მესამე, ბალტიის ქვეყნების დაცვა ნატოს არ შეუძლია. პირველი მათ უკვე განახორციელეს. მე ვშიშობ, რომ მეორე და მესამე კიდევ არის მათ პროგრამაში. ჩვენ ყველაფერი ვცადეთ. ჩვენ, ჯერ ერთი, სერიოზული შეთავაზება გავუკეთეთ ავტონომიაზე, რომ რუსეთი ყოფილიყო გარანტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის. ჩვენ აფხაზეთს გავუკეთეთ ძალიან ფართო ავტონომიის შეთავაზება. ისევ შეთავაზეთ რუსეთს, რომ ყოფილიყო ფართო გარანტი მათი ავტონომიის.

ივნისის თვეში, მე გავუზახენე პრეზიდენტ მედვედევს წერილი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, და ვიფიქრე, აი, რა შეიძლება შევთავაზო ისეთი, რომ აი, ომი თუ არ უნდათ, რომ რაღაცაზე დაკმაყოფილდნენ. ვიცი, რომ მათ მოსწონთ კურორტები, ბიჭვინთა, გაგრა, ნუ, სოხუმი. ვიცი, რომ მათ ქონება აქვთ შემენილი იქ. იაფად ხელში ჩადებულნი და ვუთხარი, რომ, – კი, ბატონო, ჩვენ მზად ვართ, თქვენი ეკონომიკური ინტერესები აქ, ჩვენ მზად ვართ, დავაკანონოთ ჩვენი ხელშეკრულების პირობებში, თქვენი სამშვიდობო ჯარების არსებობა უფრო ჩრდილოეთით, მაგალითად, მდინარე კოდორზე, რა თქმა უნდა, იმ პირობებში, როცა საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობა აღიარებული და დაცული იქნება და ტერიტორიაზე ჩვენ არ ვვაჭრობთ, ტერიტორიით არ ვვაჭრობთ, მაგრამ რეალურად, დაგიკანონდებით ეკონომიკური ინტერესები, პოლიტიკური ყოფნა. ვილაპარაკეთ იმაზე, რომ სატრანსპორტო კომუნიკაციები გავხსნათ, რაც სოჭის ოლიმპიადისთვის იქნებოდა კარგი და ჩვენ ვუჭერდით მხარს სოჭის ოლიმპიადას ბოლო დრომდე და სამაგიეროდ, შეგვყვანიეთ პირველ ეტაპზე დევნილები 80 კილომეტრზე მდინარე კოდორამდე, 80 კილომეტრის მანძილზე, შევქმნათ აქ შერეული ადმინისტრაცია ან საერთაშორისო ადმინისტრაცია, შევქმნათ თავისუფალი ეკონომიკური ზონა. მივცეთ ხალხს საშუალება, რომ განვითარდეს და დავანახოთ მაგალითი განვითარებით და ეკონომიკური წარმატებით როგორ შეიძლება კონფლიქტების მოგვარება. ალგვედგინა მატარებელი მოსკოვი-თბილისი-ერევანი, გაგვეხსნა კომუნიკაციები, ხალხისთვის მივცევა საშუალება ერთმანეთთან ურთიერთობის და მე მიმაჩნია, ეს იყო კონფლიქტის გადაწყვეტის ძალიან კარგი გეგმა. უფრო გრძელვადიანი გეგმა, მაგრამ რომელიც ასევე, შედიოდა რუსეთის მშვიდობიან, თეორიულად მშვიდობიან ინტერესებში.

ამაზე ჩვენ მივიღეთ ძალიან უკმეხი პასუხი. შემდეგ შტაინმაიერი ჩაერთო პროცესში, მანამდე ევროკავშირმა მოიწონა ჩვენი გეგმა, ეუთომ მოიწონა ჩვენი სამშვიდობო გეგმა საჯაროდ. შტაინმაიერმა ჩამოიტანა არც თუ იდეალური გეგმა, რომელიც ჩვენ სამშვიდობო გეგმაზე უფრო სუსტი იყო, მაგრამ ჩვენ ამასაც დავთანხმდით. ივლისის ბოლოს, რუსებმა, თითქოს დათანხმდნენ, მერე აფხაზებმა თქვეს, მოდით, გადავდოთ კონფერენცია აგვისტოს ბოლომდე. აი, ეს თვე აიღეს, ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე. საკითავია რატომ? კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა და ასევე, რუსეთთან ჰქონდა ურთიერთობა. რუსებმა თქვეს, – მოდით, განვიხილოთ ეს საკითხი სექტემბერში. კიდევ საკითხავია, რატომ უნდოდათ მათ ტაიმ-აუტის აღება აგვისტოსთვის. ასე რომ, და მე ვიცი, ეს გეგმა, რომელიც, რომელმაც გაჟონა, მინდა ვთქვა, რომ ეს წერილი არ დამირეკლამებია იმიტომ, რომ მოლაპარაკების პროცესში ვიყავით და არ გვინდოდა, რომ გაზეთებით გველაპარაკა ერთმანეთთან. გაჟონა ამან რუსულ პრესაში და რეაქცია საქართველოს იყო ძალიან მწვავე. მე მაქსიმალურად გამაგებინეს, მაგრამ მიმაჩნდა, რომ უნდა ამელო ჩემს თავზე ეს პასუხისმგებლობა, გამბედაობა, მაქსიმალურად გამბედავი და მოქნილი გეგმა შემეთავაზებინა რუსებისთვის. იმიტომ, რომ ვიცოდი, რომ მთავარი ფასეულობა იმ ეტაპზე, იყო ჩვენთვის მშვიდობა და დროის მოგება.

თავმჯდომარე. მე ხაზს გავუსვამ, ბატონო პრეზიდენტო,

მ.საკაშვილი. და მე მინდა,

თავმჯდომარე. გაყოფის გეგმა ხომ არ იყო, გაყოფის?

მ.საკაშვილი. არა, ეს ნამდვილად არ იყო გაყოფის გეგმა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მაგრამ ეს იყო ეტაპობრივი გადაწყვეტის გეგმა. არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად გადაწყვეტის გეგმა, რუსული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების გათვალისწინებით. მათ შორის, რა თქმა უნდა, კონფლიქტის მთლიანად მოგვარების გარკვეული პერიოდით გადადების ხარჯზე. მაგრამ იმის ხარჯზე, რომ, მინიმუმ, ნახევარ დევნილებს ჩვენ დავაბრუნებდით იმის გამო, ამის შედეგად და რეალურად დაიწყებოდა ინტეგრაციის და გაერთიანების პროცესი. მაგრამ ეს იქნებოდა დროში გაწელილი პროცესი. იმიტომ, როცა ამას ვთავაზობდით, მე მგონი, ყველასთვის ნათელია, რომ არანირ ბლიცკრიგებზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ, მით უმეტეს, ვისთან ბლიცკრიგზე, რუსეთთან ბლიცკრიგზე? ჩვენ ხომ ვნახეთ, როგორ ჩაერია რუსეთი აფხაზეთის არჩევნებში, როცა საერთოდ ამის თავი არ ტკიოდა, 2005 წლის იანვარში. უკრაინაში ჰქონდა წაგებული ახლახან არჩევნები. როგორ ჩაერივნენ ისინი არჩევნებში! მე კარგად მახსოვს პუტინის მუქარა 2004 წლის გაზაფხულზე: ჩვენ არ დავუშვებთ, ყველა მეთოდით არ დავუშვებთ აფხაზეთის საკითხის სამხედრო გადაწყვეტას. მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ რუსეთი აფხაზეთისთვის მთელი თავისი ძალებით იბრძოლებდა. და ჩვენი მთავარი პრობლემა იყო, რომ კოდორზე არ ყოფილიყო შეტევა და კოდორის გამაგრებაზე ყველანაირ, ათასგვარ გეგმებს ვაწყობდით. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთმა ეს გეგმა მთლიანად უარყო და სრულიად ნათელი იყო ჩემთვის უკვე, რომ სიტუაცია, იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო რკინიგზა დამთავრდა, უფრო სწორად, სამხედრო ტექნიკის გასატარებლად რკინიგზა დამთავრდა და ამ „მიგ“-ებმა ყველაფრის მონიშვნა გააკეთეს იქ, ტყვარჩელის გარშემო და კოდორის მიმართულებით, გალის მიმართულებით გახშირდა პროვოკაციები, ჩემთვის დღესაც ნათელი იყო, რომ ბევრად უფრო უარესი მზადდება, ვიდრე ეს ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა. შეგვეძლო თუ არა ჩვენ სხვანაირად რუსეთთან ურთიერთობა. ჩვენ, და რუსეთთან ურთიერთობა, ალბათ, შეიძლება, რაღაც შეცდომები, შეიძლება, დაშვებული იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ ფუნდამენტური ფასეულობა – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის ხარჯზე ჩვენ ვერანაირ შეთანხმებაში ვერ შევალთ, ხალხო. ჩვენ არ მოგვევა ამის უფლება ისტორიამ. თქვენ იმახით... გვინდა თუ არა რუსეთთან მოლაპარაკება. ჩვენ ვართ რუსეთთან მოლაპარაკების რეჟიმში ყენევაში. ჩვენ შევინარჩუნეთ საკონსულო ურთიერთობები იმიტომ, რომ ეს შედის ორივე ქვეყნის მოქალაქეების სასიცოცხლო ჰუმანიტარულ ინტერესებში, მაგრამ ნუ მომთხოვთ მე, რომ მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი დავთანხმდე იმას, რომ რუსეთს ჰქონდეს ერთი საელჩო სოხუმში, მეორე საელჩო – ცხინვალში, აქვე ყურის ძირში და მესამე – თბილისში. ეს იქნება დაცინვა ყველანაირი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის და ეს იქნება საქართველოს ღირსების, სუვერენიტეტის და მთავარი სამართლებრივი პრინციპების აბსოლუტურად ფეხქვეშ გათელვა. რუსეთთან ურთიერთობები ჩვენ აუცილებლად გვექნება. მე მინდა ვთქვა, რომ არც ერთ რუსს საქართველოში თმა არ ჩამოვარდნია თავიდან, მე ვიცი ეს განწყობა, რაც არის. ამას წინათ ჩემს მეუღლეს ჰყავდა წაყვანილი ორდღიან ექსკურსიაზე დუხობორები წალკიდან და

ნინოწმინდიდან, ვიცი, რომ ეს ხალხი ძაან... მიუხედავად იმისა, რომ მათ პატივებდნენ რუსეთში, არავინ არ წავიდა, ეს არის მათი სამშობლო, ისინი არიან ქართველი რუსები. და უფრო მეტიც. ამას წინათ რამდენიმე ყოფილი რუსი სამხედრო ვნახე ბათუმში, მაგალითად, დადიოდნენ ასე, ისინი თავს გრძობდნენ კარგად, იქ მსახურობდნენ, მერე დარჩნენ და ეს, როგორც ჩანს ამ ხალხშიც არის ქართული პატრიოტიზმი. ის კი არა ბორისოვიც, როგორც ჩანს, თავს დებდა საქართველოს პატრიოტიზმზე, ოღონდ თავისებური გაგებით. კახასთან მქონდა ინტენსიური ურთიერთობები ამ თემაზე. მაგრამ მთელი არსი არის იმაში, რომ ამ ხალხს, ამ ხალხმა უნდა, ეს ხალხი უნდა მიხვდეს, მე ვამბობ ხელმძღვანელობაზე, მთავრობაზე, რომ საქართველოსთან შესაძლებელია ურთიერთობა როგორც ერთიან, ფედერალურ, ყველა უფლებების დაცვის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან, ავტონომიებთან და ერთიან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან, ერთიან სუბიექტთან და ამ შემთხვევაში ჩვენ, დარწმუნებული ვარ, მომავალში გვექნება ძალიან კარგი ურთიერთობა. მე ყოველთვის ვეუბნებოდი რუსეთის ხელმძღვანელებს ამ შეხვედრების დროს, მე შემიძლია საათობით ვიკითხო, ვუკითხო მათ მანდელშტამის, ესენინის, ვისოცკის, ჩვენი მომე ოკუპაციას და ბევრი სხვა გამოჩენილი პოეტის ლექსები. არა მგონია, რომ ყველა „ევ-ეს-ბე“-ს პოლოკონიკმა, გენერალი, რომელიც სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს, ამაში შემეჯიბროს, შეიძლება სხვა რამეში მაჯობონ. მე ძალიან მიყვარს რუსი ხალხი, პატივს ვცემ მას, მაგრამ მე ყველაზე მეტად მიყვარს ჩემი ქვეყანა და მიყვარს სამართლიანობა და მე ვეუბნებოდი მათ, თქვენ, შეიძლება შემდეგმა არა, მაგრამ შემდეგის შემდეგმა ქართველმა პრეზიდენტმა, საქართველოს პრეზიდენტმა ერთი სიტყვა არ იცოდეს რუსულად. თქვენ გაქვთ ბევრად მეტი გავლენა დღეს ჩვენზე, ვიდრე შეგიძლიათ მოიპოვოთ სამხედრო პროვოკაციებით ან ჩვენი ტერიტორიების დაყოფით. თქვენ შეგიძლიათ რეალურად იყოთ საქართველოს ... იმიტომ, რომ ქართველ ხალხს უყვარს თქვენი კულტურა, თქვენ გიყვართ ჩვენი კულტურა, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთის ნახვა სხვადასხვა სიტუაციებში, ჩვენ გვიყვარს, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მეტი ქართული რესტორანი არის მოსკოვში. ჩვენ მართლა ვართ ერთნი, ბევრი გაგებით ჩვენ ბევრი რამე გვაერთიანებს. მაგრამ, იმ პირობებში, როცა ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემდით, ჩვენ ვცემთ პატივს მათ, ჩვენი არც ერთი ჯარისკაცი მათ ტერიტორიაზე არ არის, მათი ჯარისკაცები ჩვენ გვესვრიან ახალგორში. მათი ჯარისკაცები დგანან ენგურის ხიდზე. ქალაქ ახალგორს XXI საუკუნეში დაარქვეს ლენინგორი. აფხაზეთში აშენებენ ახალ ბერლინის კედელს. ჩვენ ვიმყოფებით XXI საუკუნის ევროპულ ქვეყანაში, ხალხო. ასე, რომ, მე ვფიქრობ, ამას პერსპექტივა არა აქვს. მე ვფიქრობ, რომ ეხლა ვართ რაღაც კომმარულ სტადიაზე და ამის შენაჩუნება, დაუსჯელად ამისი გაკეთება ყველა ისტორიული პრინციპით არის შეუძლებელი და თუ ეს მათ შეინარჩუნეს, სიტუაცია ბევრად უფრო გაუარესდება იქ და მერე ყველა დანარჩენს ექნება პრობლემები მათ გარშემო და ბევრად უფრო გაუარესდება, სანამ გაუმჯობესდება. რომ გაუმჯობესდება იქაც, მე ამაში საერთოდ ეჭვი არ მეპარება. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ევროპული, ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ჩვენი ურთიერთობა ჩვენს ტრადიციულ პარტნიორებთან და ჩვენ, რა თქმა უნდა, რაც უფრო კარგ ფორმაში იქნება საქართველო, მით უფრო ადვილი იქნება რუსეთთან ყველაზე უფრო გადაწყვეტილი პრობლემების გადაწყვეტაც კი. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, ჩვენ არ, ... ღმერთია მოწამე, რომ ჩვენი ნებით არ შეგვიქმნია ეს პრობლემები და ყველაზე მეტი მოსურნე ჩვენ ვართ, რომ ეს პრობლემები გადაწყდეს, მაგრამ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა, ჩვენი ხელის ჩამორთმევა, მე, იცით, რომ ხელი გავუწოდებ პირველ არჩევნებზე. მეორე არჩევნებზე ვთქვი, რომ მოდი, სუფთა ფურცლიდან დავიწყეთ ყველაფერი. ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ ხელს ჩამოვართმევთ ერთმანეთს ფსოლზე და როკის გვირაბში თუ არა, ლარსზე, სადმე იქ, უფრო ნათელ ადგილზე და შემდეგ, რა თქმა უნდა, ვივლით ერთმანეთთან სტუმრად ტანკების გარეშე.

თავმჯდომარე. ბატონ გივის ვთხოვ.

გ.თარგამაძე. თქვენ ევროატლანტიკური ინტეგრაცია ახსენეთ და ზუსტად ამ თემაზე მინდა გკითხოთ. თვლით თუ არა, რომ ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს ნატოში ინტეგრირების პერსპექტივები, საერთოდ, ამერიკის ადმინისტრაციის ახალი განცხადებების ფონზე რა მოლოდინები გაქვთ დეკემბრის სამიტთან დაკავშირებით და ასევე მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარდა პოლიტიკური საკითხებისა, საქართველოში დემოკრატიული რეფორმების არადამაჯერებელი ტემპები არის შემაფერხებელი ფაქტორი ნატოში ინტეგრირების გზაზე. გმადლობთ.

მ.საკაშვილი. მინდა გითხრათ, რომ როცა ვლაპარაკობდი რუსეთის სტრატეგიულ ამოცანებზე საქართველოში ინტეგრაციის, შეიძლება გამომრჩა, მაგრამ იგულისხმებოდა, ეს არის საქართველოს ნატოში გაწევრიანების არდაშვება, საქართველოს და უკრაინის, იმიტომ, რომ ჩვენ პაკეტში გავდივართ. მთავარი მიზანი ამ ომის, ერთ-ერთი იყო, რომ ნატოს გამოეცხადებინა, რომ ბუქარესტის გადაწყვეტილებები გაუქმებულია და საქართველო ვალდარ გახდება ამ ახალ გარემოებებში ნატოს წევრი. ნატო მყარად აცხადებს, მათ შორის, ყველაზე სკეპტიკური ქვეყანა, გერმანია, რომ მიუხედავად აგვისტოს აგრესიისა, საქართველო მაინც გახდება ნატოს წევრი. ეს არის პირველი სერიოზული გამარჯვება. მეორე, რაც შეეხება ამ ყბადაღებულ მასს. ეხლა ეს მასივ, თავის დროზე მოიგონეს რამდენიმე ქვეყნისთვის, ბალტიის ქვეყნებისთვის იმიტომ, რომ ეს იყო სტადია იქ გაწევრიანების. მანამდე იყო ინტენსიური დიალოგი, რომელიც ჩეხეთისთვის სპეციალურად მოიგონეს, ჩეხოსლოვაკიისთვის ვლაცლავ ჰაველის დროს. სხვათა შორის, იმ ვლაცლავ ჰაველის, რომელმაც თქვა, რომ ზუსტად აგონებს ეს შემოტევა საქართველოში სუდეტენლენდცს, სუდეტენლენდცში გერმანიის ოკუპაციას, ჩეხოსლოვაკიის და მიუნჰენის ... შეთანხმების შედეგად ამ სირცხვილს, რომელიც მაშინ ნახა ევროპამ. ასე რომ, ჩვენ გვინდა ნატოში შესვლა, მაპი კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა ნატოში შესვლა. თუ მოიფიქრებენ რამე სხვა

მექანიზმს, როგორ შეიძლება საქართველო შევიდეს ნატოში, ეს იქნება ძალიან მისასალმებელი. სწორედ ეს იყო ბოლოს ამერიკის და ბრიტანეთის ერთობლივი ინიციატივა. იქნება ეს ძნელი გზა? იქნება ძნელი გზა. იქნება პროვოკაციები? იქნება პროვოკაციები, მაგრამ ჩვენ რა სხვა გამოსავალი გვაქვს. ჩვენ სხვა რა გარანტია გვაქვს ჩვენი უსაფრთხოების. ჩვენ ერთის მხრივ, მაგრამ ჩვენ იქ შევდივართ არა იმიტომ, რომ ჩვენ ნატო დაგვიბრუნებს აფხაზეთს ან ცხინვალს. ჩვენ ნატოში შესვლა გვინდა იმისათვის, რომ საქართველო განვითარდეს და სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნოს და კონსოლიდაცია მოახდინოს, იმისათვის, რომ ჩვენ თვითონ ვიყოთ ამ დიდი სისტემის მონაწილეები, რომ ჩვენც დავვებმარონ, მაგრამ ჩვენც დავვებმართ, ჩვენც ვიყოთ ამ დიდი გლობალური საკითხების გადაწყვეტის ნაწილი. როცა შენ ეფექტური ხარ, როცა შენგანაც რაღაც სარგებელია, მაშინ უფრო გეხმარებიან და არა პირიქით, სრულიად უსარგებლო, უმწურო ქვეყნები არავის არ სჭირდება. ამიტომ მე რახან, იგივე უცხოურ დახმარებას როცა ვიღებ, და იმეღია, პარლამენტი გააკონტროლებს, ახლა ეს გამოცხადდა, ოთხ-ნახევარი, ხუთი მილიარდი მივიღეთ, ეს არ უნდა ჩაითვალოს, რომ სადღაც ბაქრადის ან ჩემს ოთახში ინახება. ეს წლების განმავლობა დასჭირდება ამას, რომ წამოვიდეს და, იმეღია, თქვენ ამას გააკონტროლებთ, მაგრამ მე არ მინდა, რომ საქართველო იყოს ჩამოკიდებული უცხოურ დახმარებას. ჩვენ ნამდვილი ეკონომიკა უნდა გვექონდეს, ნამდვილი შემოსავალი უნდა ჰქონდეს ხალხს სახლში, ნამდვილი სამუშაო ადგილები უნდა იქმნებოდეს. ჩვენ არ შეიძლება, რომ გავხდეთ მორიგი პალესტინის ოკუპირებული ადმინისტრაცია, რომელიმე სხვა წარმონაქმნი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს უცხოურ დახმარებაზე, საქართველოს თავმოყვარეობა, ღირსება, უბრალოდ, პრაგმატული გათვლა არის იმაზე, რომ ჩვენ ვიყოთ ჩვენს ფეხზე მყარად მდგომები და იგივე ეხება ჩვენს უსაფრთხოებას. ჩვენ უნდა შეგვეძლოს თავის დაცვა, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ღირსეულად წინააღმდეგობის გაწევა და ღირსეული პარტნიორობაც ყველა საკითხში და ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ნატოს მიმართ პერსპექტივა გვაქვს. მე მიმაჩნია, ბევრი რაღაც გადაწყდება უფრო გაზაფხულისკენ, თუმცა, ახლა იმეღია, რომ სერიოზული მხარდაჭერა გამოთქმული იქნება ჩვენ მიმართ, მხარდაჭერა არა მხოლოდ არ შემცირდა, არამედ ფართოვდება. კიდევ ერთხელ გითხარით, რომ არსებობს ცნობილი ქვეყნები. გერმანიაში არის არჩევნები მომავალ წელს და ეს არის დიდი შიდასარჩევნო თემა სხვადასხვა პარტიებს შორის. და მეორე კიდევ. ერთ-ერთ ქვეყანაში ეს საკითხი დგას, მაგრამ დღეს, უყურებთ თქვენ, ალბათ, დანიის პრემიერ-მინისტრს, რომელიც არ არის, ვთქვათ, ბალტიის ქვეყანა და, ვთქვათ, ავტომატურად არ გამოხატავს ჩვენი ტრადიციული მოკავშირეების ინტერესებს, ეს არის, ყველაზე მყარად დაუჭირა მხარი საქართველოს ნატოში გაწევრიანების ამბიციას. და ეს კიდევ ბევრ დასავლურ ტრადიციულ ევროპის, ძველი ევროპის ქვეყანას ეხება. ინგლისი არის ძალიან აქტიური, ამერიკის ადმინისტრაცია დიდ მხარდაჭერას გამოხატავს, სხვათა შორის, იყო სპეკულაციები წინა დღეებში, რომ ამერიკა უკან დაიხევდა, მსგავსი არაფერი არ მოხდა, პირიქით, კიდევ უფრო აქტიურები არიან, ვიდრე აპრილში და თან დღეს ყველა მათი მოქმედება თანხმდება უკვე ახალ ადმინისტრაციასთან, მინდა ვთქვა, და, რამდენაც მე ვიცი. ასე რომ, და არ ვიცი, ზუსტად ამ დეტალებზე იყო თუ არა საუბარი, ამაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ, ძირითადად, ამერიკის საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება. ასე, რომ მე, ძირითადად, ვარ ძალიან ოპტიმისტურად განწყობილი. ეს არის არა იმ საკითხის, იქნება თუ არა, არამედ როდის. კიდევ რა კითხვა გქონდათ?

თავმჯდომარე. ბატონ ლევანს ჰქონდა კითხვა და მერე ბატონ დიმიტრის.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო მიხეილ, მე თქვენს განცხადებას მინდა დავუბრუნდე, რომელსაც თქვენ იმ დღეებში აკეთებდით. თქვენ როგორ ფიქრობთ ... ნაწილი მიიჩნევს, ეს განცხადება იყო საკმაოდ სერიოზული საფრთხის შემცველი და უფრო რადიკალურობის, რომლებიც ამბობენ, რომ ეს განცხადება იყო სახელმწიფო საიდუმლოების ...

მ. სააკაშვილი. რომელი განცხადება.

ლ.ვეფხვაძე. აი, გეტყვით ეხლა. ეს შეეხება, 12-ში თუ 13-ში საღამოს თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომ ქართული ჯარის საკმაოდ დიდი ნაწილი, უმეტესი ნაწილი, არის გადარჩენილი, მათ შორის, სამხედრო ტექნიკის და არიან ტყეში.

მ. სააკაშვილი. მე ვთქვი, რომ ტყეში არიან? რაღაც ვერ ვიხსენებ.

----- განცხადება იყო, რომ ქართული ჯარის ძირითადი ნაწილი უვნებელია და ბრძოლისუნარიანია და ჩვენ გვაქვს რესურსები, მათ შორის, ტყეში იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ, თუ ამის საჭიროება დადგა. თქვენი კითხვა, მე მგონი, იმეორებს ქალბატონი ბურჯანაძის ერთ-ერთ კითხვას.

ლ.ვეფხვაძე. კი, ერთ-ერთი კითხვაა.

მ. სააკაშვილი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მართლაც გადავარჩინეთ ჩვენი საბრძოლო ტექნიკის და ჯარის აბსოლუტური, აბსოლუტური კი არა, პრაქტიკულად ყველაფერი. სწორად თქვა გუშინ ვანო მერაბიშვილმა. მაგალითად, ბორჯომის ხეობაში ყველა მაცხოვრებელმა იცოდა. სად იყო ქართული ტანკები ჩაფლული და ნუ, აი, ყველა ცალ-ცალკე დაკითხეს, ფულს სთავაზობდნენ, ყველაფერს და არავინ არ გაგვთქვა. აი ეს არის კონსოლიდირებული, ერთიანი საზოგადოება. ესეთივე, ზუგდიდში გაჰქონდათ ჩვენი „ბუკის“ დანადგარი და

ადგილობრივი, სამეგრელოს პოლიცია, ჩვეულებრივმა რიგითმა პოლიციელებმა ესროლეს და აუფეთქეს ის გზაში. და მე არასდროს არ დამავიწყდება, მაგალითად, სამეგრელოს მოსახლეობა როგორ გმირულად უწევდა წინააღმდეგობას ოკუპანტებს. აბსოლუტური ღირსებით, ზემოდან ქვემოთ ყურებით ისინი შემოვიდნენ და დაიწყეს ეხლა, რომ იფიქრეს, რომ ესენი შეხვედებოდნენ ხელგამლილები და პასპორტები უკვე ჰქონდათ გამზადებული ხალხისთვის. რეალურად იყო, აი, ცივი ზიზღის და დისტანციის და ზემოდან ქვემოთ ყურების პოზიცია სამეგრელოს მოსახლეობიდან. ეს იყო მართლა, აბსოლუტური, აი, ყველაზე უმაღლესი გამოვლინება სამოქალაქო გმირობის თითოეული მაცხოვრებლის მხრიდან.

ჩვენ ვიყავით მზად ყველანაირი წინააღმდეგობისთვის და ეხლა კიდევ უფრო მეტად ვართ, თუ ეს დაგვჭირდა. იქ იყო საკითხი ძალიან კონკრეტული, აგვისტოში. ან ჩვენ ვირჩევდით შეგნებულ გზას ჩეჩენიზაციის ე.ი. ჩვენ უნდა გადავსულიყავით პარტიზანულ ბრძოლაზე. გავანადგურებდით ძალიან ბევრ ტექნიკას უპრობლემოდ, მაგრამ ისინი, ალბათ, მოახდენდნენ ქვეყნის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის ოკუპაციას და შემდეგ ჩვენ აღარ ვიქნებოდით სახელმწიფო, ჩვენ ვიქნებოდით ტერიტორია, როგორც ჩეჩნეთი, როგორც ავღანეთი იყო თავის დროზე და არის პრაქტიკულად, ამის შედეგად, ახლაც. ამიტომ, ეს იყო მიმიგ გადაწყვეტილება, ცეცხლის შეწყვეტის, მაგრამ ეს იყო არჩევანი სახელმწიფოებრიობას და არასახელმწიფოებრიობას შორის. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ გვაქვს . . . და კიდევ ბევრ გემას ვამუშავებთ ამ სიტუაციებში იმიტომ, რომ ერთი რამ არასოდეს არ შეუძლია საქართველოს, რომ შეწყვიტოს ბრძოლა არსებობისთვის და დამოუკიდებლობისთვის. ჩვენ ერთხელ ეს მოგვივიდა და ამას დასჭირდა 70 წელზე მეტი, ამის გამოსწორებას. და მეორედ ჩვენ ასეთი ისტორიული შეცდომა ნამდვილად აღარ დავუშვავთ. თუ რამეს შეიძლება შევადაროთ ეს რუსული ინტერვენცია, არის რეალურად, რუსეთის შემოჭრას 1921 წელს. იმიტომ, რომ ზუსტად ესევე შეიჭრა პოლონეთში ეთნიკური უმცირესობის დაცვის შედეგად, დაცვის მოტივით მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემდეგ და რეალურად პოლონეთის დამოუკიდებლობამ შეწყვიტა არსებობა. ეთნიკური აზერბაიჯანელების დაცვის მოტივით შემოიჭრა იმიტომ, რომ მაშინ აზერბაიჯანში გამაგრებული იქიდან და ქართულმა სახელმწიფოებრიობამ შეწყვიტა მალე არსებობა. ყოველთვის, როცა ისინი მოდიოდნენ რომელიღაც ეთნიკური უმცირესობის დაცვის მოტივით, საქართველოს სახელმწიფო წყვეტდა არსებობას. აი, ეხლა მთავარ რაღაცაში არ გაუმართლათ ბევრი შიდა და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით. საზოგადოების კონსოლიდაციის, ჩვენი ჯარის გმირული წინააღმდეგობის, ჩვენი რიტორიკით, რომელიც ჩვენთანაც ზოგი ფიქრობდა, რომ არის ეს საჭირო, ასეთი რიტორიკა? მაგრამ ამ რიტორიკამ ნათლად დაანახა მათ, რომ საქართველო უკან არ დაიხეხეს და აქ ნამდვილად ლაჩრებთან მათ არ ჰქონდათ საქმე. და ასევე იყო საერთაშორისო რეაქციის, მივეციტ დრო და ეს რეაქცია იყო ძალიან, ძალიან მკვეთრი. ჩვენ ისე შევეჩვიეთ, სხვათა შორის, ესეთ ისეთ მხარდაჭერას, როცა პრეზიდენტმა ბუშმა თქვა, რომ მთელი საქართველო იბრძოდა მსოფლიოსთვის და დროა მსოფლიომ იბრძოლოს საქართველოსთვის. მსოფლიომ იბრძოლოს საქართველოსთვის, ამერიკის პრეზიდენტის მხრიდან ეს არ არის ჩვეულებრივი განცხადება და ეს რჩევაა საქართველოსთვის, გრძელდება მსოფლიო ბრძოლა საქართველოსთვის. ეს არ არის მარტო ჩვენი ბრძოლა. ეს იქნება რთული ბრძოლა, წინააღმდეგობებით აღსავსე, იქნება დაბრკოლებები და პრობლემები. ეხლა მოდით, ვთქვათ, დღეს რა არის რუსული პოლიტიკის მიმართება იგივე დასავლეთთან მიმართებაში. ის კი არა, რომ თვითონ არიან კარგი ხალხი. არა, იცის ყველამ, რომ რუსეთი მოიქცა ცუდად, მაგრამ მთლად ქართველებიც არ არიან ყველაფერში მართლები. ქართველებიც არიან დამნაშავეები. იხარჯება ათობით მილიონი დოლარი, მარტო ვაშინგტონში ოფიციალურად შარშან 15 მილიონი დოლარი დაიხარჯა, არაოფიციალურად ღმერთმა უწყის რამდენი, პროპაგანდაზე, ლობირებაზე ვაშინგტონი არის საკმაოდ პატარა ქალაქი, 15 მილიონი დოლარი და ეს არის რეალურად და ჩათვალეთ, რომ ამ თანხის უმეტესი ნაწილი იხარჯება საქართველოს წინააღმდეგ სტატიების შკვეთაზე, ავტორების მოსყიდვაზე და აქ ის კი არ არის აუცილებელი რუსეთი აქო, მთავარია თქვა, რომ საქართველო ცუდია. ორივენი ცუდები არიან. რა თქმა უნდა, ეხლა თუ რომელიმე ქართველი ამას, ან უფასოდ ან ფასიანად, შეუერთდება და დაადასტურებს ყველა სასიზღარ ვერსიას მათი, ამითაც კიდევ უფრო ბედნიერები და კიდევ უფრო ამას აიტაცებენ. მაგრამ ჩვენ ამან არ უნდა შეგვაშინოს. იმიტომ, რომ ჩვენ, მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებებისა, საქმე გვაქვს დემოკრატიულ სამყაროსთან. საბოლოო ჯამში იქაც სიმართლე პოულობს თავის გასავალს. კი, ასეთი სტატიაც დაიწერა, ისეთიც. ასეთი რეპორტაჟიც იქნება, ისეთიც. მაგრამ საბოლოო ჯამში, როცა ჩვენ მართლები ვართ, და ჩვენ მართლები ვართ, სიმართლე იპოვის საბოლოო ჯამში თავის გასავალს და ჩვენ ვიქნებით გამართლებულები და ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდება.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, ბატონ დიმიტრის ვთხოვ, შემდეგ მაქვს მე ერთი-ორი შეკითხვა.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო პრეზიდენტო, თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საკითხებზე. მე მექნება კონკრეტული ხასიათის კითხვა, მაგრამ მომიტყევთ, მცირედი შესავალიც მინდა გავაკეთო ამასთან დაკავშირებით. ვინაიდან, მოგეხსენებათ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეს არის, მისი დებულება რეგულირდება ორგანული კანონით და მისი ქვაკუთხედი გახლავთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, რომელიც, თავის მხრივ, რომელიც მოიცავს ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს. ეს გახლავთ ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეკითხა, თქვენამდე, რა თქმა უნდა, მრავალი პოლიტიკური თანამდებობის პირი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი და მე დღეს უკვე თამამად შემიძლია გითხრათ, სულ რამოდენიმე პუნქტი მოგიყვანოთ ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ, კერძოდ, ამ კუთხით დადასტურებულად მიმაჩნია და მინდა გითხრათ, მოშლილი საგანმანათლებლო სისტემა ამ მიმართულებით, დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმის შეტყობინების სისტემები საერთოდ გაუქმებულია, მოუწესრიგებელი და პრაქტიკულად

აღურიცხავია ყველა თავშესაფარი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურულიდან ამოღებულია და საერთოდ გაუქმებულია მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი, დავაკონკრეტებ, ეს გახლავთ ბატონი კახა ბენდუქიძის მინისტრობის პერიოდში. ჩემი კითხვა იქნება ძალიან კონკრეტული. აი ამ პირობებში რა ადგილი უნდა დაიკავოს ახალ სამხედრო დოქტრინაში სამოქალაქო თავდაცვამ.

მ.სააკაშვილი. მე მინდა, პირველ რიგში გითხრათ, რომ, ახლა, არსებობს სხვადასხვა კონცეფციები სამოქალაქო თავდაცვის. 50-იან, 60-იან, 70-იან წლებში მთელი ევროპა ემზადებოდა მაშინდელ რუსეთთან, საბჭოთა კავშირთან ომისთვის. შვეიცარიაში ყველა ძირითადი სახლის ქვეშ იყო გათხრილი დიდი ბუნკერი 1 წლის მარაგით კვების პროდუქტების და ტანსაცმლის და სხვადასხვა ნივთების. ნუ, მათ გაუღიმათ ბედმა და რუსეთი მათ არ დაესხათ თავს. სამაგიეროდ, ჩვენ დაგვესხა თავს მთელი თავისი ძალით. ახლა, თუ სერიოზულ დაცვაზე საუბარი, მაშინ მართლა ყველა სახლის ქვეშ უნდა გავთხაროთ ბუნკერი. მე მახსოვს, ჩემს ეზოში ბავშვობაში ვთამაშობდი და იყო ეზოში ასეთი, პატარა ბუნკერივით და ძირითადად ნაგავი ეყარა ხოლმე შიგ, საბჭოთა დროსაც მაინცდამაინც ამ ბუნკერებს არ იყენებდნენ დანიშნულებისამებრ. საბჭოთა კავშირი თხრიდა, მაგრამ, მე მახსოვს, ან სამალავად ვიყენებდით ან უფრო დიდი მეზობლები იყენებდნენ ნაგვის გადასაყრელად, როგორც გითხარით. მთავარი, მე ვფიქრობ, მაინც არის ის, რომ ქართული მეურნეობა არ მოიშალა. ძირითადად, საინფორმაციო სისტემა არ მოიშალა, გმირულად იმუშავეს ქართველმა ჟურნალისტებმა და ჩვენ მოვახერხეთ ხელფასების დროზე გაცემა, პენსიების დროზე გაცემა, ტრანსპორტის მოძრაობა, საწვავით მოძრაობა, ბევრი სხვა საკითხი ჩვენ მოვახერხეთ. ახლა, ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ დახურულ სამყაროში, ჩვენ საზღვრები ასე თუ ისე გახსნილი გვქონდა, ბევრი სხვადასხვა ქვეყანა, რამდენი სხვადასხვა ქვეყანა გვესაზღვრება და ერთის გარდა, ყველა დანარჩენი მზად არის საქართველოს მომარაგებაში და ზურგის შექმნაში მონაწილეობა მიიღოს. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ თქვენს შენიშვნებს და ჩვენ მზად ვართ, კიდევ უფრო კარგად ვიმუშაოთ, თუმცა, არა მგონია, რომ მხოლოდ მაკარონის რაოდენობის მომარაგებით საქმე გაკეთდება. ყველაზე მაგარი იყოს ის კი არა, რომ ჩვენ მაკარონის მარაგი და წიწიბურას მარაგი გვქონდა თუ არა, ყველაზე მაგარი იყო ის, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენმა საზოგადოებამ გამოიჩინა ისეთი სიმშვიდე, ხალხი არ გაიქცა გასტრონომებში და სუპერმარკეტებში და არ შეისყიდა მთელი პროდუქტი, როგორც კი ერთ ადამიანს ... უფრო მეტსაც გეტყვით, რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ რომ შეისყიდა დაზარებულებისთვის და ამანაც რაღაც შექმნა პანიკის მაგვარი, მაგრამ ვგრევე ... რომ ხალხმა არ გააკეთა ეს. საკმარისია ას ადამიანს თბილისში, წასულიყო ასი ადამიანი და მოემარაგებინა თავისი თავი თვეების განმავლობაში, წინასწარ ეყიდა ყველაფერი, ისეთი პანიკა შეიქმნებოდა, რომ არანაირი რესურსები და რეზერვები ამას უკვე აღარ ეშველებოდა. მთავარი ჩვენი სიმტკიცის მარაგი მაინც, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი შენიშვნები გასათვალისწინებელია, აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების სიმშვიდე, ორგანიზებულობა, დახვეწილობა, რომელსაც ვერ გამოიჩენდა ძალიან ბევრი ჩვენზე უფრო მდიდარი გამოცდილების, სახელმწიფოებრიობის გამოცდილების მქონე ევროპელი ერი. და ეს იყო, მე ვფიქრობ, მთავარი შედეგი იმისა, რომ ჩვენ რომ ვნახეთ, ჩვენ ვნახეთ, როგორ გამოვიდა ხალხი ქუჩაში დაბომბვების საფრთხის ქვეშ, ჩვენ ვნახეთ, როგორ გამოვიდა ხალხი ქუჩაში პირველ სექტემბერს, მილონზე მეტმა ადამიანმა ჩაკვიდა ერთმანეთს ხელი. ესეც ხომ დიდი ცივილიზაციის გამოხატულებაა, ასეთი ორგანიზება ჯაჭვების, ეს შეუძლია მხოლოდ ყველაზე დახვეწილ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველაზე დახვეწილ და ცივილიზებულ ერებს, მათ შორის, ჩვენს რეგიონში, ევროპაში. ჩვენ ვნახეთ, როგორ, რეალურად, თუნდაც პოლიტიკური სპექტრის უმეტესი ნაწილი ამ ყველაფრის, როგორი კონსოლიდაციით, როგორი სიმშვიდით, როგორი ერთმანეთზე გვერდზე დადგომით. ქართველებმა მოხსნეს ყველა რეკორდი ერთიანობის და ყველა სკეპტიკური პროგნოზი, მათ შორის, ბევრი უცხოელი დამკვირვებლების, მათ პრაქტიკულად გააცამტკერეს. და მომავალშიც ჩვენ ამ ერთიანობის პირობებში, ამ საღი აზრის, სიმშვიდის პირობებში ყველაფერს მივაღწევთ, აბსოლუტურად ყველაფერს მივაღწევთ. ჩვენ წინ გველის დიდი გამოწვევები, უნდა დავხვეწოთ ყველაფერი, რაზეც თქვენ საუბრობთ, მაგრამ, მოდით, ასევე ვთქვათ, რომ მთავარი ჩვენი რესურსი არ ... თუ არა ეს სისტემა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არამედ მთავარი რესურსი არის დემოკრატიული თვითშეგნება და ცივილიზებული, გაცნობიერებული, თავისუფლებისთვის გაკეთებული არჩევანის ის გამოვლენა, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ აჩვენა.

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ იცით, რომ ჩვენ ვდებულობთ კითხვებს ინტერნეტის საშუალებითაც და მოსახლეობის ძალიან ბევრი კითხვები არის, მაგრამ მე გამოვყოფდი ორ კითხვას.

პირველი არის, ძალიან დიდია ინტერესი იმ ცნობილი კადრების, როდესაც გორში თქვენ დაცვამ გაგიყვანათ. რა მოხდა სინამდვილეში, რა საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი იმ მომენტში? და მეორე კითხვა, რატომ დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს საქართველო სპრეზიდენტმა დევნილებისთვის სახლების მშენებლობა?

მ.სააკაშვილი. გორში გვბომბავდნენ და ჩემი დაცვა მოიქცა სრულიად არასტანდარტულად, რა გაგებით. ეხლა, დაცვა არის გაწვრთნილი, ამ შემთხვევაში ჩემი კი არა, საერთოდ, მთლიანად, დაცვის ობიექტის გადასარჩენად ტყვიებისგან და თავდასხმებისგან და როცა რუსულმა თვითმფრინავმა გადაგვიფრინა ძალიან დაბლა და რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარა გარშემო, მათ გადაწყვიტეს, რომ თავდასხმა. ამიტომ არავინ არაფერი არ მკითხა, პირდაპირ 15 კაცი დამახტა თავზე. ალბათ, ჩემი გაკვირვებული გამომეტყველება გახსოვთ, ამან მსოფლიო ეკრანები მოიარა, იმიტომ, რომ 15 ახმახი ვაჟკაცი სამხედრო ფორმაში და „ბრონეილიეტებში“ გამოწყობილი თავზე, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, ეს იყო სრულიად არაადეკვატური რეაგირება ამ სიტუაციაში.

15-იც და 100 კაცზე რომ დავეწყოთ ერთმანეთს, 500-კილოგრამიანი ბომბი რომ მოგხვდება თავში ეს, პირიქით. ამით ვაჩვენებთ, რომ აქა ვართ და, მოდით, დაგვცხეთ. ამიტომაც ვუთხარი, რომ გამანებეთ თავი, გამანებეთ და ყველა დაიშალეთ და ყველა ცალ-ცალკე გადით აქეთ იქით. მაგრამ მთავარი ის კი არ იყო, რომ მე მზომბავდნენ, მთავარი იყო, რომ ბომბავდნენ ჩემს ხალხს, იყო დაუცველი, და მე ეს მოგახსენეთ, იმ გზაზე რომ მოვდიოდი, ყველა მოქალაქე საქართველოსი და ეს იყო ყველაზე დიდი ტრაგედია, რომელიც ჩვენ თავს გადაგვხდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვზინებია, მაგრამ ჩვენ ძალიან განვიცადეთ ეს ყველაფერი და რომ არ შეგვზინებია, ეს მთავრობის მომდევნო მოქმედებებში და ჩვენი ხალხის მოქმედებებში გამოჩნდა. მთავრობას არ შეეშინდა იმიტომ, რომ ჰყავდა, იყო მთავრობა გმირული ხალხის და მე ვფიქრობ, ხალხს ასევე არ შეეშინდა იმიტომ, რომ ნახა, რომ მთავრობას არ შეეშინდა და ჩვენ ერთმანეთს დავუდევით გვერდზე. რა თქმა უნდა, ამ დროს შეიძლება განცდებისგან ჰალსტუხიც შემოგეჭამოს, მაგრამ ჩვენი შიში, ჩვენი შიშნარევი თვალები და ჩვენი ზურგი, შექცეული, საქართველოს მტერს არ უნახია და ვერც ვერასდროს ნახავს. ეს უნდა ყველამ კარგად გააცნობიეროს და ასე იქნება ყოველთვის. ჩვენ მივიღეთ საოცარი სიმწიფის გაკვეთილი ომის დროს. ჩვენ მივიღეთ, ჩვენ გავუძელით ისეთ გამოწვევებს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ძალიან, ძალიან ბევრი ჩვენზე უფრო მდიდარი და ეკონომიკურად და სახელმწიფოებრივად გამოცდილი ერი ვერ გაუძლებდა. და, ეს იყო, ჩემი ყველაზე დიდი ქედის მოხრა არის არა, უბრალოდ, ჩვენი პარტნიორების, მეგობრების, სხვების მიმართ, პირველ რიგში ეკუთვნის ეს ჩვენს ხალხს. მე საზღვარგარეთ ვიარე ბევრი, ასევე ბევრს დავდივარ საზღვარგარეთ და ბევრჯერ მომისმენია ბევრი უცხოელისგან აღტაცება ქართველი ხალხის გმირობით. და ეს მართლა ასეა, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს ჩვენი ხალხი არის ზედმეტად გამბედავი, ზოგიერთმა შეიძლება გიჟებად გამოგვაცხადონ, რა აზრი აქვს ბრძოლას, ვის ეტაკეთ, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისთვის. ჩვენ არავის არ დავსხმევართ და იქით არსად არ გადავსულვართ. ჩვენთან მოვიდნენ და ჩვენი განადგურება მოინდომეს და აქ არის ორი გამოსავალი. კი, ნაცისტურმა გერმანიამ ევროპის 80 % აიღო ერთი გასაროლის გარეშე, ეს გამოსავალი ზოგიერთმა ერმა მონახა. ჩვენ ვართ ქართველები, რომელთაც გვაქვს სისხლში, რომ რაც არ უნდა ძლიერი იყოს მტერი, უნდა იბრძოლო შენი თავისუფლებისთვის, იბრძოლო შენი დამოუკიდებლობისთვის იმიტომ. რომ გვინახავს, რას ნიშნავს დამოუკიდებლობის დაკარგვა და ჩვენი განადგურების მცდელობა, ძალიან მწარედ განგვიცდია ეს. ჩვენ ამოვირჩიეთ ეს მეორე გზა, რამდენადაც თავზეხელაღებულად და გიჟურად შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს, არ გვინდა, რომ ამ არჩევანის წინაშე ვიყოთ, ამიტომ გვინდა, რომ, გვინდა, რომ ვიყოთ ევროპის თანამეგობრობის წევრი, ამიტომ გვინდა, რომ გავერთიანდეთ ნატოში, ამიტომ გვინდა, რომ ყველანი ერთად დავდგეთ, განვვითარდეთ, ავამწიფოთ ბევრი ცათამბჯენი ჩვენს ქალაქებში, რომ არ გაუჩნდეთ მათ სურვილი ისინი ბომბონ, გავაბათ ბევრი კავშირი, გაგვიჩნდეს ბევრად მეტი მეგობარი, რომელიც კიდევ უფრო მეტად დაგვიცავს გასაჭირის ჟამს, მაგრამ ეს ყველაფერი არ ცვლის მთავარ ჩვენს მოტივაციას - ბრძოლას ჩვენი თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, მრავალეთნიკური, თანასწორუფლებიანი, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოსთვის. ეს არის ჩემი ცხოვრების დანიშნულება, მოტივაცია და, მე ვფიქრობ, ეს არის თითოეული ჩვენგანის მთავარი მამოძრავებელი ძალაც.

თავმჯდომარე. მეორე კითხვა იყო, ბატონო პრეზიდენტო, აი მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალეთ. რატომ დაავალეთ შინაგან საქმეთა მინისტრს.

მ. სააკაშვილი. იმიტომ რომ ... მინისტრს ეს მშენებლობა, მე ვიცი რომ ვანომ სხვა პასუხი გაგვით, მაგრამ ჩემი მოტივაცია ასეთია, იყო აი, ... ძალიან დიდი პრობლემა უსაფრთხოების თვალსაზრისით. ახლა, იმ დღეს, ჩვენ ძან ვარგი პროგრამა გვაქვს, მთელ ფართობს თავისუფალს უფასოდ ვთესავთ ხორბალს ამერიკელებთან ერთად და ვხნავთ და, პრაქტიკულად, გლეხებს მივცემთ ათობით მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქციას უახლოეს თვეებში. იმ დღეს ჩვენ დავსხედით ტრაქტორზე, ეს არის სოფელ რენესთან ადგილი და ტრაქტორით მივდივართ რამდენიმე კილომეტრი და იქ სამი კოლომეტრია და იქ გორაკები იწყება და ამ დროს საშინლად შეშფოთდა ჩემი დაცვის თანამშრომელი, იმიტომ, რომ იმ გორაკებზე დგანან რუსები. რუსებმა გამოაგორეს ქვემეხები, ნუ, ახლა, მითხრეს, რომ ჩამოდი ტრაქტორიდან. მე არ ჩამოვსულვარ, ბოლომდე გავიტანეთ ხნული, ნახეთ ეს ტელევიზორში, გადაღებული იყო და დავბრუნდით უკანვე ასევე აუღელვებელი სახით. თუმცა, რეალობა არის ეს, მე ერთხელ ვიყავი იქ და იქ ჩვენს ხალხს უხდება ყოველდღიურად ამ პირობებში ცხოვრება, ყოველდღიურად არიან ამ რისკის ქვეშ. რომ გამოვედი, ვნახე მერე იქ ადგილობრივი ჩვენი მაცხოვრებლები, რომელთა ოჯახის წევრები იყვნენ გატაცებული წინა დღით აი იმ გორაკებთან შემის მოჭრისთვის და ამ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, საჭიროა ისეთი სტრუქტურა, რომელიც, ჯერ ერთი, ორგანიზებულია, მეორეც, იცის, უსაფრთხოების წესები მაქსიმალურად როგორ დაიცვას.

თავმჯდომარე. გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო. მე მინდა ქალბატონ ხათუნას...

ხ.გოგორიშვილი. ერთი შეკითხვა, რომელიც, ალბათ, ძალიან აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას. როგორ მიგაჩნიათ, ბატონო პრეზიდენტო, არსებობს თუ არა სამხედრო ოპერაციების განახლების საფრთხე.

თავმჯდომარე. და მე დავამატები ერთ შეკითხვას. ეს ეხება, ბატონო პრეზიდენტო, რა ღონისძიებებს ატარებთ და გაატარებთ თქვენ იმ დალუპული ოჯახების მიმართ, ვინც, იმ მეომრების მიმართ, ვინც შესწირა თავი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იმ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, რა სოციალური საკითხების გაუმჯობესება იგეგმება ამ ოჯახებთან დაკავშირებით.

მ.საკაშვილი. მე ვფიქრობ, რომ ევროპელი დამკვირვებლების ჩამოსვლასთან ერთად და რუსეთში სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, დღეს საბრძოლო მოქმედებების განახლების საფრთხე შედარებით ნაკლებია, ვიდრე იყო, თუნდაც, ორი თვის წინ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ეგზისტენციალური საფრთხე ჩვენი არსებობის და ეს საფრთხე ბოლომდე მოხსნილი არ არის. ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად, ფხიზლად, ერთიანად. ეს არ ნიშნავს, რომ არ გავაგრძელოთ ნორმალურად ცხოვრება, განვითარება, მაგრამ უნდა გავაგრძელოთ მუდმივად დამატებითი გარანტიების ძებნა ჩვენი უსაფრთხოებისთვის და ჩვენი შემდგომი მშვიდობიანი გაერთიანებისთვის.

რაც შეეხება ოჯახებზე ზრუნვას, მე ვნახე რამდენიმე დაღუპულის ოჯახი, მათ შორის, როცა ორდენები გადაეცემა. ეს არის დიდი ტრაგედია, მაგრამ ასევე დიდი ღირსების ისტორია. ეს არის ხალხი, ვინც იწვევს სხვადასხვა პარტიულ... მათ ქუჩაში გამოყვანას. ახლოს არ გაიკარეს იმიტომ, რომ მათმა შვილებმა მიიღეს შეგნებული გადაწყვეტილება, თავი შეეწირათ საქართველოსთვის. როცა რუსეთის ჯარები შემოვიდნენ დიდი რაოდენობით ცხინვალში, რამდენიმე მეზობელმა, რამდენიმე ათეულობით მეზობელმა უარი თქვა გამოსვლაზე. ისხდნენ ბოლო ტყვიამდე, იქ სწევდნენ წინააღმდეგობას, სანამ არ დაიხოცნენ იმიტომ, რომ ეს იყო საქართველოს მიწა. ისინი სადღაც კი არ შეჭრილან, არამედ იცავდნენ საკუთარ სახლ-კარს, საკუთარ საზოგადოებას, საკუთარ ქვეყანას გადამთიელი ინტერვენტისგან. გადამთიელი არის ზუსტად ის ტერმინი, მთიდან გადმოსული აქეთ, და ამ ხალხს სჭირდება განსაკუთრებული დაფასება. ჩვენ არ ვიქნებით საზოგადოება, თუ სრულფასოვნად მათ არ დავაფასებთ და ასევე იმ ხალხს, ვინც უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობა დაიხოცა. ჩვენ გავაგრძელებთ მათ დახმარებას, ჩვენ გავაგრძელებთ მათი შვილების დახმარებას. მათი შვილები უნდა ამყობდნენ, მათი შვილები რომ არიან იმითი და უნდა ასევე ამყობდნენ რომელი სახელმწიფოშიც ცხოვრობენ, იმ სახელმწიფოთი, ამის გამო ამ სახელმწიფომ უნდა შექმნას მათთვის სათანადო, ღირსეული ცხოვრების და არსებობის პირობები. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბოლო რესურსიც კი ამას მოვახმაროთ. და მინდა გითხრათ, რომ მე მოვისმინე აქ ტელეწამყვანი, ისე გადავრთე ესეც, სწორედ იმ დღეს დაავკრძალეთ რამდენიმე ჩვენი ბიჭი, გმირულად დაღუპული და ბოლო სისხლის წვეთამდე რომ იბრძოდნენ და ჩვენ ხომ ვიცით, როგორ გამოზრუნდნენ ფართხა-ფურთხით ეს ჩვენი მეზობლებიო. აი, მართლა უნდა თავშეკავებული უნდა იყო, მაგრამ მომაწვა სისხლი მართლა ყელში. ადვილია ლაპარაკი ესე წამოწოლილი სტუდიაში, როგორ გამოზრუნდნენ შენი მეზობლები, როცა იმ დღეს დაკვარგეთ ბიჭები, რომელთაც თავი გასწირეს იმისთვის, რომ ამან თავისუფლად იქ იბურტყუნოს რაღაცები, ბოდიში ამ გამოთქმისთვის. და მე ვფიქრობ, რომ ყველანი უფრო დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს თავისფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას და დავაფასოთ, აწი უფრო ბევრად მეტად დავაფასებთ იმას, რაც გვაქვს. მე ხშირად გამიგია, რა კარგად ვითარდებოდა როგორ გვიქნა. ეს კიდევ მაგრად განვითარდება, ამ მსოფლიო კრიზისსაც გადავლახავთ, ბევრად უფრო მეტად წინ წავალთ. მაგრამ წავალთ იმ პირობებში, როცა ვიქნებით ერთად, როცა გავაცნობიერებთ, რომ ამ ყველაფერს, რაც ჩვენ გვაქვს დღეს, აქვს ფასი, არაფერი არ არის ნაჩუქარი და ნაბომები, არაფერი არ არის გარანტირებული და ეს არის მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის ყველა ჩვენგანისთვის.

თავმჯდომარე. ბატონ ბოლო შეკითხვაა. შემდგომ უკვე

ბატონო მიხეილ, ძალიან ბევრი კითხვა დაისვა, მათ შორის, ის კითხვები, რომელიც საზოგადოებაში და მედიის საშუალებით ჟღერს, ხშირად გვესმის ხოლმე. დღეს აი, გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა „7 კითხვა პრეზიდენტ სააკაშვილს“. აქედან დიდ ნაწილზე დღეს იყო საუბარი, ერთ-ერთი დარჩა, მე-6 კითხვა, ასეთი, მე დავამოწმებდი, ასე ვთქვათ, და საინტერესო იქნება თქვენი პასუხი. და არსებობს ინფორმაცია, რომ მარატ კულახმეტოვი დიდი გასამრჯელოს საფასურად ქართულ მხარეს დაჰპირდა, რომ რუსი სამშვიდობოები კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია და ეს ხომ არ იყო რუსული ხაფანგი.

მ.საკაშვილი. ეს დაახლოებით იგივეა, როგორც კონდოლიზა რაისმა და ბუშმა დამირეკეს და მითხრეს, რომ მიდი ეხლა, მიაწეკი, შედი, ყველაფერო გააკეთე, სანამ ჩვენ, ის, რა ჰქვია,

თავმჯდომარე. ბატონო პრეზიდენტო....

მ.საკაშვილი. დაკავებული ვართ იმით, რა ჰქვია, ოლიმპიადაში. ახლა, ადამიანმა შეიძლება ყველაფერი დაწეროს და ყველაფერი მოიგონოს. სიმართლე არის ის, რომ საქართველოში განხორციელდა ინტერვენცია, საქართველოში მშვიდობიანი მოსახლეობა აღმოჩნდა დარტყმის ქვეშ და საქართველოს მთავრობამ და მე, როგორც ქვეყნის არჩეულმა პრეზიდენტმა, მივიღე ის ზომები, რომელიც იყო სარისკო, რომელიც იყო, შეიძლება, თითქმის უიმედო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მივიღე ზომები, რათა დაგვეცვა ქვეყანის ტერიტორიული მთლიანობა, გადაგვერჩინა ქვეყნის სახელმწიფოებრიობა.

თავმჯდომარე. ბატონ ნიკოლოზს აქვს მოკლე შეკითხვა.

ნ.ლალიაშვილი. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სამართლიანად აღნიშნეთ, რომ კომისიის მუშაობის მსვლელობაში მართლაც მოგვიწია ბევრი სიმართლის მოსმენა, ბევრი ტყუილის და სიყალბის მოსმენაც მოგვიწია

და ეხლა, მიუხედავად იმისა, რომ ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად კომისიის პრეროგატივაა და მე ეს კარგად მესმის, უბრალოდ, მაინტერესებს თქვენი პირადი აზრი, იქნება თუ არა ჩვენი კომისიის მუშაობა სრულფასოვანი, შევძლებთ თუ არა ჩვენ სრულყოფილი, ობიექტური სურათის დადგენას იმ შემთხვევაში, თუ კომისია დამატებით არ მოუსმენს საქართველოს ყოფილ ელჩს რუსეთის ფედერაციაში, მხედველობაში მყავს ბატონი ჩუბინიშვილი, საქართველოს მოქმედ წარმომადგენელს გაეროში, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და საზოგადოებისთვის ავტორიტეტული როგი სამხედრო ექსპერტების მოსაზრებებს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით?

მ. სააკაშვილი. მე მინდა გითხრათ, რომ ეს თქვენი პრეროგატივაა. თუ შეამჩნიეთ, აქამდე მე არასოდეს არ ჩავრეულვარ, არ დავინტერესებულვარ წინასწარ, ვის უსმენდით. ყველა თქვენი სხდომა მიდის პირდაპირ ეთერში საქართველოს სხვადასხვა არხებით, მათ შორის, ეს სხდომაც. ყველაზე უხერხული კითხვებიც ისმება, ყველაზე უფრო მიუღებელი საკითხებიც ისმის ღია ეთერში და ეს არის ჩვენი სიძლიერე. მე, ერთადერთი, მოგიწოდებთ, რომ, უფრო სწორად, კომისია რაც უფრო მალე დადებს შედეგს, მით უფრო კარგია, რაც უფრო კარგად იმსჯელებთ ამ შედეგებზე, მით უფრო კარგია, რაც უფრო მეტ კითხვაზე პასუხს მოისმენთ, მით უფრო კარგია. მე ყველაზე მეტად გამიხარდა, რომ თქვენ აპირებთ, რამდენადაც გავიგე, ხალხთან შეხვედრას, დაზარალებულებთან. იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაზე მთავარი საზომი არის არა თანამდებობის პირები. მე, მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი მოხდა, აღარ დავეყრდნე მარტო ჩემს სამხედრო მეთაურებს და ჩავატარე ანონიმური გამოკითხვა, ჩავატარებინე უცხოელებს, დაზარალებულ მოსახლეობას შორის რამდენიმე კითხვით.

პირველი. ვინ დაიწყო ომი? მაინტერესებდა მათი აზრი იმიტომ, რომ ისინი იყვნენ იქ. ყველამ ერთხმად თქვა, რომ ეს ომი დაიწყო რუსეთმა. არ დაუდანაშაულებიათ ჩვენი ოსი მოძიებები, თუმცა, ოსებიც ესროდნენ მათ, რა თქმა უნდა, ორივე მხარეს იყვნენ ოსები. თქვეს, ეს ომი დაიწყო რუსებმა. მე რე თქვეს, ჩვენი არმია ზედმეტად ადრე ხომ არ შევიდა. უმეტესობამ თქვა, არმია ჩამოვიდა უფრო გვიან, ვიდრე უნდა ჩამოსულიყო და უფრო ნაკლები ძალით, ვიდრე უნდა ჩამოსულიყო. ე.ი. პირიქით, დაგვადანაშაულეს დაგვიანებში და იმაში. ეს არის ყველაზე უტყუარი მოწმე იმისა, რაც იქ მოხდა. ვერანაირი საერთაშორისო გამოძიებები იქ, საერთაშორისო ჟურნალისტიკები, შიდა ჟურნალისტიკა, სხვადასხვა თანამდებობის პირები ვერ მოგცემენ ისეთ პასუხებს, როგორსაც მოგცემთ ეს ხალხი. ეს ხალხი ხომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გაზრდილი ხალხია, მათ თავისი აზრის გამოთქმა არ უჭირთ, მით უმეტეს, ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს. ყველაზე მკაცრი შემფასებლები ჩვენი ისინი არიან და ყველაზე მთავარი საზომი ჩვენი ყველა მოქმედების და ყველაზე მთავარი დანიშნულება ჩვენი მოქმედების ასევე ისინი არიან. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ საბოლოო სიტყვა, ჩემი აზრით, მაინც უნდა თქვას ხალხმა, ხალხმა, ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა, ვინც დაკარგა ახლობლები, ვინც დაკარგა თავისი სიმწვრთი მოპოვებული ქონება. რომ მივტირით ჩვენ კინოთეატრს და ამბულატორიებს და საავადმყოფოს და იმას, რა ჰქვია, ატრაქციონებსაც კი, რომელიც იქ ავაშენეთ, მაგრამ ისინი, მათ დაკარგეს ბევრად მეტ რამ, მათ დაკარგეს თავისი წინაპრების საფლავები ჯერჯერობით, დროებით, და თავისი და სამუდამოდ დაკარგეს, იმიტომ რომ იქ ქონება განადგურდა და ხელახლა უნდა გაკეთდეს, მათი სიმწვრთი, თაობების მიერ შექმნილი ქონება, იმიტომ, რომ გადაწვეს, გაანადგურეს, ბუღდოზერით გადაუარეს ამ ყველაფერს და ამ ხალხზე უკეთ ჭეშმარიტებას, გარწმუნებთ, თქვენ ნამდვილად ვერავინ ვერ გეტყვით.

თავმჯდომარე. გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა მოზრძანებისათვის, რომლის ... თქვენ იცით, რომ ეს იყო თქვენი სურვილი და ჩვენ მივიღეთ ძალიან დიდი ინფორმაცია, ჩვენ შევეცადეთ დაგვესვა ყველა კითხვები და დიდი მადლობა იმ მოთმინებისათვის, რაც თქვენ გქონდათ ამ ხნის მანძილზე. ჩვენ, კომისია იმსჯელებს ამ საქმიანობასთან დაკავშირებით, შეეცდება უახლოეს ვადებში შეიმუშაოს დასკვნა და ის რეკომენდაციები, რომელიც იქნება შემუშავებული კომისიის მიერ, კომისიის მუშაობის პერიოდში გამოვლინდა ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებრივი საკითხები, რომელზეც რეაგირება არის სასწრაფო და მნიშვნელოვანი. ეს ყველაფერი ასახული იქნება რეკომენდაციებში. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით მოზრძანებისათვის და სხდომა დახურული არის, დამთავრდა.

მ. სააკაშვილი. ბატონო პაატა, მინდა გითხრათ, რომ ეს იყო, დღეს რაც იყო, ეს იყო 5-საათიანი გამოცდა. მე ესეთი გამოცდა არ ჩამიბარებია მართლაც ინსტიტუტში სწავლის შემდეგ და ეს იყო, მე ვემზადებოდი საგულდაგულოდ, რომ არ დაგიმალოთ, ბევრი მასალა გადავიკითხე, ბევრი რამის განახლება მომიწია, მაგრამ მე კარგად ვიცი, ყველაფერს, რასაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ეს რჩება ისტორიაში. ყველანი ერთად, ეს მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვის, ეს არის მნიშვნელოვანი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისთვის და წარსულის შესაფასებლად. ბუნებრივია, ეს არის თქვენი დამსახურება, რომ თქვენ შექმენით ასეთი ორგანო, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენ, მე მოვისმინე ბევრი, მათ შორის, უსიამოვნო კითხვა, მწვავე კითხვა, ადვილი კითხვა საერთოდ არ მომისმენია, მინდა ვთქვა ჩვენი უმრავლესობის წევრების საყურადღებოდ, თქვენგანაც არ მომისმენია ადვილი კითხვები, მაგრამ ეს არის სწორი, ეს არის ის, რაც ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ. ამითი მოვიგებთ ჩვენ. ჩვენ დღეს გვაქვს არა ტანკების რაოდენობის შეჯიბრება, თვითფრინავების და ტყვია-წამლის, ჩვენ გვაქვს დღეს შეჯიბრი იდეების. თავისუფლება, დემოკრატია ყოველთვის უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე, რაც არ უნდა ტანკებით იყოს შეიარაღებული, უსამართლო ავტორიტარული იდეა და დემოკრატის უმაღლესი ტაძარი არის ეს. მე ვერასოდეს ვერ წარმომედგინა, მე ამ დარბაზში ხშირად ვყოფილვარ როგორც საქართველოს ბიუროს წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის ბიუროს წევრი, ფრაქციის, უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე, მათ შორის. აქ, როგორც წესი, ისხდნენ ხოლმე დაბალი რანგის თანამდებობის პირი, იმათზე მაღლები არ მოდიოდნენ. ხათუნას კარგად ახსოვს იმიტომ, რომ

მიუხედავად ნორჩი ასაკისა, ქართული პარლამენტარიზმი მემატიანე არის თვითონ. და ეს არის მართლაც უნიკალური. თქვენ, მათ შორის, დაპირისპირებული.... წარმომადგენლები ზიხართ მაგიდის ბოლოში და ქართველი ხალხის სახელით მკაცრად, მკაცრ კითხვებს უსვამთ საქართველოს პრეზიდენტს. მე მინდა მადლობა გითხრათ, ჩემთვის ეს იყო დიდი გამოცდილება, ეს იყო, იმედია, რომ კითხვებს გავეცი ამომწურავი პასუხი. დარწმუნებული ვარ, აქედან გავალ და ვინანებ, რაღაცა სხვანაირად შეიძლება მეპასუხა, შეიძლება უფრო მეტად, მეტი ინფორმაცია უნდა მომეცა, მაგრამ ნამდვილად სიკვდილს არ ვაპირებ. ასე, რომ ვარ მთლიანად თქვენს განკარგულებაში და ჩვენ შეგვიძლია ეს პრაქტიკა მუდმივად დავნერგოთ. იცით, რომ ახალი ცვლილებებით, რომელიც შემოგთავაზეთ, პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ კი არ მოდის, არამედ, კონსტიტუციის ახალი ვერსიის მიხედვით, მე მზადა ვარ პარლამენტში მოვიდე კვარტალში ერთხელ ან, შეიძლება, ყოველთვიურადაც და სამთავრობო კითხვა-პასუხში მივიღო აბსოლუტურად თანასწორი მონაწილეობა. სადღაც ზემოთ კი არ ვიყო და შორს, არამედ ვიყო ახლოს სათანადო ორგანოსთან. ასევე ვიყო ახლოს ქართველ ხალხთან. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა თქვენ.